წლიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14-76
რედაქტორის მოადგ. 23-17
მდივნის 10-58
მასიური განყოფილ. 22-44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ., ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი“-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 15 საათამდე. პროვინციაში—ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (სადაზღვო ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

პარასკევი, 5 თებერვალი 1932 წ. | ყოველდღიური გაზეთი | № 30 (3284) ფასი 5 კაპ.

4 თებერვალს, საღამოს, დაიხურა XVII საკავშირო პარტ-კონფერენცია

XVII საკავშირო პარტკონფერენცია

მრეწველობის განვითარების შედეგები 1931 წელს და 1932 წლის ამოცანები

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება კონფერენციის 30 იანვრის სხდომაზე*)

ამხანაგებო! ხუთწლიანი გეგმის შესრულება 4 წელიწადში, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრება, მეორე ხუთწლედისათვის მომზადება დიდათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მუშაობდა მრეწველობა 1931 წელს და როგორ იმუშავებს იგი 1932 წ. მე აღარ ვილაპარაკებ აქ იმაზე, რომ მთელი ჩვენი ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნა დამოკიდებულია ჩვენი მრეწველობის განვითარებაზე. ნება მიბოძეთ გადავიდე პირდაპირ ჩემი მოხსენების საანგარიშო

1931 წლის შედეგები და მისი თავისებურობანი

1931 წლის საერთო შედეგები

ამხანაგებო, 1931 წელმა მოგვცა ჩვენი მრეწველობის შემდგომი უდიდესი ზრდა, მთელი მრეწველობის პროდუქცია 1930 წელთან შედარებით გაიზარდა 21 პროცენტით. 1931 წელს მრეწველობამ მოგვცა 27 მილიარდი მანეთის პროდუქცია, აქედან მძიმე მრეწველობამ —11,8 მილიარდი მანეთის, ზრდა უდრის 28,7 პროცენტს. მსუბუქმა მრეწველობამ მოგვცა 7.600 მილიონი მანეთის პროდუქცია, ზრდა შეადგენს 12,6 პროცენტს, ხე-ტყის მრეწველობამ მოგვცა 2,5 მილიარდი მანეთის პროდუქცია, ზრდა უდრის 12,6 პროცენტს, მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობის პროდუქციის ღირებულება შეადგენს 5 მილიარდ მანეთს, ზრდა—22 პროცენტს.

სწრაფად იზრდება მრეწველობის ზოგიერთი დარგი, მაგალითად მანქანათმშენებლობა, რომლის პროდუქციაც შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 40 პროცენტით, კერძოდ სატრაქტორო მშენებლობის პროდუქცია—78 პროცენტით, ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 61,5 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება—43 პროცენტით, ნავთის მრეწველობა—22,6 პროცენტით, ძირითადი ქიმია—17,40 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობა—14,3 პროცენტით, ფერადი მეტალურგია—9 პროც., შავი მეტალურგია საერთოდ დარჩა გასული წლის დონეზე, ხარისხობრივი ფოლადის წარმოება გაიზარდა სამჯერ.

მრეწველობის ცალკე დარგებმა ხუთწლიანი გეგმა შეასრულეს 2 ნახ.—3 წელიწადში, მანქანათმშენებლობას მთლიანად ხუთწლედის მეხუთე წელს (1932-33 წ.) უნდა მოეცა 4.350 მილიონი მანეთის პროდუქცია, 1931 წელს მან უკვე მოგვცა 4.730 მილიონი მანეთის, ელექტრო-ტექნიკური მრეწველობას ხუთწლედის უკანასკნელ წელს უნდა მოეცა 895 მილიონი მანეთის პროდუქცია, 1931 წელს უკვე მოგვცა 925 მილიონი მანეთის, ნავთი ამოღებული უნდა ყოფილიყო 21,7 მილიონი ტონა, ფაქტიურად 1931 წელს ამოღებულია 23 მილიონი ტონა, რეზინის მრეწველობას მთლიანად უნდა მოეცა 440 მილ. მანეთის პროდუქცია, ნამდვილად კი მოგვცა 461 მილ. მანეთის, ხუთწლიანი გეგმის მიხედვით 1932-33 წელს გზათა სახალხო კომისარიატისათვის უნდა დამზადებულიყო 1.600 ვაგონი. (ოროღერძიანი ანგარიშით), ფაქტიურად 1931 წელს დამზადდა 20.000 სამი წლის განმავლობაში დამზადდა 378 მილ. მანეთის სატრაქტორო, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ე. ი. 32 პროცენტით უფრო მეტი, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო მთელი ხუთწლედისათვის (286 მილიონი მან.).

მთელ რიგ დარგებს თუმცა არ მიუღწევიათ ასეთი შედეგებისათვის, მაგრამ მათ 1931 წელს ბევრად უფრო მეტი პროდუქცია მოგვცეს, ვიდრე ეს დასახული იყო ხუთწლიანი გეგმით. რაიონულ ელსადგურებს უნდა გამოემუშავებინათ 5 მილიარდი კილოვატი საათი ენერგია, ფაქტიურად გამოიმუშავეს 6,4 მილ. კ. ს. 5. წლ. გეგმის მიხედვით მესამე წელს ამოღებული უნდა ყოფილიყო 53 მილიონი ტონა ქვანახშირი, ფაქტიურად ამოღებულია 56 მილიონი ტონა, ტორფი ამოღებული უნდა ყოფილიყო 9 მილიონი ტონა, ნამდვილად ამოღებულია —9 ნახ. მილიონი ტონა, გათვალისწინებული იყო 800 ტრაქტორის დამზადება, დამზადდა—40.000. გზათა სახალხო კომისარიატისათვის გამოშვებული უნდა ყოფილიყო 660 ორთქლმავალი, 1931 წელს გამოშვებულია 818 ორთქლმავალი, განზრახული იყო 5 ათასი კვადრატული მეტრი. ორთქლის ქვაბების დამზადება, დამზადდა 206.000 კვადრატული მეტრი. ფეხსაცმელები უნდა დამზადებულიყო 60 მილ. წყვილი, დამზადდა 76,8 მილ. წყვილი. კალოშები 51 მილიონ წყვილის ნაცვლად ფაქტიურად გამოშვებულია 58,9 მილიონი წყვილი. ხუთწლიანი გეგმით დასახული იყო 5.000 კილოვატის ტურბინების აგება. 1931 წელს აგებულია—758.000 კილოვატის. აი, ამხანაგებო, ის დარგები, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ ხუთწლიანი გეგმის დავალებებს 1931 წლისათვის.

თუ ავიღებთ მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციას, დავინახავთ, რომ გასულ წელს აქაც საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმის ვარაუდი. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით მთელ მრეწველობას 1931 წელს უნდა მოეცა 19,6 მილიარდი მანეთის საერთო პროდუქცია, 1931 წელს ჩვენ გვაქვს 27 მილიარდი მანეთის პროდუქცია, მძიმე მრეწველობის დარგში 1931 წელს ხუთწლიანი გეგმის ვარაუდით უნდა გვქონოდა 7 მილიარდი მანეთის პროდუქცია, გვაქვს—10 მილიარდი მანეთის. 1931 წელს გაიზარდა მსუბუქი მრეწველობაც, თუმცა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ნაკლებობა აფერხებს ამ ზრდას,

ფართო მოხმარების საგნების წარმოება 1931 წელს ასეთი იყო: ბამბეულის ქსოვილები—2.246 მილიონ მეტრი, შალეულის გამზადებული საქონელი—132,7 მილიონი მეტრი, აბრეშუმის გამზადებული ქსოვილები—18 ნახ. მილიონი მეტრი, ხელოვნური ბოჭკო—1.774 ტონა, სამკერვალო მრეწველობის პროდუქცია (გამოტოვებულია)... (მხოლოდ ს. მ. უ. საბჭოს ხაზით), ფეხსაცმელი—76,8 მილიონი წყვილი, კალოშები—58 მილიონი წყვილი, სამეურნეო საპონი—127.000 ტონა, (მხოლოდ ს. მ. უ. საბჭოს ხაზით), შარშანდელთან შედარებით ფართო მოხმარების საგნების წარმოება გაიზარდა; შალის ქსოვილების თითქმის 8 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილების—4 პროცენტით, ხელოვნური ბოჭკო—200 პროცენტით, ეს დარგი მხოლოდ ეხლა ვითარდება ჩვენში, სამკერვალო მრეწველობა გაიზარდა 58 პრ., სატრიკოტაჟო—29 ნახ. პროცენტით, კალოშების—27 პრ., სამეურნეო საპნის წარმოება—18 პროცენტით.

წარმოების დიდ ზრდასთან ერთად ფართოთ გაიშალა კაპიტალური მშენებლობა. კაპიტალური დაბანდებანი 1931 წელს (ელექტროფიკაციასთან ერთად) შეადგენს 7 მილიარდ მანეთს, წინა ორი წლისა და სამი თვის განმავლობაში კი სულ დაბანდებული იყო 6.087 მილიონი მანეთი. ამუშავდა 3,5 მილიარდი მანეთის ახალი საწარმონი და აგრეგატები, წინა ორი წლისა და სამი თვის განმავლობაში კი ავამუშავეთ 3.390 მილ. მანეთის.

იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში ადგილი აქვს ასეთ ზრდას, მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში არაჩვეულებრივად ეცემა წარმოება და ინგრევა საწარმოო ძალები. წელს ჩვენი მრეწველობა გაიზარდა 21 პროცენტით. ასეთი ზრდა არ ახსოვს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას მრეწველობის განვითარების საუკეთესო პერიოდებშიაც კი. ყველაზე უფრო დიდი ზრდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში (შეერთებულ შტატებს საერთოდ ჰქონდა სარეკორდო ტემპები კაპიტალიზმის ისტორიაში) არ აღემატებოდა 5-6-7 პროცენტს. დღეს მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში ადგილი აქვს უაღრესად მწვავე კრიზისს, რომელიც უკვე ორ წელიწადზე მეტია გრძელდება. ერთა ლიგის ცნობების მიხედვით 1926 წელთან შედარებით წარმოება დაეცა: ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში —31.5 პროცენტით, გერმანიაში—16 პრ.. მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში—20 პროცენტით

რა ხდება ჩვენს ქვეყანაში? ავიღოთ გამოსავალ პუნქტად იგივე 1926 წელი, თუმცა ერთა ლიგამ საგრძნობლად შეამცირა ჩვენი ზრდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც სურათი მეტად თვალსაჩინოა: 1926 წელს ჩვენ გვაქვს ზრდა 100 პროცენტით, შემდეგ 177 პროცენტით, 147 პროც., 170 პროც., 198 პროც., 1931 წელს—219 პროც., ნამდვილად კი 1931 წელს ჩვენ გვქონდა ზრდა არა 219 პროცენტით, როგორც ერთა ლიგა აღნიშნავს. რომელმაც საგრძნობლად შეამცირა ჩვენი ზრდა, არამედ 279 პროც. (ტაში).

აი, ამხანაგებო, მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში.

მაგრამ შეიძლება თუ არა, ამხანაგებო, აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ვლადიმერ ილიჩის ცნობილი ლოზუნგი „დავეწიოთ და გავუსწროთ“ ტექნიკური ეკონომიური მხრით დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებს, ჩვენ უკვე განვახორციელეთ? რა თქმა უნდა, არა. მიუხედავათ ჩვენი მრეწველობის სწრაფი ზრდისა, ჩვენ ჯერ-ჯერობით შორსა ვართ ამ ლოზუნგის განხორციელებიდან. შორსა ვართ თუნდაც იმიტომ, რომ ჩრდ.-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1931 წელს გამოუშვეს 19 მილ. ტონა თუჯი, ჩვენ კი მხოლოდ 8 მილ. ტონა, გერმანიამ 1931 წ. გამოუშვა 6 მ. ტ., ინგლისმა—3,7 მილ. ტონა, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შავმა მეტალურგიამ ინგლისში 1931 წელს 70 წლით დაიხია უკან. დაწევა და გასწრება ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დავამზადოთ არა ნაკლებ 42 მილ. ტონა თუჯისა, რომელიც ჰქონდა ამერიკას 1929 წელს.

ახალი ტექნიკის დაუფლება

მაგრამ მარტო რაოდენობითი ზრდის ციფრები არ გვაძლევენ იმ ხარისხობრივი გარდატეხის სრულ სურათს, რომელიც ხდება ჩვენს მრეწველობაში.

1931 წელს პირველად შევუდექით პრაქტიკულად ახალი ტექნიკის დაუფლებას, წარმოების მოგვარებას, როგორც მომქმედ ქარხნებში, ისე ახლად ამუშავებულ გიგანტებში

ჩვენ 1931 წელს ავამუშავეთ 3,5 მილიარდი მანეთის ახალი საწარმონი. 3,5 მილიარდი მანეთი თავის თავად საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ ამასთან საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ 1931 წელს და 1932 წლ. იანვარში ჩვენ ავამუშავეთ მთელი რიგი უზარმაზარი საწარმონი უახლოესი ტექნიკით რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ჩვენი შემდგომი განვითარებისათვის. ეს საწარმონია: ნიჟნი-ნოვგოროდის საავტომობილო ქარხანა—140.000 ავტომობილი, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა—50.000 ტრაქტორი, მოსკოვის საავტომობილო ქარხანა—30.000 საბარგო ავტომობილი, ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის პირველი რიგი, სარატოვის კომბაინების ქარხანა—20.000 კომბაინი, ნიჟნი-ნოვგოროდის საფრეზე დაზგების ქარხანა—12.5 ათასი დაზგა წელიწადში, დაზგების ქარხანა მოსკოვში—6.000 დაზგა წელიწადში, ურალის სპილენძის სადნობი ქარხანა—20.000 ტონა სპილენძი, პოლიარული წრის გაღმა ავაშენეთ სამრეწველო ქალაქი, გავშალეთ ხიბინის აპარატების დამუშავება, ავაგეთ კრეკინგები, მათ შორის საბჭოთა ინჟინერების —შუხოვისა და კაპელიუშნიკოვის სისტემის კრეკინგი, სულ მალე ამუშავდება კუზნეცკის მეტალურგიული ქარხანა, დღეს დაინთება ბუმბერაზული სიდიდის პირველი ბრძმედი, რომლის ბადალიც არ მოიპოვება მთელს მსოფლიოში — მაგნიტოგორსკის ბრძმედი (ტაში). ამ დღეებში ამუშავდება ბერეზნიკის პირველი რიგი, ნევის ქიმიური ქარხანა, ვოსკრესენსკის ქიმიური ქარხანა, უახლოეს ორ-სამ კვირაში ამუშავდება „შარიკოპოდშიპნიკი“, რომელიც წელიწადში მოგვცემს 24 მილ. საკისარს. დაიწყო ფრეზერის საინსტრუმენტო ქარხნის მონტაჟი მოსკოვში ამუშავდა ქვანახშირის 69 მაღარო 28 მილ. ტონა პროდუქციით — მათ შორის არის მაღაროები, რომელთაგან თითეული ყოველწლიურად მოგვცემს მილიონ ტონას. პროკოპიევის რაიონში მაღარო № 5—6-ის სიმძლავრე უდრის—1.600000 ტონას. წელს ამუშავდა ერთი მილიონი კილოვატის სიმძლავრის ელსადგურები, ე. ი. იმდენი, რამდენიც ორ წინა წელს, იმდენი, რამდენიც იყო მეფის რუსეთში 1913 წელს. ამათგან უმნიშვნელოვანესი სადგურებია: შტეროვის—დამატებით ამუშავდა 93.000 კილოვატი, კაშირის—44. ათასი კილოვატი,,,ივგრესი—72.000, ნიგრესი—94.000, ლენინგრადის მეორე ელსადგური—48.000, ზუევის—150 ათას კილოვატი. ჩელიაბინსკის სადგური—48.000 კილოვატი, მაგნიტოგორსკის—36.000 კილოვატი, კიზელის—22.000 კილოვატი, სტალგრესი—24.000 კილოვატი და სხვ.

10 წლის წინად 1921 წელს კომინტერნის მესამე კონგრესზე ვლადიმერ ილიჩი ამბობდა: „12 ათასი კილოვატი მეტად მცირე დასაწყისია, შეიძლება უცხოელებმა, რომლებიც იცნობენ გერმანიისა და შვეციის ელექტროფიკაციას, გაიცინონ ამის შესახებ, მაგრამ კარგად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის“. (ლენინი, ტ. 26, გვ, 463). მართალი იყო ილიჩი, როდესაც მას უხაროდა 12 ათასი კილოვატის ამუშავება რევოლიუციის წლებში, იგი დარწმუნებული იყო, რომ გაივლის რამდენიმე წელი, და ჩვენ ავამუშავებთ მრავალ მილიონ კილოვატს.

მაგრამ საჭირო იყო არა მარტო ამ სადგურების ამუშავება, საჭირო იყო არამარტო იმ საწარმოთა აგება, რომლებიც აქ დავასახელეთ, არამედ საჭირო იყო გაცილებით უფრო მეტი—საჭირო იყო ჩვენს მიერ ევროპიდან და ამერიკიდან შემოტანილი მაღალი ტექნიკის გამოყენება ჩვენი სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ამხ. **სტალინმა** გასულ წელს სამეურნეო მუშაკების თათბირზე მკვეთრად დასვა ტექნიკის დაუფლების საკითხი. მართლაც, რა აზრი აქვს დიდი ქარხნების და დიდი ელსადგურების აშენებას, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ შემდეგ მათ ამუშავებას. თქვენ ყველამ საუცხოვოთ იცით, თუ როგორ გვიხაროდა სტალინგრადის ქარხნის ამუშავება, როგორი შეუპოვარი მუშაობა დასჭირდა სტალინგრადის ქარხანას, სანამ მას ფეხზე დავაყენებდით: მაღალი ამერიკული ტექნიკა ერთბაშად ვერ შევითვისეთ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანოს — გაზეთ „ფორვერტს“-ს არა ერთხელ გამოუხატავს სიხარული იმის გამო, რომ ბოლშევიკები ვერ უძლვებიან ახალი ამერიკული ტექნიკის შეიარაღებულ ქარხანასო.. გერმანიის მენშევიკების ორგანო გესლიანად აღნიშნავდა, რომ თუმცა იმ ქალაქს, სადაც აგებულია ეს უზარმაზარი ქარხანა, ეწოდება სტალინის — ფოლადის კაცის სახელი, მაგრამ მარტო ფოლადისებური ნებისყოფა არ კმარა ამ მაღალი ტექნიკის დაუფლებისათვისო. გამოირკვა, რომ ბოლშევიკების ნებისყოფამ, მუშების ნებისყოფამ სავსებით დაიმორჩილა ეს ბუმბერაზი, და ეს ნებისყოფა აიძულებს მას ემსახუროს სოციალიზმის საქმეს და ყოველდღიურად გამოუშვას 100 ტრაქტორზე მეტი კოლმეურნეობათა მინდვრების დასამუშავებლად.

მუშათა ახალგაზრდა კადრებმა, ახალგაზრდა და ძველმა ინჟინერებმა დიდი ენერგიით და საბჭოთა ხელისუფლებისადმი უდიდესი ერთგულებით მოჰკიდეს ხელი საქმეს, და ამჟამად ქარხანა სავსებით და მთლიანად ჩვენს ხელშია. ქარხანამ გასულ წელს —30 იანვარს მოგვცა 87 ტრაქტორი, 1932 წლის 30 იანვარს ამ ქარხანაში კონვეიერიდან გადმოღებული იქნა 130 მანქანა (ტაში).

ამხ. პტუხამ ეს-ეს არის გადმომცა, რომ ქარხანაში ამჟამად სწარმოებს დისკუსია იმის შესახებ, საზღვარია თუ არა დასახული სიმძლავრე—144 მანქანა დღე-ღამეში? თუ ამ ჟამად ქარხანა დღე-ღამეში უშვებს 130 მანქანას. ეჭვს გარეშეა, რომ არა უგვიანეს მარტის დამლევისა ან აპრილის დასაწყისში იგი მოგვცემს 144 მანქანას დღეში.

მე ვეთანხმები იმ სტალინგრადელ ამხანაგებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ 144 არ არის საზღვარი, მე დარწმუნებული ვარ, რომ სტალინგრადის ქარხნის მუშები, ინჟინერები და ტექნიკოსები ერთხელ კიდევ დაუმტკიცებენ ჩვენს მტრებს, რომ ისინი არა მარტო დაეუფლენ ქარხანას, არა მარტო მთლიანად ასრულებენ დაწესებულ ნორმას არამედ აგრეთვე კონვეიერიდან დღეში გადმოიღებენ 200 ტრაქტორს. (ტაში). აღარ შევჩერდები სხვა ქარხნებზე, სადაც ჩვენ გაგვიძნელდა მაღალი ტექნიკის დაუფლება. შევეხები მხოლოდ ქვანახშირის მრეწველობას. თქვენ გახსოვთ, რომ 1930 წელს ძალზე შემცირდა ქვანახშირის ამოღება ქვანახშირის ყველა რაიონებში, განსაკუთრებით დონბასში, სადაც ქვანახშირის ამოღება 1930 წლის ივლისსა და აგვისტოში დაეცა 70—75 ათას ტონამდე დღე-ღამეში. 70—75, 80—100 ათასი ტონით შორს ვერ წავალ, ასეთ ბაზაზე ვერავითარ მძლავრ მეტალურგიას ვერ შექმნი. 1930 წლის შემოდგომაზე გადაჭრით დაისვა ქვანახშირის ამოღების მექანიზაციის საკითხი. მთელი 1931 წლის განმავლობაში ჩვენ თავს ვიტეხდით ამ საკითხზე, მთელი პარტია და ცენტრალური კომიტეტი, განსაკუთრებით უკრაინის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, კერძოდ ამხ. კოსიორი, რომელიც მაღაროებიდან არ გამოდიოდა, თავს იტეხდენ მექანიზაციის საკითხის გადაჭრაზე. მაგრამ ძალიან ნელა მივდიოდით წინ. ბოლოს გარდატეხა დაისახა. იქ, სადაც გასულ წელს იღებდენ 100 000 ტონას, წელს დღე-ღამეში იღებენ 140-144 ათას ტონა ქვანახშირს. ეს უეჭველად მიღწევაა, ეს უეჭველად მოწმობს იმას, რომ ჩვენ ვისწავლეთ მექანიზმების გამოყენება. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს სრულიად არ კმარა. იმავე მექანიზმებით და იმავე რაოდენობის მუშახელით ჩვენ გაცილებით უფრო მეტი ქვანახშირი უნდა მივიღოთ. აქ ვერაფერს ვერ გააწყობთ ლაპარაკით იმის შესახებ, რომ ეს არ მოგვცეს, ის არ მოგვცესო და სხვ. ყველა საქვანახშირო რაიონებში ამჟამად გვაქვს მატერიალური და ტექნიკური შესაძლებლობა მივსცეთ ჩვენს ქვეყანას იმაზე მეტი ქვანახშირი, ვიდრე დღეს ვაძლევთ. მეტალურგია, ტრანსპორტი და საერთოდ მთელი ჩვენი მეურნეობა სათბობის მშიერ ულუფაზე ველარ დარჩება. სათბობი უნდა ეჭნეს ქარხნებსა და ორთქლმავლებს. სათბობი უნდა იყოს ყველგან, რომ ადამიანებმა შესძლონ დამშვიდებით მუშაობა. ქვანახშირის მუშაკებზეა სავსებით დამოკიდებული ამ საქმის სწრაფად წინ წაწევა.

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის გაკვეთილებს, ქვანახშირის მრეწველობის გაკვეთილებს ფუჭად არ ჩაუვლია ჩვენთვის. მეორე სატრაქტორო ქარხანას—ხარკოვის ქარხანას აღარ სჭირდება საყმაწვილო სენის ხანგრძლივი სტადიის გავლა.

იგი თავიდანვე, ამუშავების მომენტიდანვე საკმაოდ დამაკმაყოფილებლად მუშაობს და დღეს გვაძლევს 50 ტრაქტორს დღეში. სტალინგრადის ქარხანას დაახლოვებით ათი თვე დასჭირდა იმისათვის, რომ მოეცა 50 ტრაქტორი, ხარკოვის ქარხანას კი დასჭირდა სულ 4 თვე. ეს უკვე საშიში აღარაა. მე ვფიქრობ, რომ ხარკოვის ქარხანა გაამართლებს ჩვენს იმედებს და მალე შეეჯიბრება სტალინგრადის ქარხანას.

ამხ. **კოსიორი**: გვჭირდება ლითონი, ლითონი არ გვყოფნის.

ამხ. **ორჯონიკიძე**: ლითონი არ გეყოფნისთ, ამხანაგო კოსიორ? ლითონიც მოიპოვება იმ რაიონებში, სადაც ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაა. (სიცილი). თუ ჩვენ ვისწავლით ისე მუშაობას, ჩვენს მეტალურგიულ ქარხნებში, როგორც ეს საჭიროა, არ არის არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა ლითონის ნაკლებობის გამო ვერ შესძლებს მთელი თავისი სიმძლავრის გამოყენებას.

ამხ. **კოსიორი**: მართალია!

ამხ. **ორჯონიკიძე**: ლითონის შესახებ მე ვილაპარაკებ ცალკე. ამიტომ აქ დავკმაყოფილდები მხოლოდ ამ შენიშვნით.

ქარხანა „ამო“ თუმცა უფრო ნელი ნაბიჯით მიდის. წინ, მაგრამ მან მაინც გამოუშვა გუშინ 48 მანქანა. ამხ. ლიხაჩევს იმედი აქვს, რომ იგი არ ჩამორჩება სხვა ქარხნებს. დღეს ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ნიჟნი-ნოვგოროდის ქარხანამ უკვე გამოუშვა პირველი მანქანები, მან ამ თვეში უნდა მოგვცეს 25 მანქანა. ეს მხოლოდ პირველი ცდაა, ეს მხოლოდ მზადებაა მუშაობისათვის. 25 მანქანა იმ ქარხნისათვის, რომელმაც მისი მოწყობილობის მიხედვით ყოველდღიურად უნდა მოგვცეს 150 მანქანა—არაფერი არაა. ქარხანა მხოლოდ დღეს იწყებს მუშაობას. ის ფაქტი, რომ მან უკვე გამოუშვა მანქანები და ის ცნობები, რომლებიც მე მაქვს ამ ქარხნის შესახებ, მოწმობენ იმას, რომ ეს ქარხანაც გაშლის თავის წარმოებას ისე, რომ არ დასჭირდება საყმაწვილო სენის ხანგრძლივი პერიოდის გავლა. ამრიგად 1931 წელს ჩვენ დავაგროვეთ გარკვეული გამოცდილება ბუმბერაზ ქარხნების ამუშავებისათვის და მათი წარმოების გაშლისათვის.

1932 წელს ჩვენ ავამუშავებთ ბევრად უფრო მეტ ბუმბერაზ ქარხნებს და საერთოდ ახალ საწარმოებს, რომლებიც შეიარაღებულნი იქნებიან მაღალი ტექნიკით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ 1931 წლ. გამოცდილება საგრძნობლად გაგვიადვილებს წარმოების სწრაფად გაშლას ამ ქარხნებში. ყოველ შემთხვევაში, ეხლა უკვე არავის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ ბოლშევიკები დაეუფლებიან უმაღლეს ტექნიკას სოციალიზმის სასარგებლოდ.

მე არ მინდა პარტიული კონფერენციის ტრიბუნიდან შევარცხვინო ისინი, რომლებიც სტალინგრადის ქარხნის შესახებ სწერდნენ, რომ ჩვენ არაფერი არ გამოგვივა, რომ ამერიკულ მანქანებს ვეპყრობით „რუსულ წესზე“, რომ ჩვენ ამ საქმეს ვერ წავსწევთ წინ ამერიკელების დაუხმარებლადო. რა თქმა უნდა, ამერიკელების დახმარება კარგია, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. ჩვენი მუშებით, ინჟინერებით და ტექნიკოსებით ამერიკის ტექნიკა სტალინგრადისა და ხარკოვის ქარხნებში გამოვიყენეთ ჩვენი კოლექტივიზაციის სასარგებლოდ, ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ (ტაში).

იგივე ითქმის ელსადგურებზეც, რომელთა შესახებ მე ვლაპარაკობდი. რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იყო მათი აგება და მოწყობა, მაგრამ ამ მექანიზმების დაუფლება გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა. თქვენ ხშირად კითხულობთ ნიჟნი-ნოვგოროდის და შტეროვის ელსადგურების შესახებ, თუ რამდენ შეფერხებას და რამდენ მარცხს აქვს იქ ადგილი. მაგრამ ჩვენ რომ ამ ფრონტზე დღითი-დღე ვმაგრდებით, ესეც ფაქტია.

ახალი წარმოებანი და ახალი დარგები

ამხანაგებო, ახალ საწარმოების აშენებასა და იქ ტექნიკის დაუფლებასთან ერთად, ჩვენ მრავალ მომქმედ ქარხანაში ხელი უნდა აგვეღო მოწყობილ წარმოებაზე და გადავსულიყავით ახალი სახის წარმოებებზე.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მსხვილ სოციალისტურ მიწადმოქმედებაზე გადასვლა მოითხოვდა მაღალი ტექნიკური ბაზის შექმნას. ჩვენ ტრაქტორები დავამზადეთ, მაგრამ ტრაქტორს დასჭირდა სულ სხვა ინვენტარი, ვიდრე წინად ვამზადებდით. ამხ. იაკოვლევი დაჟინებით მოითხოვდა ამ ინვენტარს და მრეწველობა იგი სულ მოკლე ვადაში უნდა დაემზადებია; სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობა გარდაიქმნა და თესვის კამპანიისათვის შესაძლებელი გახდა დაგვემზადებია სატრაქტორო ინვენტარის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას ხუთ წელში უნდა მოეცა 1.880 მილიონი მანეთის სატრაქტორო ინვენტარი. 3 წელში ფაქტიურად დავამზადეთ 1.022 მილიონის პროდუქცია, აქედან 878 მილიონი მანეთის სატრაქტორო ინვენტარი. სატრაქტორო ინვენტარის პროდუქციის იმ რაოდენობას, რომლის დამზადება გათვალისწინებული იყო ხუთ წელში, ჩვენ სამ წელში 82 პროცენტით გადავაჭარბეთ. 4 წელში, 1932 წლის გეგმის ჩათვლით, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა მოგვცემს 1.970 მილიონი მანეთის პროდუქციას, აქედან—1.058 მილიონის სატრაქტორო ინვენტარს, ე. ი. 3 ნახევ.—4-ჯერ მეტს, ვიდრე ხუთი წლის განმავლობაში იყო ნავარაუდევი. ხუთწლედის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მთელი პროდუქციის 25 პროცენტი 1932-33 წელს უნდა ყოფილიყო სატრაქტორო ინვენტარი. ფაქტიურად კი სატრაქტორო ინვენტარი შეადგენდა: 1928-29 წელს—სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მთელი პროდუქციის 4,4 პროცენტს, 1929-30 წელს—21 პროც. 1931 წელს—61 პროცენტს, ხოლო 1932 წელს იქნება—76 პროცენტი.

რა ხდებოდა ამ დარგში? ჩვენში არასოდეს არ მზადდებოდა სატრაქტორო გუთნები, სატრაქტორო სათესი მანქანები, კომბაინები, სელის საჩეჩი მანქანები, ბამბის ამკრეფი მანქანები, კარტოფილის მთხრელი მანქანები და სხვ. ჩვენი ქარხნებისათვის არა თუ უცხო იყო ეს წარმოებანი, არამედ წლის დასაწყისში ჩვენ არ გვქონდა მთელი რიგი მანქანების ნიმუშებიც კი. უნდა გამოგვენახა ეს ნიმუშები, უნდა გადმოგვეღო ნახაზები, შინაური წესით უნდა გაგვეკეთებია პირველი ეკზემპლიარები, ხოლო შემდეგ შევსდგომოდით ამ მანქანების მასიურად წარმოებას.

თესვის კამპანიისათვის და მთელი 1931 წლის განმავლობაში დავამზადეთ 82.000 სატრაქტორო სათესი მანქანა, 177.000 სატრაქტორო სალეწი, 21.000 სატრაქტორო სათიბი, 14,7 ათასი ძნასაკრავი, 3 ნახევარი ათასი კომბაინი, 980 ვინდროვერი, 592 გადამრჩევი, 1.667 ცალი ბამბის ამღები მანქანა, 3.600 ცალი ჭარხლის სათხრელი მანქანა, 16 ნახევარი ათასი სატრაქტორო მზიდი, 55.000 ცალი სატრაქტორო გადასაბმელი, 2 ნახევარი ათასი ცალი კარტოფილის ლამრგავი მანქანა, 11.000 ცალი კარტოფილის მთხრელი (საცხენე), 196—სასიმინდე პიკერი, 336—ნაკელის მომყრელი, 402—მარცვლეულის ელევატორი, 1.547—საკვების ამორთქლებელი, 21.000—ბამბის სათესი მანქანა, 4.827—სატრაქტორო კულტივატორი სათოხნი კულტურებისათვის. 7.000—სელის საჩეჩი, 3.399—სელის დამხრეხი № 5 და 7, 1.940 ცალი მანქანა, სელის და ლაფანის სხვა ბოჭკოების პირველადი დამუშავებისათვის (დეკორტიკატორები, ქულის მწმენდი და სხვ.). ყველა ეს მანქანები ჩვენში წინად ან სრულიად არ მზადდებოდა, ან მეტად მცირე რაოდენობით მზადდება.

ტვირთ-ზიდვის ფართო მასშტაბით განვითარებამ აგრეთვე მოითხოვა ახალი მოძრავი შემადგენლობა. რაც წინად იყო, ის ამჟამად ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგვაკმაყოფილებს. მართლაც, პირდაპირ ბარბაროსობაა, როცა მადანის გადატანა დახურული ვაგონებით გვიხდება. საჭირო იყო დიდი ღია პლატფორმების წარმოების მოწყობა. უნდა დაგვემზადებია ახალი მძლავრი ორთქლმავლები. ამას შეზღუდული მასშტაბით შევუდექით 1931 წ. მაგ., ოთხღერძიანი ცისტერნები დავამზადეთ 3.488, ხოლო 1930 წელს დამზადდა 676. დიდი ტვირთის პლატფორმები დავამზადეთ — 4.556, 1930 წელს კი დამზადდა—942 ცალი.

ელექტროფიკაციის განვითარება მოითხოვდა, რომ მისთვის შეგვექმნა მძლავრი სამანქანათმშენებლო ბაზა. ამასთან უნდა მოგვეწყო უახლესი მანქანების წარმოება. ამ საქმემაც წინ წაიწია. 24.000 კილოვატის სიმძლავრის ტურბოგენერატორი ჩვენში აშენდა 1930 წელს, ხოლო 1931 წლის დამლევს დამზადდა 50.000 კილოვატიანი ტურბოგენერატორი, რომელიც კაშირის სადგურზე მუშაობს. დაიწყო 62.0000 ძალიანი ტურბინების აშენება დნეპროსტროისათვის.

არა თუ მეფის რუსეთში, არამედ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგაც 1924 წლამდე ტურბო და ჰიდროგენერატორები არ შენდებოდა. დამზადდა ელექტრომოწყობილობა მძლავრი ბლიუმინგისათვის.

დამზადდა ელექტრომოწყობილობა ქვანახშირის მრეწველობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციისათვის (მოტორები, საჭრელი მანქანები და სხვ.)

80 კილოვატის სიმძლავრის საბურღი მანქანები ნავთის მრეწველობისათვის.

ასინხრონის მოტორები (1.600 კილოვატიანი, 125 მიმოქცევის), მოტო-გენერატორები (2.500 კილოვატიანი) სატკეცი დაზგებისათვის.

ტრანსფორმატორები 20.000 კილოვატამდე.

საზეთო გამომრთველნი 115.000 ვოლტის ძაბვის და მილიონნახევარი კილოვატ ამპერის სახეთქი სიმძლავრის.

1931 წლის მეორე კვარტალში დამზადდა 120.000 ვოლტის მიწისქვეშა კაბელი, ხოლო 1931 წლის დამლევს—220.000 ვოლტის მიწისქვეშა კაბელის ნიმუშები (ახლა გამოცდა სწარმოებს) და 380.000 ვოლტის ძაბვის შიშველი კაბელის საცდელი ბოლო. გერმანიაში არსებული მიწისქვეშა კაბელის ყველაზე მეტი ძაბვა აღწევს სულ 100.000 ვოლტს, ამერიკაში—132.000 ვოლტს და ახლა ცდიან 220.000 ვოლტიანს. ევროპასა და ამერიკაში ხმარობენ 220.000 ვოლტის ძაბვის შიშველ კაბელს.

ესევე ითქმის, ამხანაგებო, ქვაბ-ტურბინის შესახებ. ქვაბები 1913 წელს მეფის რუსეთში დამზადდა 30.000 კვადრატული მეტრი, 1930 წელს—138.000 კვადრატული მეტრი, 1931 წ.—207.000 კვადრ. მეტრი. ტურბინები 1907-დან 1916 წლამდე სულ დამზადდა 24 ცალი 8.000 კილოვატის საერთო სიმძლავრის, 1930 წელს გამოშვებულ იქნა 283.000, 1931 წელს—758.000 კილოვატი.

სტალინის სახელობის ლითონის ქარხანაში მოეწყო 24-ათასიანი და 50 ათასიან ტურბინების სერიული წარმოება. დაპროექტებულია 25.000 კილოვატის თბოფიკაციის ტურბინა, 1932 წელს დამზადდება 8 ცალი. შევუდექით 1.500 კვადრატული მეტრის ქვაბების დამზადებას.

1930 წლამდე არ სწარმოებდა მოწყობილობის და გამამდიდრებელი მოწყობილობის დამზადება მეტალურგიული, სამთამადნო, ქვანახშირის და ნავთის მრეწველობისათვის, 1930 წელს დამზადებული იქნა 10 მილიონის მოწყობილობა, 1931 ქარხანაში პირველად იქნა დამზადებული 2 ბლიუმინგი. ჩვენში დამზადებულია 4 ჩამომსხმელი მანქანა, პირველად დაიწყო კრეკინგების, გამამდიდრებელ და სხვადასხვა მოწყობილობის დამზადება. შექმნილია სრულიად ახალი დარგი, რომელიც ჩვენში წინად თითქმის სულ არ იყო—ეს არის ავტო-ავტრაქტორო მანქანათმშენებლობა. 1931 წელს ჩვენ გამოუშვით 40.000 ცალი ტრაქტორი, ნაცვლად 12.727-სა 1930 წელს, ცხენის ძალებში ეს შეადგენს: 1931 წელს—550.000 ცხ. ძ., 1930 წელს—123.000 ცხ. ძ.; ავტომანქანები: 1931 წელს—23.500 ცალი, 1930 წელს—8.500 ცალი. საჭირო იყო საკუთარი დაზგათმშენებლობის დაყენება, ვინაიდან უამისოდ ჩვენ მუდამ დამოკიდებული ვიქნებოდით საიმპორტო დაზგებზე. ეს საქმე ძველ, ომის წინადროინდელ რუსეთში ჩანასახ მდგომარეობაში იყო. 1913 წელს დაზგების მთელი წარმოება შეფასებული იყო 3,3 მილიონ მანეთად. 1920-29 წლ. სულ გამოშვებულია 8,5 მილიონი მანეთის დაზგა. 1931 წელს დაზგების პროდუქცია მთელს საბჭოთა კავშირში უდრიდა 55 მილ. მანეთს, ესე იგი 15-ჯერ და უფრო მეტად სჭარბობდა ომის წინადროინდელ პროდუქციას, 1931 წელს გამოშვებულ იქნა 16.000 ცალი დაზგა, ნაცვლად 7.000-სა 1930 წელს.

1931 წელს მთელს საბჭოთა კავშირში ჩვენ გამოვუშვით ლითონისმჭრელი სხვადასხვა დაზგების დაახლოვებით 40 მოდელი.

1931 წლის დამლევს დამთავრდა სააღმშენებლო სამუშაოები მოსკოვის სარევოლვერო დაზგების ქარხანაში (ღირებულება 26,2 მილიონი მანეთი, ქარხანა ორ ცვლაში მუშაობის დროს გამოუშვებს 6,200 სარევოლვ. დაზგას და მეტად გაუმჯობესებული კონსტრუქციის ნახევარავტომატებს) და ნიჟნი-ნოვგოროდის საფრეზერო დაზგების ქარხანაში (ღირებულება 30 მილიონი მანეთი. ქარხანა ორ ცვლად მუშაობის დროს გამოუშვებს 12.500 საფრეზერო დაზგას).

ორი ახალი ქარხნის ღირებულება უდრის 56 მილიონ მანეთს, ხოლო „დაზგათგაერთიანების“—1931 წელს მომქმედი მთელი ძირითადი კაპიტალი—26 მილიონ მანეთს, ესე იგი ერთი წლის განმავლობაში ძირითადი კაპიტალი გასამკეცდა, ასევე გასამკეცდა საწარმოო სიმძლავრეც 9.000 დაზგიდან 1931 წელს 28.000 დაზგამდე ახალ ორ ქარხანასთან ერთად. 1932 წლიდან დაიწყება თანამედროვე კონსტრუქციის მაღალ კვალიფიციური 15-მდე ახალი მოდელის სერიოზული წარმოება.

ასეთივე ტემპებით მიმდინარეობდა საკუთარი ხელსაწყოების წარმოების დაყენების საქმე. ძველ დროს ეს საქმე მეტად უმნიშვნელოდ იყო დაყენებული. სულ დამზადებულია ხელსაწყო: 1930 წელს—131 მილიონი მანეთის, 1931 წელს—171 მილიონი მანეთის, ე. ი. 30 პროცენტით მეტი. კვალიფიციურ-მჭრელი და საკონტროლო საზომი იარაღის, სხვადასხვა სახის ფრეზერების, იოგანსენის მეტრიული ფილების, მიკრომეტრების და სხვ. დამზადება 1931 წლამდე სრულიად არ სწარმოებდა საბჭოთა კავშირში და თუ სწარმოებდა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით.

1931 წლის განმავლობაში დაიწყო შემდეგი ახალი წარმოება: იოგანსენის ფილები, საჭრელი მიკრომეტრები, საჭრელ-მზომები, მეტრიული მნიშვნელები, ბურღები სწრაფად მჭრელ ფოლადისაგან და სპეციალური საკონტროლო საზომი იარაღის სხვადასხვა სახეები.

1930-31 წელს დამზადებულ იქნა იარაღის უმნიშვნელოვანესი სახეები:

ბურღები 1930 წელს—4300.000 ცალი, 1931 წელს—9.043 ათასი ცალი, პროცენტებში: 1930 წელს—205 პროც. (გამოტოვებულია)... მნიშვნელები სათანადო წლების მიხედვით—461 და 800 (175 პროც.), რგვალი კუთხვილები—121, და 250 (207 პროც.), ფრეზერები—39 და 44 (113 პრ.), მიკრომეტრები—15 და 39 (260 პროც.), შლირები—577 და 813 (141 პროც.), შტანგელები—80 და 113 (140 პროც.), საკანტროლო საზომები—40 და 88 (220 პროც.).

კვალიფიციური სახის მჭრელი და საზომი ხელსაწყოები 1930 წელს დამზადებულია 15,9 მილიონი მანეთის, ხოლო 1931 წ. 30,7 მილ. მ. ე. ი. ზრდა უდრის 100 პროც. მთელი ხელსაწყოების მიხედვით 30 პროცენტის საერთო ზრდასთან ერთად. 1932 წელს ამუშავებული იქნება—ხელსაწყოების ქარხნები „ფრეზერი“ და „კალიბრი“, რომლებიც გამოუშვებენ 100 მილ. მანეთის ხელსაწყოს. ამრიგად ჩვენ აქაც ვდგებით ჩვენ საკუთარ ფეხებზე.

ფართოვდება ქიმიური მანქანათმშენებლობა. საბჭოთა კავშირში 1931 წლამდე სრულიად არ მზადდებოდა მჭრელი და საკანტროლო-საზომი იარაღი. (სხვადასხვა სახეობის ფრეზერები, შლირები, მნიშვნელები, იოგანსენის მეტრიული ფილები, მიკრომეტრები და სხვ.) და თუ სწარმოებდა ისიც მეტად უმნიშვნელო რაოდენობით.

მზადდება სრულიად ახალი სახის მოწყობილობის საბჭოთა კავშირისათვის მაციერები. ვაკუუმსახმობები, გაზგოლდერები, ცენტრიფუგები და სხვა. მშენებლობის პროცესში მყოფ მთელ რიგ ქიმიური მრეწველობის საწარმოებში (დოროგომილოვის, ჩერნორეჩენსკის, ვოსკრესენსკის, ბობრიკის და ბერეზნიკის კომბინატები) საბჭოთა მოწყობილობას დიდი ადგილი უჭირავს.

5-წლიანი გეგმის წლებში, განსაკუთრებით 1931 წლის განმავლობაში, საგრძნობლად შეიცვალა საბჭოთა მანქანათმშენებლობის სახე. თუ 1930 წელს ახალი საწარმოები, რომლებიც პირველად მოეწყო 5-წლედის გასული წლების განმავლობაში, შეადგენდენ მხოლოდ 9 პროცენტს, 1931 წელს ისინი შეადგენდენ მანქანათმშენებლობის მთელი პროდუქციის 25 პროცენტს, (1,211 მილ. მანეთი 4.730 მილ.მანეთიდან), როგორც მე უკვე ვსთქვი მათი უდიდესი ნაწილი მოწყობილია 1931 წელს.

ახალმა მანქანებმა მოითხოვეს შესაფერი მასალა—ხარისხობრივი ფოლადი, 1930 წელს დამზადებულია 65.000 ტონა, 1931 წელს—200 ათასი ტონა. ხარისხობრივი ფოლადის მეტალურგიამ უდიდესი ნაბიჯი უნდა გადასდგას წინ 1932 წელს (660 ათასი ტონა).

წარმოებაში გამოყენებულია ხარისხოვანი და მაღალი ხარისხის ფოლადის მთელი რიგი ხარისხები:

სწრაფმჭრელი ფოლადი—ელექტროფოლადი 1931 წელს—ვ. (გამოტოვებულია)... 1000 ტონა,

ქრომნიკელის ელექტროფოლადი 1931 წელს თითქმის 5 ათასი.

„შარიკოპოდშიპნიკის“—ელექტროფოლადი და ზლატოუსტის ქარხანა.

ავტოსატრაქტორო ფოლადი—„სერპ ი მოლოტ“, „კრასნი ოკტიაბრი“, „კრასნი პუტილოვეცი“ და მარიუპოლის ქარხანა.

ავტოსარესორო—ლისიევსკის ელექტროფოლადი—იჟევსკის,

ნახშირბადოვანი — ზლატოუსტინსკის, საინსტრუმენტო - სატრანსფორმატორო რკინა— ზემოისეტის ქარხანა, 1931 წელს—24 ათასი ტონა.

გარტფილდის ფოლადი—„სერპ ი მოლოტ“ მიწამღების, ქვის სამტვრევებისა და ჩამოსასხმი მანქანებისათვის და სხვ.).

ხარისხობრივი მავთული—„სერპ ი მოლოტ“.

ფეროშენადნობი (ფეროსილიციუმი, ფეროქრომი), ჩელიაბინსკის ქარხანა, ფეროშენადნობის 1931 წელს—5 ათასი ტონა, 1932 წელს—18,5 ათასი ტონა.

მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება

ჩვენი მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდება და ძლიერდება სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა არმია.

მთელი მრეწველობის და მშენებლობის მუშათა რიცხვი 1931 წელს 2 მილიონი კაცით გაიზარდა, სახალხო მეურნეობის უმ. საბჭოს მრეწველობის მუშათა რიცხვი, მოწაფეების და დაბალი პერსონალის გამოკლებით,—445.000 კაცით. მარტო მძიმე მრეწველობაში ჩაბმულ ქალთა რიცხვი 111.000 დან 1930 წელს გაიზარდა 212.000 ათასამდე 1931 წელს.

1931 წლის დამლევისათვის შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანილია მუშათა მთელი რიცხვის 83 პროცენტი,—7 საათიან სამუშაო დღეზე მთლიანად გადაყვანილი არიან შავი მეტალურგიის, ძირითადი ქიმიის და რეზინის მრეწველობის მუშები; თითქმის მთლიანად (95—90 პროცენტით) გადაყვანილი არიან ელექტრო-მრეწველობის, ნავთის, ქაღალდის, საფეიქრო და ფერადი მეტალურგიის მუშებიც.

1931 წელს სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ხაზით ხელფასი 11 თვის განმავლობაში საშუალოდ 16 პროც. გაიზარდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოციალიზებული ხელფასი—სოცდაზღვევა, კულტურული მომსახურება, კლუბები, ბინები, საფაბრიკო-სახელოსნო სკოლების მოწაფეთა შრომის ანაზღაურება—1931 წელს საშუალოდ შეადგენს მიღებული ხელფასის კიდევ 36 პროც.

ხელფასის დარგში ჩვენ გვქონდა და დღესაც გვაქვს კიდევ ერთი, უდიდესი ნაკლი. ეს არის „ცნობილი“ გათანაბრება. ჩვენ რაღაც ნაირად ისეთი სიბრძნე გამოვიჩინეთ, რომ ხელფასის დონის მხრივ მეტალურგია დავაყენეთ მე-11 ადგილზე, ქვანახშირის მრეწველობა—მე-19 ადგილზე, კოქსი—მე-27 ადგილზე, ხოლო მსუბუქი მრეწველობის და სხვა დარგის მუშები კი პირველ ადგილებზე.

თუმცა ეს არასასიამოვნოა, მაგრამ მე მაინც მოვიყვან ერთ ცნობას, თურმე 1913 წელს ქვანახშირის მრეწველობის მუშა ღებულობდა 89 პროცენტით მეტს, ვიდრე ფეიქარი, ხოლო ჩვენში ისე დააყენეს სატარიფო პოლიტიკა, რომ 1924 წელს ქვანახშირის მუშა ღებულობდა 8 პროცენტით ნაკლებს ვიდრე ფეიქარი, 1928-29 წელს მარტო 6 პროცენტით მეტს და მხოლოდ 1931 წელს 37 პროცენტით მეტს. ასეთსავე უმსგავსო მდგომარეობაში აღმოჩნდა შავი მეტალურგიის მუშების ხელფასი. აი როგორი სატარიფო პოლიტიკა გვქონდა ჩვენ გასული წლების განმავლობაში. ჩვენ რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა მოუღოთ ბოლო ამ სრულიად არა ბოლშევიკურ სატარიფო პოლიტიკას. ისეთი ხასიათის გათანაბრებას,

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

---

*) ვაქვეყნებთ ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენების სტენოგრაფიულ ანგარიშს.

რედ.

კონფერენციის დახურვა

მოსკოვი, 4 თებერვალი (საქ. კორ.) დღეს საღამოს მე-17 პარტკონფერენცია დაიხურა.

გიგანტური ნაბიჯებით იზრდება მძიმე ინდუსტრია—სოციალიზმის მტკიცებაზა



(„პრავდა“)

კონფერენციის დღიური

მოსკოვი, 3 თებერვალი. 2 თებერვლის დილის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მოლოტოვი** რომელსაც შეხვდნენ მხურვალე ტაშით და ოვაციებით. კონფერენციამ დიდის ყურადღებით მოისმინა ამხ. მოლოტოვის მოხსენება.

2 თებერვლის საღამოს სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **კუიბიშევი**.

მოსკოვი, 4 თებერვალი. 3 თებერვლის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. მოლოტოვისა და კუიბიშევის მოხსენებათა გამო, დირექტივების შესახებ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი (1933—37 წ.) გეგმის შესადგენათ.

სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ერემინი (მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატი), ლომოვი (საკ. საგეგმო კომისია), ცარკოვი (ლენინგრადი), ვარეიკისი (ცენტრ. შავნიადაგიანი ოლქი), სტეცკი (საკ. კ. პ .(ბ) ცეკა), სტრელცოვი (ცენტრ. საკ. კომისია), მილიუტინი (კომაკადემია), ხატაევიჩი (შუა ვოლგა), **ფინკოვსკი** (ურალ..), გოლოშჩეკინი (ყაზახსტანი), სკრიპნიკი (უკრაინა), შებოლდაევი (ჩრდ. კავკასია), ჟუკოვი (საკ. ელექტროგაერთიანება).

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მოლოტოვისა და კუიბიშევის მოხსენებათა გამო. სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. გრინკო (საბჭ. კავშირის ფინსახკომი), ვეინბერგი (საკ. პროფსაბჭო), კოსიორი (უკრაინის კომპ. (ბ) ცეკა), კამინსკი (მოსკოვი), კრუგლიკოვი (ცენტრ. საკ. კომისია), ეიხე (დასავლეთ ციმბირი), უნშლიხტი, ოსინსკი, ბარანოვი (ადს).

როგორიც ეს არის, არაფერი საერთო არა აქვს ბოლშევიზმთან. მართლაც ვინ იმუშავებს ჩვენში მძიმე სამუშაოებზე მეტალურგიასა და მაღაროებში, თუ მას მიეცა ნაკლები ხელფასი ვიდრე სხვა დარგებში და უფრო იოლ სამუშაოზე. აქ არის მუშათა ცვალებადობის ერთი მიზეზი. ჩვენ შევუდექით ამის გამოსწორებას—1931 წლის ოქტომბრიდან ქვანახშირის მუშებს გაუდიდდათ ხელფასი 27 პროცენტით, მეტალურგიის მუშებს—22 პროცენტით, კოქსის და მადნის მრეწველობის მუშებს—20 პროც.

ამასთან ერთად განუწყვეტლივ სწარმოებდა საცხოვრებელი ფართობის გადიდება. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს მრეწველობაში დაბანდებული თანხების რაოდენობა წლიდან წლობით იზრდება, ამას წინად ამხ. საბსოვიჩი სისულელეს ლაპარაკობდა, რომ თითქოს ჩვენში მუშათა საბინაო მშენებლობას არავითარი ყურადღება არ ექცევა და საბინაო ფართობი სულ უფრო მცირდება. 1924 წელს საბინაო მშენებლობაში დაბანდებული იყო 68 მილიონი მანეთი, 1926 წელს—94 მილიონი მანეთი, 1927 წელს—118 მილ. მანეთი, 1928 წელს—140 მილ. მანეთი, 1929 წელს—175 მილ. მანეთი, 1930 წელს—300 მილ. მანეთი, 1931 წელს—575 მილ. მანეთი, საცხოვრებელი ფონდი, რომელიც ეჭირა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშებს, მოსამსახურეებს და საინჟინერო ტექნიკურ პერსონალს, 1929 წლის პირველ იანვრისათვის უდრიდა 7,5 მილ. კვადრ. მეტრს, 1930 წლის პირველ იანვრისათვის—8,5 მილ. კვადრ. მეტრს, 1931 წლის პირველ იანვრისათვის—10,2 მილიონ კვად. მეტრს, 1932 წლის პირველ იანვრისათვის—14 მილ. კვად. მეტრს.

განსაკუთრებით სდგას საბინაო მშენებლობა ქვანახშირის მრეწველობაში, გასული წლის შემოდგომის დასაწყისში ცენტრალურმა კომიტეტმა მკვეთრად დასვა ქვანახშირის მრეწველობის მუშათა საბინაო საყოფაცხოვრებო პირობების საკითხი. ამხანაგმა სტალინმა მთელი სიმწვავით დასვა საკითხი, რომ როგორც მუშა ხელის ცვალებადობის გადასალახავად, ისე ქვანახშირის მუშების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, საჭიროა წელსვე იქნას მიღწეული ქვანახშირის რაიონებში საბინაო ფართობის გადაჭრით გადიდება. აღნიშნული ამოცანის სასწრაფოდ გადაჭრისათვის ჩვენ დავადგინეთ სტანდარტულ ნაკრები ხის სახლების და ადგილობრივი მასალისაგან სახლების მშენებლობის გზას. თუ 1930 წელს ქვანახშირის რაიონებში დაბანდებული იყო 95 მილიონი მანეთი, 1931 წელს ჩვენ დავაბანდეთ 201 მილ. მანეთი. ქვანახშირის მრეწველობის მუშების, მოსამსახურეების და საინჟინერო ტექნიკური პერსონალის საბინაო ფონდი 1929 წლის პირველ იანვრისათვის უდრიდა 2 მილ. კვადრატულ მეტრს, 1930 წლის პირველ იანვრისათვის 2,2 მილ. კვად. მეტრს და 1932 წლის პირველ იანვრისათვის 4 მილ. კვ. მეტრს.

მაკარი: ხის სახლები ჩვენში ცუდია.

ამხ. ორჯონიკიძე: მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს ხის სახლები, თუ ჩვენ მათ კარგად მოვაწყობთ, მოუვლით მათ როგორც საჭიროა და დავიცავთ სისუფთავეს, ეს სახლები ძალიან კარგი იქნება. რატომ არის, რომ მოსკოვის ახლოს ეს ხის სახლები კარგია ხოლო დონბასში ცუდი? იცით თუ არა თქვენ ამხანაგო მაკარ, რომ არამც თუ ხის სახლები, არამედ (გამოტოვებულია). სახლები, თუ თქვენ მათ არ მოუვლით და აავსებთ ჭუჭყით ყველა სახლები ცუდი იქნება.

ამხ. მაკარი—თუ მშენებლობას აწარმოებს „სტანდარტბინმშენი" სახლები ჭუჭყიანი იქნება.

ამხ. ორჯონიკიძე.—იცით რა, სახლებს აშენებს „სტანდარტბინმშენი", ხოლო ამ სახლებში სცხოვრობთ თქვენ. „სტანდარტბინმშენს არ შეუძლია უკან გდიოთ თქვენ და ასუფთაოს ის სახლები, რომლებშიაც თქვენ სცხოვრობთ. სახლები უნდა გაასუფთაოთ თქვენ. (გამოტოვებულია). „სტანდარტბინმშენმა", უნდა ითქვას, რომ მისი მუშაობის ბევრი ნაკლის მიუხედავად, თითქმის ერთი ორად გაადიდა საცხოვრებელი ფართობი დონბასში.

ამხ. მაკარი.—საჭირო იქნება ვნახოთ.

ამხ. ორჯონიკიძე.—შენ ნახე და გაასუფთავე.

ამხ. მაკარი.— ამხანაგმა პოსტიშევმა ნახა.

ამხ. პოსტიშევი.—მე ვნახე, მაგრამ მე ხომ არ ვამბობ, რომ სახლები ცუდია.

ამხ. ორჯონიკიძე.—გავშალეთ რა მძიმე მრეწველობა—ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ეს საფუძველი, ჩვენ განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით წინ მსუბუქ მრეწველობაშიაც. თუმცა დღეს ჩვენ გვაქვს ფართო მოხმარების საგნების წარმოება, რომელიც საგრძნობლად სჭარბობს ომის წინა დროინდელ დონეს, მაგრამ ჩვენ უნდა უსწორდებოდეთ არა გუშინდელ დღეს, არამედ მუშათა კლასის დღევანდელ მოთხოვნილებებს.

თუ ავიღებთ 1913 წელს დავინახავთ, რომ მთელს რუსეთში მზადდებოდა 27 მილიონი წყვილი კალოში. 1931 წელს ჩვენ დავამზადეთ—58,9 მილ., ე. ი. ომის წინადროინდელზე ორჯერ მეტი და ორი და ერთი მეოთხედით იმაზე მეტი, ვიდრე 1925 წელს

1913 წელს დამზადებული იყო ტყავის ფეხსაცმელი 8400 ათასი წყვილი, 1925 წელს ჩვენ დავამზადეთ 8 მილ. წყვილი, 1931 წელს 76.800 ათასი ცალი, ე. ი. ომის წინადროინდელზე 9-ჯერ მეტი და 9.5 იმაზე მეტი, ვიდრე 1925 წელს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1913 წელს შინასამრეწველო წესით დამზადებული იყო კიდევ 3,5 მილიონი წყვილი, მაშინაც განსხვავება მეტად დიდა. მაგრამ დღეს ჩვენთვის 76,8 მილ. წყვილი ცოტაა. და სრულიად ბუნებრივია, რომ ცოტაა.

საოჯახო საპონი—(გამოტოვებულია). აბა ვნახოთ, 1913 წელს დამზადებული იყო 94 ათასი ტონა საოჯახო საპონი, 1925 წელს—80 ათასი ტონა, 1930 წელს—176 ათასი ტონა, 1931 წელს—182 ათასი ტონა. (ომის წინადროინდელზე თითქმის ორჯერ მეტი). და იგი მაინც ცოტაა.

ხმები—ცოტას გვაძლევენ, (გამოტოვებულია).

ისინი ძალიან ენერგიულად და ძალიან სწორად გვიტევენ ჩვენ როცა მათ უნდა მიიღონ მანქანები, მაგრამ ჩემის აზრით მსუბუქ მრეწველობასაც აქვს უფლება მოითხოვს მათგან რაც შეიძლება მეტი ნედლეული. (ხმები—სწორია!). ჩვენს საფეიქრო ფაბრიკებს აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ რაციონალიზაციით და მანქანების ცოტათი დამატებით გადაამუშაონ წელიწადში დაახლოვებით 40 მილ. ფუთი ბამბა, ამჟამად კი ჩვენ, როგორც თქვენ უკვე იცით, ვამუშავებთ არა უმეტეს 23—24 მილიონი ფუთისა.

ამხანაგებო! მე მოვიყვანე ციფრები მუშათა კლასის ზრდისა და რაოდენობის შესახებ. ჩვენი მუშების ხელფასის ზრდის შესახებ, მუშათა საბინაო ფონდის ზრდისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდების შესახებ. ერთი წუთით შევხედოთ იმას თუ რა ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირში ხელფასის ფონდი 10,5 მილიარდი მანეთიდან 1929 წელს გაიზარდა 21 მილიარდ მანეთამდე 1931 წელს (ზრდა ასი პროც.), მოისპო უმუშევრობა, ხოლო მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი მთელს ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა 6.200 ათასი კაცით, ამავე პერიოდის განმავლობაში ჩრდილოეთ ამერიკაში იმ პირთა შემოსავალი, რომლებიც სცხოვრობენ დაქირავებული შრომით, 45 მილიარდი დოლარიდან 1929 წლის შემცირდა 23 მილიარდ დოლარამდე 1931 წლის. შემცირება უდრის 37 პროც. 1931 წლის დამლევისათვის ამერიკაში ირიცხებოდა 12 მილიონი უმუშევარი ან ნაწილობრივ მომუშავე მუშათა 30 პროც. ამას ზედა არის უდიდესი არმია, რომელიც კვირაში მუშაობს ორი-სამი დღეს; აგრეთვე საგრძნობლად შემცირდა ყველა მუშების ხელფასი. მთელს ევროპასა და ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვი 25 მილ. კაცს აღწევს.

სეზონურობის დაძლევა

ჩვენი მრეწველობის 1931 წლის ერთ-ერთ უდიდესად სერიოზულ მიღწევას წარმოადგენს პროდუქციის ყოველწლიურად საზაფხულო შემცირების გადალახვა შემცირების, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1924 წლიდან 1930 წლამდე; პროდუქციის გადიდება იანვარსა, თებერვალსა და მარტში ყოველწლიურად იცვლება მისი დაცემით აპრილიდან დაწყებული და ხელახლად დიდდება აგვისტოდან და სექტემბრიდან, ასეა ყოველ წელს. პროდუქციის ყველაზე უფრო მეტ შემცირებას იძლევა 1930 წლის ზაფხული.

1931 წელს ჩვენ თავიდან ავიცილეთ პროდუქციის საზაფხულო შემცირება, ეს აიხსნება როგორც თვით მრეწველობის მოწესრიგებით, ის იმ უდიდესი მუშაობით, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში ჩაატარა პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა. აქ უდიდესი როლი ითამაშა ამხ. სტალინის ცნობილმა მითითებებმა, რომლებიც მან მოგვცა სამეურნეო მუშაკების ივნისის თათბირზე.

მე-14 ყრილობიდან მე-17 პარტკონფერენციამდე

ამხანაგებო! კომინტერნის მეოთხე კონგრესზე 1922 წელს ამხანაგი ლენინი ამბობდა: „რუსეთის მხსნელია არა მარტო გლეხური მეურნეობის კარგი მოსავალი,—ეს კიდევ ცოტაა—და არა მარტო იმ მსუბუქი მრეწველობის კარგი მდგომარეობა, რომელიც აწოდებს გლეხობას მოხმარების საგნებს,—ესეც ჯერ კიდევ ცოტაა. ჩვენ გვჭირდება აგრეთვე მძიმე ინდუსტრია. ხოლო იმისათვის რომ მოვიყვანოთ იგი კარგ მდგომარეობაში საჭირო იქნება მრავალი წლების მუშაობა. მძიმე მრეწველობას ესაჭიროება სახელმწიფო სუბსიდიები, თუ ჩვენ მათ ვერ გამოვძებნით, ჩვენ როგორც განათლებული სახელმწიფო, მე უკვე არ ვლაპარაკობ როგორც სოციალისტური,—დავიღუპეთ. და ასე, ამ მხრით ჩვენ გადავსდგით გადამწყვეტი ნაბიჯი, ჩვენ გამოვძებნეთ სახსრები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ დავაყენოთ მძიმე ინდუსტრია საკუთარ ფეხზე. თანხა, რომელიც ჩვენ დღემდე ვიშოვეთ მართალია, ძლივს სჭარბობს 20 მილიონ ოქროს მანეთს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს თანხა ჩვენ გვაქვს და იგი დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ წამოვსწიოთ ჩვენი მძიმე ინდუსტრია. (ლენინი ტომი 27).

ჩვენი მძიმე მრეწველობის მდგომარეობა ამჟამად ოდნავადაც არ წააგავს იმას, რაც 1922 წელს იყო. მრეწველობა ამ წლებში უძლიერესად გაიზარდა, გაძლიერდა და მტკიცედ მიიწევს წინ. მიუხედავად ამისა, მძიმე ინდუსტრიის საკითხი, ჩვენი მრეწველობის განვითარების საკითხი რჩება ისეთივე პირველხარისხოვან ამოცანად, როგორადაც მას ყოველთვის სთვლიდა ვლადიმერ ილიჩი. ამ სახელმძღვანელო დირექტივის საფუძველზე ამხ. სტალინმა ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობაზე ტროცკი-ზინოვიევის პოზიციასთან ბრძოლაში ასე ჩამოაყალიბა ჩვენი გენერალური ხაზი:

„გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად, რომელსაც შეეძლება საკუთარი ძალებით დაამზადოს საჭირო მოწყობილობა,—აი რაში მდგომარეობს ჩვენი გენერალური ხაზის დედააზრი და საფუძველი. ჩვენ საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ სამეურნეო მუშაკების ზრახვა და მისწრაფება მიმართული იყოს სწორედ იქითკენ, რომ ჩვენი ქვეყანა მოწყობილობის შემომტან ქვეყნიდან გადაიქცეს ამ მოწყობილობის დამამზადებელ ქვეყნად. ვინაიდან ესაა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო დამოუკიდებლობის ძირითადი გარანტია. ვინაიდან ესაა იმის გარანტია, რომ ჩვენი ქვეყანა არ გადაიქცევა კაპიტალისტური ქვეყნების დამატებად" (ამხ. სტალინის საბოლოო სიტყვა პარტიის მე-14 ყრილობაზე).

პარტიის მე-14 ყრილობამ დაადგინა: „უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობა, რომელიც დაიცავს საბჭოთა კავშირს კაპიტალისტური მსოფლიო მეურნეობის დამატებად გადაქცევისაგან, რისთვისაც აღებულ იქნას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, წარმოების საშუალებათა დამზადების განვითარების და ეკონომიური მანევრების გასაწევად რეზერვების შექმნის კურსი".

როგორ სრულდება, ამხანაგებო, ყრილობის ეს დირექტივა, რომელიც მოცემულია ვლადიმერ ილიჩის პირდაპირ მითითებათა საფუძველზე!

პარტიის მე-14 ყრილობიდან 6-მა წელმა განვლო. ნება მომეცით მოვიყვანო რამდენიმე ციფრი, რომელიც იძლევა პასუხს დასმულ კითხვაზე.

პროდუქცია (გამოტოვებულია) **1925 და 1931 წელს უმნიშვნელოვანესი დარგები** (გამოტოვებულია) **ნატურით** ქვანახშირი 1925 წელს შეადგენდა 17,6 მილიონ ტონას, 1931 წელს—56 მილიონ ტონას,—გადიდდა უფრო მეტად, ვიდრე 3-ჯერ. კოქსი: 1,62 მილიონ ტონას და 6,75 მილ. ტონას.—გადიდდა 4-ჯერ. ნავთი (უგაზოდ): 7,2 მილიონ ტონას და 22,3 მილ. ტონას.—გადიდდა 3-ჯერ. ტორფი: 2,5 მილიონ ტონას და 9,4 მილ. ტონას,—გადიდდა უფრო მეტად, ვიდრე 3,5-ჯერ. თუჯი: 1.5 მილიონ ტონას და 4,9 მილიონ ტონას, გადიდდა უფრო მეტად, ვიდრე 3,5-ჯერ. ფოლადი: 2,1 მილიონი ტონა და 5.3 მილიონი ტონა,—გადიდდა 2,5-ჯერ. სტკეცი რკინა: 6 მილიონი ტონა და 48,8 ათასი ტონა. —გადიდდა 4-ჯერ. გოგირდის კოლჩედანი, 229 ათასი ტონა და 1,084 ათასი ტონა,—გადიდდა უფრო მეტად, ვიდრე 4,5-ჯერ. ცემენტი: 872 ათასი ტონა და 3,344 ათასი ტონა,—გადიდდა 4-ჯერ. სუპერფოსფორი: 67,8 ათასი ტონა და 527,6 ათასი ტონა, გადიდდა უფრო, ვიდრე 7,5-ჯერ. რეზინის ფეხსაცმელი: 19 მილიონი წყვილი და 54 მილიონი წყვილი,—გადიდდა უფრო, ვიდრე 2,5-ჯერ, მანქანათმშენებლობა მთლიანად: 730 მილიონი მანეთის და 5.724 მილიონი მანეთის,—გადიდდა თითქმის 8-ჯერ. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა: 48.6 მილიონი მანეთის და 441 მილიონი მანეთის, —გადიდდა 9-ჯერ. ელექტრო ტექნიკა: 92,5 მილიონი მანეთის და 980 მილიონი მანეთის,—გადიდდა 10-ჯერ. ელექტროენერგიის გამომუშავება სადგურებზე: 2.295 მილიონი კილოვატი და 10.600 მილიონი კილოვატი,—გადიდდა უფრო, ვიდრე 3-ჯერ აქედან რაიონულ სადგურებზე 935 მილიონი კილოვატი და 6.450 მილიონი კილოვატი,—გადიდდა 7-ჯერ. ყველა ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე (წლის დასასრულისათვის): 1.375.000 კილოვატი და 3.967,000 კილოვატი,—გადიდდა თითქმის 3-ჯერ. აქედან—რაიონულ სადგურებზე: 367.000 კილოვატი და 2.287.000 კილოვატი,—გადიდდა 6-ჯერ. ტრაქტორები: 169 ცალი და 41.230. ავტომანქანები — 80 ცალი და 29.511.

აი, ამხანაგებო, პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ სრულდებოდა ვლადიმერ ილიჩის დირექტივა და პარტიის მე-14 ყრილობის დადგენილება.

„მძიმე მრეწველობის, სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ბაზის, შავი და ფერადი მეტალურგიის ყოველნაირად გაშლა, ელექტროენერგიის სათბობის, მანქანათმშენებლობის, ქიმიის წარმოება, უახლოეს პერიოდში ახალი მძლავრი მეტალურგიული ბაზის შექმნა ურალ-კუზბასის კომბინატის სახით"—ასეთია პარტიის მე-16 ყრილობის გადაწყვეტილება.

ეს იყო 1930 წლის ზაფხულზე.

დღეს მაგნიტომშენი, კუზნეცკის ქარხანა, ურალ-მანქანმშენი, ფეროშენადნობის ქარხანა, სვერდლოვსკში—ექსკავატორების ქარხანა, კარაგანდის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყება—წარმოადგენენ პარტიის ამ გადაწყვეტილების პასუხს.

1930 წლის ზაფხულში ის იყო ბოლშევიკების ყრილობის გაბედული გადაწყვეტილება, დღეს ეს გადაწყვეტილება სინამდვილე ხდება. იქ, სადაც წელიწადნახევარ—ორი წლის წინად არაფერი არ იყო, დღეს უდიდესი ქარხნებია აღმართული.

მაგრამ ეს პასუხი ამით არ განისაზღვრება: ამუშავდა ბერეზნიკის პირველი რიგი, ჩელიაბინსკში შენდება სატრაქტორო ქარხანა, სვერდლოვსკში—ექსკავატორების ქარხანა, გადაწყვეტილია ციმბირში აშენდეს ბამბეულის კომბინატი. ყველაფერი ეს შენდება ურალ-კუზბასის ახალ ბაზაზე.

ასე წყდებოდა ამ წლებში, ამხანაგებო, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხები

ყველამ გვახსოვს, რომ ეს შეუფერხებლად არ ხდებოდა. იმისათვის, რომ შეგვენარჩუნებინა ჩვენი პარტიის სწორი პოზიციები, ჩვენ მოგვიხდა უსასტიკესი ბრძოლის წარმოება ტროცკისტულ-ზინოვიევლების და მემარჯვენეთა წინააღმდეგ (გამოტოვებულია). ამ ბრძოლაში რომ არ შეგვენარჩუნებინა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი, ლენინური ხაზი, ეს წარმატებები არ გვექნებოდა. მხოლოდ იმის გამო, რომ ლენინური ცენტრალური კომიტეტი ყველა ამ წლების მანძილზე სწორად ხელმძღვანელობს პარტიას, მხოლოდ ამიტომ მოვიპოვეთ ის გამარჯვება. ამ უდიდეს ბრძოლაში პარტიის ლენინური ხაზისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ჩვენი პარტიის ბელადად იყო და რჩება ამხ. სტალინი.

მრეწველობის მუშაობის ძირითადი დეფექტები 1931 წ.

ასეთია, ამხანაგებო, ჩვენი მრეწველობის ძირითადი წარმატებები 1931 წელს. მაგრამ ამ წარმატებათა მიუხედავად ჩვენ პროგრამა მთლიანად ვერ შევასრულეთ. 1931 წლის გეგმის შესრულება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მრეწველობა ხუთწლედს სამ წელიწადში ანხორციელებს, ეს ვერ შევსძელით, ეს შესძლეს მხოლოდ ჩვენი მრეწველობის ცალკე მოწინავე რაზმებმა

მაგრამ ჩვენ უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევდით, რომ უკეთესად გვემუშავნა.

გეგმა რაოდენობრივად არ არის შესრულებული. თვითღირებულება შემცირების ნაცვლად გადიდდა, ხოლო ნაყოფიერება უმნიშვნელოდ გაიზარდა. რა მიზეზებით აიხსნება გეგმის არამთლიანად შესრულება?

პირველი მიზეზი, რომელმაც დეკემბრიდან დაწყებული იანვარსა და თებერვალში, შეაფერხა მრეწველობის განვითარება და რომელიც არ აძლევდა მას გაშლის საშუალებას, ესაა უეჭველად შარშანდელი სატრანსპორტო სიძნელენი. 1930 წლის ზაფხულზე, წინანდელი წლების მსგავსად, სამრეწველო წარმოება მცირდება, ხოლო აგვისტოდან იგი კვლავ დიდდება და დეკემბერში პროდუქციის ღირებულება აღწევს 1700 მილიონ მანეთს. შემდგომი ზრდის ნაცვლად, 1931 წლის იანვარში ტრანსპორტი დაბლა სწევს ამ მრუდეს და თებერვალში იგი წინანდელი წლის თებერვლის დონემდე ეშვება. მრეწველობამ დაკარგა დეკემბერში მიღწეული დონე. ამან ძალიან შეაფერხა მრეწველობის განვითარება. უფრო მეტი, ამას ის ზიანიც მოჰყვა, რომ ყველაფერს ტრანსპორტს აბრალებდნენ. ყველა თავის შინაურ დეფექტებს, ტრანსპორტს ახვევდა თავზე.

სატრანსპორტო სიძნელეები გეგმის არამთლიანად შესრულების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

სხვა მიზეზები თვითონ მრეწველობის შიგნით უნდა ვეძიოთ.

მე უკვე ვილაპარაკე ხელფასის გათანაბრებაზე. ახლა შევეხოთ შრომის ნაყოფიერებას, შრომის ორგანიზაციას, წარმოების ორგანიზაციას ფაბრიკა-ქარხნებში. ყველა, ვისაც მოეპრიანება, შრომის საკითხებითაა გართული, მაგრამ ყველაზე ნაკლებ მუშაობს ამ საკითხზე ის, ვინც ამ საქმეს ყველაზე მეტს ყურადღებას უნდა აქცევდეს. ქარხნის დირექტორი, ოსტატი, საამქროს უფროსი ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შრომის საკითხებს. ყველა ერევა ამ საქმეში, მაგრამ დირექტორი არჩევს რამდენიმედ განზე იდგეს ამ მუშაობისაგან. ეს არაფრად ვარგა. ამ საკითხს რომ უშუალოდ მოვკიდოთ ხელი, სწორად გადავაჯგუფოთ მუშები, მაშინ მანქანები, რომლებიდაც ისინი მუშაობენ, ხომ საგრძნობლად მეტ პროდუქციას მოგვცემენ, ვიდრე ამჟამად იძლევიან. იმავე სტალინგრადის ქარხანა ამ მხრივ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს. სტალინგრადის ქარხნის ტრაქტორი 1931 წლის იანვარში ღირდა 5793 მანეთი, 1931 წლის დეკემბერში—3328 მანეთი.

არასაკმაო ტექნიკური ხელმძღვანელობა არადამაკმაყოფილებელი შინასაქარხნო გეგმიანობა, რომელიც იწვევს ცალკე საამქროების შეუთანხმებელ მუშაობას, ჩვენს გაერთიანებათა სიდიდე და მოწყვეტა საწარმოებიდან—ყოველივე ეს იყო გეგმის არამთლიანად შესრულების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი.

1929 წლის დამლევს ჩვენ შევქმენით დიდი დარგობრივი გაერთიანებანი და ამით ვესწრაფოდით გაგვეძლიერებინა საწარმოთა ტექნიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობა. ნამდვილად მთელ რიგ შემთხვევებში სულ სხვა გამოვიდა, გაერთიანებანი მოწყდნენ საწარმოებს და კედლად აღიმართნენ სახ მეურ. უმ. საბჭოს და საწარმოს შორის. 1931 წელს სასწრაფოდ უნდა მოგვეხდინა რეორგანიზაცია, დაგვეწვრილებია დიდი გაერთიანებანი და ამით საწარმოებთან დაგვეახლოვებია. ამას ნაყოფი მოაქვს. ნაკლები მასშტაბის გაერთიანებანი უკეთ ასრულებენ თავიანთ ამოცანებს.

გაერთიანება „ქვა-ნახშირი" აერთიანებდა ქვანახშირის ყველა ბასეინებს. გაერთიანება „ფოლადი" მთელი კავშირის მეტალურგიას, თავისთავად ცხადია, რომ ერთი გაერთიანება ერთი ცენტრიდან ყველაფერს ვერ გასწვდება.

უკანასკნელი წლების მანძილზე სამეურნეო ანგარიში ჩვენში თითქმის სავსებით გაქრა. საჭირო შეიქნა მისი დანერგვა. ეს მუშაობა ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის დასრულებული. ჩვენ მაინც და მაინც არ გვიყვარს მანეთით კონტროლი, ხოლო სწორად დაყენებული კონტროლი მანეთით და ნამდვილი სამეურნეო ანგარიში მეურნეობის გაძღოლის აუცილებელი პირობაა.

ნაკლს წარმოადგენდა სუსტი მუშაობა შესრულების შემოწმების ხაზით.

ჩვენ დღემდე ვერ ვისწავლეთ, როგორც საჭიროა, შესრულების შემოწმების მოგვარება. ჩვენ ყოველთვის ვერ ვახერხებთ შევამოწმოთ და ბოლომდე მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი გადაწყვეტილება ტარდებოდეს ვადაზე და დაუმახინჯებლად. გასული წლის მეორე ნახევარში ჩვენ გავაჩაღეთ ბრძოლა ამ დეფექტებთან იმ მითითებათა საფუძველზე, რომლებიც ამხ. სტალინმა მაშინ თავის სიტყვაში მოგვცა. ამის შემდეგ ნახევარმა წელიწადმა განვლო. წლის მეორე ნახევარში, ტრანსპორტის მუშაობის საგრძნობლად გაუმჯობესებასთან ერთად და მიღებულ საორგანიზაციო ღონისძიებათა შედეგად, მუშაობა კვარტალიდან კვარტალამდე, თვიდან-თვემდე უმჯობესდებოდა. თუ 1931 წლის პირველ კვარტალში პროდუქცია გადიდდა 8,8 პროც. 1930 წლის სათანადო კვარტალთან შედარებით, მეორე კვარტალში იგი გადიდდა 18,3 პროც., მესამეში—30,4 პროცენტით და მეოთხეში—26 პროც. თვიური პროდუქციის ღირებულება დეკემბერში აყვანილ იქნა 2,100 მილიონ მანეთამდე 1930 წლის დეკემბრის 1.700 მილიონი მანეთის ნაცვლად. ეს ბრძოლა, ამხანაგებო, მთელი სიმტკიცით უნდა გაგრძელდეს 1932 წელში. იმ დეფექტების აღმოუფხვრელად, რომლებიც აქ მოვიხსენიე, მეტად გაგვიძნელდება მრეწველობის წინაშე 1932 წელს მდგარი უდიდესი ამოცანის გადაჭრა.

უკვე ვილაპარაკე, რომ თვითღირებულება დაკლების მაგივრად გაიზარდა, მართალია, მრეწველობის ყველა დარგებს არ გაუდიდებიათ თვითღირებულება, არის მრეწველობის დარგები, რომლებმაც იგი შეამცირეს, მაგრამ თუ საშუალოდ ავიღებთ, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მთელს მრეწველობაში, თვითღირებულება დაკლების მაგივრად 3,7 პროცენტით გადიდდა, მძიმე მრეწველობაში ეს გადიდება უდრის 5,55 პრ.; მსუბუქი მრეწველობის ხაზით—1,25 პროც., მაგრამ ამასთან ერთად მანქანათმშენებლობამ თვითღირებულება შეამცირა 6,7 პროც., და ეს შემცირება კვარტალიდან კვარტალამდე ხდებოდა. პირველ კვარტალში შემცირდა 0,0 პროც., მეორეში—5,6 პროც., მესამეში—9,6 პროც., მეოთხეში—11,6 პროც. ეს უკვე კარგია. ეს უკვე მოწმობს, რომ დაწყებულია ახალი წესით მუშაობა, ეს გვეუბნება, რომ ჩვენ მოგვეპოვება რეზერვები თვითღირებულების შემცირებისათვის. თუ მანქანათმშენებლობა 1932 წელს უკეთ იმუშავებს, ვიდრე 1931 წელს, იგი შეასრულებს თვითღირებულების შემცირების დავალებას, სას. მანქანათმშენებლობამ თვითღირებულება 1931 წელს შეამცირა 10,8 პრ., ამასთან მესამე კვარტალში—14 პროც., ხოლო მეოთხეში—17 პროც. ელექტროტექნიკურმა მრეწველობამ 1931 წელს თვითღირებულება შეამცირა 6,2 პროც., ამასთან მეოთხე კვარტალში—7,8 პროც. ნავთის ამოღების ხაზით თვითღირებულება შემცირდა 9,10 პროც., რეზინის მრეწველობაში 4,2 პროც., ლაქ-საღებავ მრეწველობაში 3,3 პროც., ანილინ-საღებავის მრეწველობაში—2,8 პროც.

სამაგიეროთ თვითღირებულება გაადიდეს: სატყეო მრეწველობამ—16 პროც., შავმა მეტალურგიამ 17 პროც., ტორფმა—28,5 პროც., ქვანახშირის მრეწველობამ—30 პროც. ამ ზოგიერთმა დარგმა, რომელთაც ძალზე გაადიდეს თვითღირებულება, შეაფერხეს მრეწველობის იმ დარგების მიერ მიღწეული მთელი ეკონომია, რომელთაც თვითღირებულება შეამცირეს, მაგრამ თვითონაც არც ისე გასუქებულან

ამხანაგებო, ასე მუშაობა შეუძლებელია, თუ პირველ ხუთწლედში მრეწველობა ყოველთვის ღებულობდა დოტაციას, 1932 წელში და მეორე ხუთწლედში მრეწველობამ უდიდესი მონაწილეობა უნდა მიიღოს შემდგომი განვითარებისათვის საჭირო დაგროვებაში. ეს ამოცანა ჩვენს წინაშე იდგომება მთელი 1932 წლის განმავლობაში. მისი განხორციელება მით უფრო შეიძლება, რომ ჩვენ ვიწყებთ მუშაობას საუცხოო ქარხნებში, რომლებიც ახალი ტექნიკით არიან შეიარაღებულნი. თუ ჩვენ შევსძლებთ ამ ტექნიკის დაუფლებას, ეს თავისთავად მოგვცემს უფრო იაფ პროდუქციას. პარტიას უფლება აქვს მოითხოვოს რომ ქარხნებმა, რომლებიც შეიარაღებულნი არიან ამერიკის და ევროპის ტექნიკით, მოგვცენ იაფი პროდუქცია. მათ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა განვლონ აუცილებელი საყმაწვილო სენის პერიოდი, რომ ისინი ყოველ შემთხვევაში, გვაძლევდნენ არა უფრო ძვირ პროდუქციას, ვიდრე იძლევიან ასეთივე ქარხნები ამერიკასა და ევროპაში. ეს მოთხოვნა უნდა წავუყენოთ ჩვენს ქარხნებს. რატომ უნდა მუშაობდნენ მუშები უფრო ცუდად თავიანთ ქარხნებში, თავიანთ სოციალისტურ სამშობლოში, ვიდრე მუშები კაპიტალისტებისათვის ევროპასა და ამერიკაში. მოვსპოთ დეფექტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მრეწველობაში 1931 წ., მოვიკრიფოთ ძალღონე და შევუდგეთ 1932 წლის გეგმის განხორციელებას, — აი ამოცანა, რომელიც ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას.

გადავდივარ 1932 წლის გეგმაზე.

ახალი კადრები

ახალ საწარმოთა მოწყობა, ახალი ტექნიკის დაუფლების ამოცანა მოითხოვენ ტექნიკური კადრების დაჩქარებით მომზადებას სათანადო მასშტაბებით.

კადრებით ჩვენ ძალზე ღარიბი ვართ, ის სიძნელეები, რომლებსაც ჩვენ განვიცდით, ახლად ამუშავებული საწარმოების გამოყენების დროს, პირველ ყოვლისა, კადრების სიმცირით აიხსნება. კადრების შექმნა ჩვენ სასწრაფოდ გვიხდება. კადრების მომზადება ფართოდაა გაშლილი. 1932 წლის 1-ლ იანვრისათვის სახალხო მეურნ. უმაღლ. საბჭოს სისტემის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებში და მუშფაკებში სწავლობდა 370.000 კაცი, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში—626 ათასი კაცი, სხვადასხვა კურსებზე—700—800 ათასი კაცი. მარტო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სისტემაში სწავლობს 1.800.000 კაცზე მეტი.

1931 წელს გამოშვებულ იქნა 21.000 ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნიკოსი. 1932 წელს გამოშვებული იქნება 38.000, ხოლო 1933 წელს—87.000. საფაბრიკო-საქარხნო სკოლებიდან 1931 წელს გამოვუშვით 52.000 კაცი, 1932 წელს გამოვუშვებთ 350.000 კაცს. ეს ახალი კადრები, რომელნიც რიცხვობრივად სწრაფად იზრდებიან და ახალი ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლაში იზრდებიან, შეადგენენ სოციალისტური მრეწველობის შემდგომი გაშლის უმნიშვნელოვანეს პირობას.

მრეწველობის სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებების რიცხვი გასულ წლის გაიზარდა 141-დან 255 ერთეულამდე. სამეცნიერო მუშაკების რიცხვი გადიდდა 6 ათასიდან 12,5 ათასამდე. მაინც სამეცნიერო საგამოკვლევო დაწესებულებები მეტად სუსტად არიან დაკავშირებულნი მრეწველობის პრაქტიკულ ამოცანებთან. 1931 წელს გადაიდგა საგრძნობი ნაბიჯი წინ. ძალიან ხშირად ჩვენი მეცნიერების, ტექნიკოსების და ინჟინერების მნიშვნელოვანი რაოდენობა ზის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტებში, იქ ხშირად სასარგებლო მუშაობას სწევენ, მაგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ ქარხნებს ისინი ჯერ კიდევ ძალზე არიან დაშორებულნი. ერთგვარი გარდატეხა, უეჭველად, მოხდა, მაგრამ, ეს არ არის საკმარისი.

ერთ-ერთი პროფესორი, ამხ. იუშკევიჩი ქიმიური მრეწველობის საბჭოში სრულიად სწორად ამბობდა რომ „დროა დავანგრიოთ ჩვენი ინსტიტუტების „მონასტრისებური" კედლები და სამეცნიერო მუშაკები რეალურ ცხოვრებაში გადაუშვათ". „ლაბორატორიების და ინსტიტუტების „მონასტრისებური" კედლებიდან—ქარხნებისაკენ, — აი, რა უნდა გადაიქცეს ლოზუნგად საბჭოთა კავშირის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტების მუშაობაში".

პროფ. იუშკევიჩის ეს ლოზუნგი წააწყდა საკმაოდ ძლიერ წინააღმდეგობას პროფესურის ზოგიერთ ნაწილის მხრივ, ცალკე პროფესორები აღნიშნავდნენ —ვაი თუ ამის გამო მეცნიერება ჩამორჩესო. პროფ. იუშკევიჩი მართალია: მეცნიერებამ ინსტიტუტების „მონასტრისებური" კედლებიდან ქარხნებსა და ფაბრიკებს უნდა მიაშუროს. ვინაიდან თუ მეცნიერებამ თავისი მუშაობით გააუმჯობესა ჩვენი ქარხნები და ფაბრიკები, იგი დიდ შედეგებს მოგვცემს და თვითონ არა თუ არ ჩამორჩება, არამედ კიდევ უფრო გასწევს წინ.

1932 წლის გეგმა და მისი ამოცანები

ამხანაგებო, 1932 წლის გეგმით გათვალისწინებულია 37,5 მილიარდი მანეთის პროდუქცია, ან პროდუქციის ზრდა 35 პროცენტით, 1931 წელთან შედარებით, თვითღირებულების შემცირება 7 პროცენტით, მუშათა რიცხვი მთელს მრეწველობაში მშენებლობის ჩათვლით უნდა გაიზარდოს 1.200 ათასი კაცით, შრომის ხელფასი იზრდება 11 პროცენტით მრეწველობაში, 5,6 პროცენტით მშენებლობაში, შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 22 პროცენტით. მთელს მრეწველობაში კაპიტალურ სამუშაოთა ხაზით უკანასკნელი დამატებითი ასიგნობებთან ერთად დაბანდებული იქნება 11.790 მილიონი მანეთი, აქედან მძიმე მრეწველობაში—9.200 მილიონი მანეთი. აი, ამხანაგებო, 1932 წლის გეგმა. ამ გეგმაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის გეგმის ცენტრალურ ამოცანას, შავი მეტალურგიის, ქვანახშირის და მანქანათმშენებლობის საწარმოო პროგრამის და კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულებას.

შავი მეტალურგია

ჩვენ ვიცით, რომ მეტალურგიის დარგში საგრძნობლად ჩამოვრჩებით. თუ 1931 წელს მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში ადგილი ჰქონდა საგრძნობ ზრდას, ლითონის ხაზით იმავე დონეზე დავრჩით. რაშია საქმე! რა მიზეზების გამო ვერ შევასრულეთ შავი მეტალურგიის გეგმა 1931 წელს? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გეგმა არ ყოფილა პატარა, ერთი წლის განმავლობაში, თუჯის წარმოება უნდა გაგვედიდებია 3 მილიონი ტონით, მაგრამ ჩვენ არა თუ სამი მილიონი, არამედ რამდენიმე ასი ათასი ტონითაც კი ვერ გავადიდეთ. კიდევ მეტი, ჩვენ რამდენიმე ათასი ტონათი ნაკლები დავამზადეთ. მე უკვე ვსთქვი, რომ პირველ კვარტალში მრეწველობაზე მეტად უარყოფითი გავლენა იქონია ტრანსპორტის ცუდმა მუშაობამ. ტრანსპორტის მრეწველობას არც ერთ დარგზე არ მოუხდენია ისეთი ცუდი გავლენა, როგორც მეტალურგიაზე, რადგან ბრძმედების ამუშავება სანახევროდ, ერთ დღეს მათი ჩაქრობა მადნის, ან კოქსის ნაკლებობის გამო, ხოლო მეორე დღეს ამუშავება კოქსისა და მადნის არასაკმაო მარაგით ნიშნავს ბრძმედების საგრძნობლად დანგრევას.

როცა მანქანათმშენებლობის ქარხანაში დღეს არ კმარა ლითონი, ქარხანა არ მუშაობს, დაზგები თავის ადგილზე რჩება სრულიად დაუზიანებლად, ხვალ ლითონს მიიღებს ქარხანა და მუშაობაც ჩვეულებრივად იწარმოებს. სულ სხვაა ბრძმედი. მისი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს განსაზღვრული სწორი რეჟიმის მიხედვით. უნდა გვქონდეს საჭირო რაოდენობის კოქსი, მადანი და სხვ.—მხოლოდ ამ შემთხვევაში არის უზრუნველყოფილი ბრძმედის ნორმალური მუშაობა ლითონის მხრით, თუ ეს ელემენტარული პირობები არ არის დაცული, ისე შეუძლებელია მეტალურგიული ქარხნის სწორი მუშაობა. ამ პირობების შეუსრულებლად მისი აგრეგატები ჩვეულებრივზე ადრე იცვითება და ფუჭდება. მეორე, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს საინჟინერო-ტექნიკურ კადრების უდიდესი სიმცირე. არ აღმოჩნდნენ საკმაოდ გამოცდილი ინჟინერები, რომლებიც იცნობდნენ ლითონს, ბრძმედის ცხოვრებას და თვალყურს ადევნებდნენ ბრძმედს, იცოდნენ რა ემართება მას. ამხ. მეჟლაუკი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სათავეში ედგა მეტალურგიას, გასული წლის ზაფხულზე იყო ძერჟინსკის სახელობის ქარხანაში და იქედან გვწერდა, რომ ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო ადგილები ქარხნის საამქროებში უჭირავთ ახალგაზრდა ინჟინერებს, რომლებმაც გუშინ დასტოვეს სკოლის კედლები, საუცხოვო ბიჭებია—ენტუზიასტები, და ერთი-ორი-სამი წლის შემდეგ კარგი ინჟინერები გახდებიან. ეს უეჭველად ასე იქნება. მაგრამ დღეს ისინი სწავლობენ და ეს სწავლა ძვირად უჯდება ბრძმედს. ხელფასის გათანაბრებამაც ითამაშა თავისი უარყოფითი როლი. მე ამის შესახებ უკვე ვილაპარაკე. შავი მეტალურგიის მუშათა არც საბინაო პირობები, მომარაგება და კვება არის დამაკმაყოფილებელი. საწარმოო პროგრამა შარშან არ შესრულდა. მეტალურგიული ქარხნების წარმოება მხოლოდ ეხლა გვაძლევს ერთგვარ შედეგებს. გუშინ დღე-ღამეში გამოდნობილ იქნა 17.000 ტონა თუჯი. ამდენი თუჯი არასოდეს არ მოუცია ჩვენს მეტალურგიას. დღეს გამოდნობილ იქნა 16.800 ტონა. მე მეტალურგიაში მომუშავე ამხანაგებს ვუთხარი, —თქვენ მე-17 პარტიული კონფერენციის გახსნის წინ ან გახსნის დღეს გვაძლევთ 17 ათას ტონას, ეს კარგია, მაგრამ არ გასცდეთ უკან დახევა. სამხრეთის მეტალურგიის მუშაობამ იანვრის განმავლობაში გვიჩვენა, რომ მომქმედ ბრძმედებს, თუ მათ კარგად ემსახურებიან, შეუძლიათ მოგვცენ სავსებით უფრო მეტი, ვიდრე წინად გვაძლევდნენ.

1931 წლის განმავლობაში ჩვენ ვერ დავაღწიეთ თავი ბრძმედების სასარგებლო მოცულობის გამოყენების ისეთ კოეფიციენტებს, როგორიცაა 1,7—1,80—2 და ზოგჯერ მეტიც. სტალინის ქარხანა უკანასკნელ დღეებში გვაძლევს 1,26, ტომსკის და ფრუნზეს ქარხნები—1,33. ეს პირველ ხანებში ცუდი არაა. უნდა ვეცადოთ იანვრის წარმატების განვითარება [illegible] რულდება. კიდევ მეტი, კარგი მუშაობის დროს მომქმედი ქარხნები მოგვცემენ იმ 6.400 ტ. ბევრად უფრო მეტს, რომელიც უნდა მოგვცეს გეგმის მიხედვით. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოვამარაგებთ მათ მადნით, კოქსით, ფლიუსით და მაგნეზიტით. შარშან გაგვაწვალა მაგნეზიტმა. ჩვენ მას ვამუშავებთ ურალში, მაგრამ შარშან ვერ დავამუშავეთ საკმაო რაოდენობის. ჩვენ პირდაპირ ვაყენებთ საკითხს გზათა სახალხო კომისარიატში მომუშავე ამხანაგების წინაშე—ისინი აუცილებლად უნდა დაგვეხმარონ იმ მხრით, რომ სათანადო სიმაღლეზე იქნას აყვანილი მასალის მიტანა მეტალურგიულ ქარხნებში. კრივოი-როგის ბასეინში მთელი წელიწადია დაგროვილი მადნის დიდძალი მარაგი, ამავე ქარხნებს აკლიათ მადანი, ურალში კიდევ არ მომხდარა გარდატეხა, მეტალურგიული ქარხნების მუშაობა წინანდებურად მიმდინარეობს

შავი მეტალურგიის კაპიტალური მშენებლობის ხაზით ჩვენ ვერ შევძელით აგრეგატების თავის დროზე ამუშავება. მართალია, ზოგიერთი ვადა აქ უსათუოდ შეცდომით იყო დაწესებული, მაგალითად, 1931 წლის საკონტროლო ციფრების მიხედვით № 7 ბრძმედი ძერჟინსკის ქარხანაში უნდა ამუშავებულიყო მაისში, 1931 წელს იანვარში საძირკველიც არ იყო სათანადოთ ამოყვანილი. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, შავი მეტალურგიის კაპიტალური მშენებლობის დარგში წინ წავიწიეთ. ჩვენ ვაშენებთ ორ უზარმაზარ ქარხანას—მაგნიტოგორსკის და კუზნეცკის ქარხნებს ამ ქარხნების შესახებ ყველამ იცის, იცის მთელმა ქვეყანამ. მათ აშენებას სჭირდება დიდძალი სახსრები, რამდენიმე ასეული მილიონი, უკრაინაში ვაწარმოებთ მაკეევკის, ტომსკის, ძერჟინსკის და ვოროშილოვის დიდი ქარხნების რეკონსტრუქციას. განა ბევრს აქვს წარმოდგენილი, თუ როგორი მასშტაბით სწარმოებს იქ მუშაობა? რას ნიშნავს, მაგალითად, მაკეევკის ქარხნის რეკონსტრუქცია. ომამდე იგი ამზადებდა 230.000 ტონა თუჯს, წელს ამ ქარხანამ უნდა მოგვცეს 670.000 ტონა თუჯი.

ამხ. კოსიორი—რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ?

ამხ. ორჯონიკიძე:—რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ ქარხანა მოგვცემს 1,5 მილიონ ტონას. ეს, ამხანაგებო, უკვე ახალი გიგანტის აშენებაა და არა რეკონსტრუქცია. ეს ქარხანა რეკონსტრუქციის შემდეგ მოგვცემს უფრო მეტს, ვიდრე კუზნეცკის ქარხანა. ასევე ძერჟინსკის ქარხანაც.

ამხ. კოსიორი:—კიდევ უფრო მეტს?

ამხ. ორჯონიკიძე. დიახ, უფრო მეტს. იგი რეკონსტრუქციის შემდეგ მოგვცემს 1,8 მილიონ ტონას. ამჟამად ძერჟინსკის ქარხანა გვაძლევს 500.000 ტონას. ვოროშილოვის ქარხანა გვაძლევს 275.000 ტონას, რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ კი მოგვცემს 1 მილიონ ტონას. როგორც ხედავთ, კოლოსალური მუშაობა სწარმოებს. ამ მშენებლობას მიუმატეთ ისეთი გიგანტები, როგორიცაა კრივოი როგის ქარხანა, „ზაპოროჟსტალი" და მარიუპოლი, უნდა გახსოვდეს რომ ჩვენ საკუთარი მოწყობილობა არ გვქონდა, ჩვენ არ შეგვეძლო მისი დამზადება, ჩვენ არ გვქონდა ქარხნები, რომლებიც შესძლებდნენ ამ მოწყობილობის ფართო მასშტაბით დამზადებას, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვაქვს ერთგვარი წარმატება ამ დარგში. დღეს აამუშავებენ მაგნიტოგორსკის ქარხანაში პირველ ბრძმედს. რას ნიშნავს ეს? ერთი ბრძმედის ამუშავება მომქმედ ქარხანაში დაახლოვებით ჯდება 8—9 მილიონი მანეთი. მაგნიტოგორსკის ქარხანაში პირველი ბრძმედის ამუშავება ნიშნავს იმას, რომ ცარიელ ადგილზე საჭირო იყო ყველაფრის აგება ამ პირველი ბრძმედის ასამუშავებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭირო იყო ელსადგურის, კოქსის ღუმელების დამხმარე საწარმოთა აგება. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა ჰაერსაბერის დადგმა და სხ. ერთი სიტყვით, სანამ შესაძლებელი გახდებოდა ბრძმედის ამუშავება, საჭირო იყო 250 მილიონ მანეთზე მეტის დახარჯვა მაგნიტოგორსკის ქარხანაზე. საჭირო იყო უდიდესი მუშაობის შესრულება, ფაქტიურად ეს მუშაობა შესრულდა წელიწადნახევარში.

იგივე ითქმის კუზნეცკის ქარხნის შესახებ. იქ ჩატარდა კოლოსალური მუშაობა, ჩვენ გაგვიჭირდება ამ მუშაობის ნათლად წარმოდგენა. ორივე ეს ქარხანა ზაფხულზე მოგვცემს ლითონს.

იმ ბრძმედების ბადალი, რომლებიც მაგნიტნაიას მთაზე შენდება, არ მოიპოვება არც ევროპაში და არც ამერიკაში, ამბობენ, რომ იყო ერთი ასეთი ბრძმედი და ისიც მეორე ამჟამად აღარ მუშაობს. ჩვენ დიდი შრომა დაგვჭირდება ამ ქარხნების ტექნიკის დაუფლებისათვის, მაგრამ დავეუფლებით კი. 1932 წელს შავი მეტალურგიის კაპიტალური მშენებლობა განსაზღვრულია 1.800 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს ნიშნავს 1932 წელს 26 ბრძმედის აგებას და ამუშავებას. 1931 წელს კი ჩვენ ავამუშავეთ მხოლოდ 4 ბრძმედი. ეს ნიშნავს 65 მარტენის, 7 ელექტროღუმელის, 27 სატკეცი დაზგის და მათ შორის 7 ბლიუმინგის ამუშავებას.

1932 წელს ამუშავებულ ბრძმედების სიმძლავრე უდრის 7,5 მილიონ ტონა თუჯს, ე. ი. მეფის რუსეთში არსებულ ბრძმედების სიმძლავრეზე თითქმის ორჯერ მეტს, ეხლანდელი ბრძმედების სიმძლავრეზე ერთი მილიონი ტონათი მეტს.

ერთი წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავაორკეცოთ სიმძლავრე, ავიყვანოთ იგი 13,5 მილ. ტონამდე, ერთი წლის განმავლობაში უნდა მივიღოთ ისეთი სიმძლავრე, რომელიც უდრის ინგლისის მთელ წარმოებას, ამასთან ბრძმედები აგებულ უნდა იქნას უახლესი ტექნიკის საფუძველზე.

მარტენის ახალი ღუმელების სიმძლავრე უდრის 4,6 მილ. ტონა ფოლადს, ე. ი. ომის წინადროის პროდუქციაზე (4,2 მილიონ ტონა) მეტს და ეხლანდელი ღუმელების სიმძლავრის ნახევარზე მეტს. ერთი წლის განმავლობაში ფოლადის ჩამოსასხმელ საამქროების სიმძლავრე 7 და ერთი მეოთხედი მილიონი ტონიდან უნდა ავიყვანოთ 12 მილიონ ტონამდე.

1932 წელს ამუშავებულ სატკეცი დაზგების სრული სიმძლავრე შეადგენს 1,61 მილიონ მზა ნატკეცს 14 დაზგის მიხედვით. 1932 წელს ამუშავებული 7 ბლიუმინგის სიმძლავრის 6,8 მილიონ ტონა ზოდს.

აი, ამხანაგებო, მეტალურგიის კაპიტალური მშენებლობის მოცულობა წელს. როგორც ხედავთ, ეს მოცულობა არ არის პატარა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ ამოცანის გადაჭრას სთვლის მთელი პარტიის საქმედ.

რას ნიშნავს შავი მეტალურგიის 1932 წლის საწარმოო პროგრამის შესრულება? ეს ნიშნავს მივსცეთ ჩვენს ქვეყანას 9 მილიონი ტონა თუჯი, 9,5 მილიონი ტონა ფოლადი, 6,7 მილ. ტონა დატკეცილი ლითონი. ეს ნიშნავს ერთი წლის განმავლობაში გავადიდოთ პროდუქცია 4 მილიონი ტონით, ე. ი. იმდენით, რამდენიც მზადდებოდა მეფის რუსეთში 1913 წელს.

რამდენი წელი დასჭირდებოდა ასეთი ზრდისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებს? ინგლისი პირველად 1864 წელს ამზადებდა 4,9 მილიონი ტონა თუჯს, 1899 წელს—9,5 მილიონ ტონას. ინგლისს დასჭირდა 35 წელიწადი. გერმანია 1892 წელს ამზადებდა 4,9 მილიონ ტონა თუჯს, 1902 წელს—9,9 მილ. ტონას. გერმანიას დასჭირდა 10 წელიწადი.

ჩრდილოეთ-ამერ. შეერთ. შტატები პირველად 1882 წელს ამზადებდა 4,6 მილიონ ტონა თუჯს, 1890 წელს—9.2 მილიონ ტონას. ამერიკას დასჭირდა 8 წელიწადი. საბჭოთა კავშირმა ამას უნდა მიაღწიოს ერთ წელიწადში.

„საითკენ მიგაქანებს ეშმაკი თქვენ, ბოლშევიკებს"—იტყვის პარტიული და პარტიასთან ახლოს მდგომი ობივატელი. ჩვენ ვუპასუხებთ ლენინის შემდეგი სიტყვებით: „რევოლუციას შედეგად მოჰყვა ის, რომ რამდენიმე თვეში რუსეთი თავისი პოლიტიკური წყობილებით დაეწია მოწინავე ქვეყნებს".

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ომი შეუბრალებელია, იგი ულმობელი სიმკვეთრით სვამს საკითხს ან დავიღუპოთ, ან დავეწიოთ მოწინავე ქვეყნებს და გავუსწროთ მათ ეკონომიურადაც. ან დავიღუპოთ ან უდიდესი სისწრაფით გავსწიოთ წინ. ასე სვამს საკითხს ისტორია" (ტომი 21, გვ. 191).

ჩვენ კი ჩამოვრჩებით. მაშინაც კი, როცა 9 მილიონ ტონას მივაღწევთ, ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებისაგან ჩამორჩენილი ვიქნებით 40 წლით, ეს მანძილი, როგორც ამხ სტალინი ამბობდა სამეურნ. მუშაკების კონფერენციაზე, ჩვენ უნდა გავირბინოთ 10 წელიწადში.

შეგვიძლია თუ არა შავი მეტალურგიის გეგმის შესრულება 1932 წელს? თუ ბოლშევიკები იმუშავებენ ბოლშევიკურად, ისინი შეასრულებენ ამ პროგრამას. თუ ბოლშევიკები პირს დაალებენ და მოიმიზეზებენ იმას, რომ ეს არ კმარა, ის არ კმარა და ერთმანეთს გადააბრალებენ, მაშინ პროგრამას ვერ შევასრულებთ. ამავე დროს პროგრამის შესრულება შესაძლებელია და იგი უნდა შესრულდეს, რაკი პარტია მრეწველობის ყველა მუშაკებთან ერთად უდიდეს ბრძოლას აჩაღებს ამ პროგრამისათვის, ჩვენ ამ პროგრამას შევასრულებთ და საპატიო ადგილს დავიჭერთ მსოფლიო მეტალურგიაში. 1932 წლის პროგრამის შესრულება 1933 წლისათვის უზრუნველჰყოფს 13—13,5 მილიონ ტონა თუჯს. შავი მეტალურგიის წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმის ამოცანას წარმოადგენს არა მარტო სიმძლავრის ფართო მასშტაბით გადიდება, არამედ გადამწყვეტი ხარისხობრივი გარდატეხის მოხდენა მეტალურგიაში პროდუქციის სტრუქტურაში, ხარისხოვანი და მაღალხარისხოვანი ფოლადისა და მილების წარმოების გადაჭრით გადიდება. განსაკუთრებულ ადგილი უკავია ხარისხოვან და მაღალხარისხოვან ფოლადს და ფეროშენადნობს. რომელიც საჭიროა ამ მაღალხარისხოვანი ფოლადის გამოსადნობად. ის ქარხნები, რომლებიც შენდება და რომელთა რეკონსტრუქცია სწარმოებს, მოგვცემენ 1.400 ათას ტონა ხარისხოვან ფოლადს, ფეროშენადნობის ქარხნები—170.000 ტონას. წარმოების გადიდება 660.000 ტონამდე 1932 წელს ნაცვლად 200.000 ტონისა 1931 წელს დამოკიდებულია მთელ რიგ გადასაკეთებელი ქარხნების პირველი რიგის წარმატებით ამუშავებაზე. 1932 წლის მშენებლობამ უნდა უზრუნველყოს ამ ქარხნების მთელი დანარჩენი სიმძლავრის ამუშავება 1933 წლის განმავლობაში. ხარისხოვანი ფოლადის ხაზით დნეპროვსკის ქარხანა მოგვცემს 600 ათას ტონას, „ელექტროსტალი" 120.000 ტონას, „სერპ ი მოლოტი"—100.000 ტონას, ზლატოუსტის ქარხანა—200.000 ტონას, ვერხნეისეცკის ქარხანა—50.000 ტონას, „კრასნი ოქტიაბრი"—300.000 ტონას, ჩელიაბინსკის ქარხანა—25.000 ტონა დაუჟანგავ ფოლადს (ფურცელი და ლენტი). ფეროშენადნობის ხაზით: დნეპროვსკის ქარხანა მოგვცემს —80.000 ტონას, ჩელიაბინსკი—40.000 ტონას, ზესტაფონის—50.000 ტონას. მილები მეტალურგიული წარმოების ყველაზე უფრო მწვავე დეფიციტურ საქონელს წარმოადგენენ, მილების ნაკლებობა აფერხებს სახ. მეურნეობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგების განვითარებას, განსაკუთრებით ნავთისა და კომუნალური მეურნეობის განვითარებას. წელს ჩვენ განვიცდიდით მილების უდიდეს ნაკლებობას. 1932 წელს შენდება მილების მთელი რიგი ქარხნები. მომქმედ ქარხნებში იდგმება მილების მთელი რიგი აგრეგატები, რომლებიც საგრძნობლად გაადიდებენ მილების რაოდენობას.

1930 წელს დამზადდა 268.000 ტონა რკინის მილები, 1931 წელს—292.000 ტონა, 1932 წლის გეგმით უნდა დამზადდეს — 482.000 ტონა.

მილების იმ ქარხნების სრული სიმძლავრე, რომლებიც შენდება და რომელთა რეკონსტრუქცია სწარმოებს უდრის 1,700 ათ. ტონას.

მაგნიტოგორსკის ქარხანა (მილების საამქრო) მოგვცემს 470.000 ტონას, ნიკოპოლსკის—410.000 ტონას, მარიუპოლის ქარხანა (ახალი პილიგრიმის დაზგა ამუშავდება 1933 წელს—100.000 ტონა)—265.000 ტონას, ტაგანროგის (ახალი პილიგრიმის დაზგა—100,000 ტონა ამუშავდება 1932 წ. დამლევს)—155.000 ტონას, ლიბკნეხტის სახელობის ქარხანა (ახალი პილიგრიმის დაზგა—80.000 ტონა, ამუშავდება 1933 წლის შუა თვეებში)—127.000 ტონას, ურალის პირველი ქარხანა—85.000 ტ., 1932 წელს უნდა ამუშავდეს ტაგანროგის ქარხანა (ახალი პილიგრიმის დაზგა)—100 ათ. ტონა, ლიბკნეხტის სახელობის ქარხნის დაზგების რეკონსტრუქციის დამთავრება სიმძლავრეს გაადიდებს 15.000 ტონით. „კრასნაია ტრუბა"-ს, ლენინგრადის და მოსკოვის ქარხნებში დაიდგმება სამი ღუმელი შესადუღებელი მილების წარმოებისათვის, რომელთა სიმძლავრე იქნება 27.0000 ტ. თუჯიდან ჩამოსასხმელი მილების 5 ქარხანა (როსტოვი, ლენინგრადი, ბილიმბაი, ახტიკა, მოგილიოვი) უნდა ამუშავდეს 1932 წლის პირველ ნახევარში. თვითეული მათგანის სიმძლავრე უდრის 15 ათას ტონას, ყველასი ერთად — 75.000 ტონას. იმ დროს, როცა ჩვენ ვახორციელებთ არსებითად ახალი მძლავრი მეტალურგიის შექმნის უმაღლესი გრანდიოზულ პროგრამას, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში კრიზისმა რამდენიმე ათეული წლის უკან დახია შავი მეტალურგია. ჩვენში ახალ-ახალი ღუმელები ინთება, იქ კი ქრება. ჩრდ.-ამერ. შეერთებულ შტატებში არსებულ 307 ღუმელიდან 1931 წლის დამლევს ოქტომბერში მუშაობდა 69. 1929 წლ. ივნისში კი მუშაობდა 220 ღუმელი.

გერმანიაში 155 ღუმელიდან 1931 წლის ნოემბერში მუშაობდა 47, 1929 წლის ივნისში კი 103 ღუმელი.

ინგლისში 400 ღუმელიდან 1931 წლის ნოემბერში მუშაობდა 70 ღუმელი, 1929 წლის აგვისტოში—170 ღუმელი. კაპიტალისტური ღუმელების სრული სიმძლავრის ვერ იყენებენ საუკეთესო პერიოდშიაც კი. ახლა კრიზისის შედეგად ისინი აქრობენ ღუმელების უკანასკნელ ათეულებს. ჩვენ 1932 წელს ახალ-ახალ ღუმელებს ავამუშავებთ.

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

საბჭოთა მეცნიერები პირობას იძლევიან

მედგრად იბრძოლონ მეორე ხუთწლედის დიადი გეგმის შესასრულებლად

(საბჭოთა კავშირის მეცნიერების მიმართვიდან XVII პარტკონფერენციისადმი)

მოსკოვი, 3 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სამეცნიერო მუშაკების მიმართვაში XVII პარტკონფერენციისადმი, რომელსაც ხელს აწერს განათლების მუშაკთა კავშირთან არსებულ სამეცნიერო მუშაკთა სექციის ცენტრ. ბიუროს თავმჯდომარე აკად. კოლლერი და აგრეთვე ხარკოვის, ლენინგრადის, მოსკოვის, უკრაინის, უზბეკისტანის, საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის და სხვ. რესპუბლიკების წარმომადგენლები. ნათქვამია:

„მეორე ხუთწლედი ისახავს დიად ამოცანას — უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებას საწარმოო ძალების და ტექნიკის განვითარების საფუძველზე. ეს მოითხოვს მეცნიერების მიღწევათა მთლიანად გამოყენებას, რაც საბჭოთა მეცნიერებს უდიდეს მოთხოვნილებებს უყენებს და მის წინაშე გრანდიოზულ პერსპექტივებს შლის. სამეცნიერო მუშაკების 50.000-იანი არმია პირობას იძლევა, რომ ამხ. სტალინის მითითებების საფუძველზე განახორციელებს მთელ რიგ ამოცანებს: მოაწყოს 1932 წ. სამეცნიერო მუშაკთა საკავშირო სესხი.—„მეცნიერებისა და ტექნიკის პროპაგანდის" სესხის და ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული თანხები გამოიყენოს ტექნიკური პროპაგანდისათვის; გამოჰყოს სამეცნიერო მუშაკები სოციალისტური მიწათმოქმედების მომსახურებისათვის საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს; იბრძოლოს მუშათა ასპირანტურის რიგების გაფართოებისათვის, სოციალისტურ შემთავსებელთა რიგების გაფართოებისათვის მუშათა რიგებიდან სამეცნიერო მუშაობაში.

საბჭოთა სამეცნიერო მუშაკები,—ნათქვამია დასასრულ მიმართვაში,—მოხუცი აკადემიკოსებიდან დაწყებული და გათავებული სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკების და ეროვნების ახალგაზრდა ასპირანტებით,—მზად არიან ერთიანი ფრონტით პროლეტარიატთან ერთად დაიცვან საბჭოთა კავშირი მსოფლიო იმპერიალიზმის ყოველგვარ თავდასხმებისაგან" (ადს).

ამხ. კუიბიშევის მოხსენება

(„პრავდა"-ს დღიურიდან)

მოსკოვი, 4 თებერვალი (საკ. კორ.). ამხ. კუიბიშევი თავის მოხსენებაში შეეხო პირველი ხუთწლედის შედეგებს და საკითხებს, დაკავშირებულს მეორე ხუთწლედის გეგმის კონკრეტულად დამუშავებასთან. მომხსენებელმა ჩამოსთვალა პირველი ხუთწლედის სიძნელეები: ბრძოლა კულაკობასთან, მავნებლებთან, კაპიტალისტური გარემოცვა, ქვეყნის ინდუსტრიალური განვითარების დაბალი დონე.

მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ კლასობრივი მტრის ყველა იერიშები, მოვახდინეთ ყველა ძალების მობილიზაცია, ვიყენებდით და ვიყენებთ მუშაობის ახალ მეთოდებს და მივაღწიეთ იმას, რომ ხუთწლედი სრულდება 4 წელიწადში. შეჯიბრებაში კაპიტალისტურ მსოფლიოსთან პრაქტიკულად დავამტკიცეთ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა. ამხ. ორჯონიკიძემ და, მოლოტოვმა უკვე მოიყვანეს მრავალი ციფრები და ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ მდგომარეობას კაპიტალისტურ მსოფლიოში: მაგ., შეერთებული შტატების პროდუქცია კრიზისამდე არსებულ უმაღლეს წერტილთან შედარებით შემცირდა 43 პროცენტით. უმუშევრობა, სიღატაკე და სიმშილი, — აი რა ახასიათებს მშრომელთა მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ხუთწლედის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა სოციალიზმის პოზიციების გაფართოებაში. ჩვენ მივაღწიეთ გასაზოგადოებული სექტორის აბსოლუტურ გადაჭარბებას. საკოლმეურნეო მშენებლობის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. საბოლოოდ არის გადაჭრილი საკითხი „ვინ—ვის" მთელს ქვეყანაში. ჩვენ ფეხზე დავაყენეთ მძიმე მრეწველობა, მოვსპეთ უმუშევრობა, საგრძნობლად გავაუმჯობესეთ მშრომელთა მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობები, მუშათა დიდი უმრავლესობა გადავიყვანეთ 7 საათის სამუშაო დღეზე, ვაშენებთ მუშათა საცხოვრებელ ბინებს, სკოლებს, თეატრებს, კლუბებს, კინოებს. უმაღლეს საფეხურზე ავიყვანეთ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კულტურული დონე.

ხუთწლიანი გეგმისთვის ბრძოლის პროცესში გამომჟღავნდა ახალი დამატებითი რეზერვები, მაგრამ აგრეთვე ახალი სიძნელეები.

[illegible] თავის ხელუხლებელი შესაძლებლობებით ყველაზე [illegible] ქვეყანა პროლეტარიატის რევოლუციონური ნებისყოფის ზეგავლენით ხსნის თავის საგანძურებს, რომ გაამრავლოს სოციალიზმის რესურსები. კუზბასი, კარაგანდა, დონბასი, რკინის მადნეული, ფერადი ლითონები, ქიმიური ნედლეული, თეთრი ნახშირი. ანგარა, დნეპრი ვოლგა, სატყეო სიმდიდრე, შესანიშნავი პირობები მესაქონლეობის განვითარებისათვის, სუბტროპიკული მცენარეები და სხვ.

მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია ხელს შეუწყობს სრულიად ახალი დარგების განვითარებას, მუშაობის სრულიად ახალი მეთოდების გამოყენებას: ინდივიდუალური ელექტრო - ძრავების ჩანერგვა, ელექტრო - ქიმია, ელექტრომეტალურგია, სინთეთიური ნედლეულის წარმოება, ახალი შენადნობები, მაღალი ქინევისა და წნევის გამოყენება. შრომის ტევად სამუშაოთა მექანიზაცია, ნახშირის გაზიფიკაცია, — აი ზერელე და სრულიად არა საკმაო ნუსხა იმ პრობლემებისა, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა იღებს ხვრებზე მეორე ხუთწლედში.

შემდეგ ამხ. კუიბიშევი ეხება მოსავლიანობის გადიდებას 40 პროცენტით, და ამბობს: არა ექსტენსიური, არამედ ინტენსიური სასოფლო მეურნეობა, არა იმდენად სივრცე, ფართობის გადიდების თვალსაზრისით, რამდენადაც მოსავლიანობის გადიდება.

ნათესების ფართობის გადიდება, მეორე ხუთწლედში განზრახული 160—170 მილიონ ჰექტარამდე, ნაცვლად 143 მილ. ჰექტარისა 1931 წ. ეს ფართობი სავსებით უზრუნველყოფს ჩვენ ნედლეულით და სასურსათო რესურსებით, თუ მივაღწევთ მაღალ მოსავლიანობას.

ამხ. კუიბიშევი მოკლედ შეეხო სარკინიგზო, წყლის და ურელსო ტრანსპორტის რეკონსტრუქციას, საჰაერო მიმოსვლას და კავშირგაბმულობის საქმეს და გადავიდა საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საკითხზე.

თავისი მოხსენების უკანასკნელი ნაწილი ამხ. კუიბიშევმა უძღვნა რაიონულ ხუთწლედებს — მეურნეობის გაშლის პერსპექტივებს ძირითად ოლქებსა და რესპუბლიკებში.

ქვანახშირი

მეორე ძირითადი ამოცანა, ამხანაგებო, —ეს არის ნახშირი. ქვანახშირის იმ რაოდენობით, როგორსაც ჩვენ ამჟამად ვიღებთ, მეტალურგიას ვერ უზრუნველვყოფთ. სამეტალურგიო ქარხნებს აქვთ 2,3 დღის მარაგი, მაგრამ ეს სასაცილოდაც არ ღირს, ხვალ რომ ტრანსპორტი რაიმე მიზეზით შეფერხდეს და მან ვერ შესძლოს ტვირთის დროზე მოტანა, ღუმელები უნდა გაჩერდნენ. ის ნახშირი, რომელსაც დღეს სამეტალურგიო ქარხნები იძლევიან, მდარე ხარისხისაა: შეიცავს ნაცრის დიდ პროცენტს. ქვანახშირის ხარისხს ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ მიმდინარე წელს უნდა მივიღოთ 90 მილიონი ტონა ქვანახშირი. წინააღმდეგ შემთხვევაში სათბობის კრიზისს თავს ვერ დავაღწევთ. ამისათვის არსებულ მაღაროებში უფრო წინ უნდა წავიდეთ მექანიზაციის ხაზით.

მიმდინარე წელს ჩვენ მივიღეთ მექანიზაციის წესით 31,7 მილიონი ტონა ქვანახშირი, ანუ მთელი ამოღების 57,1 პროცენტი. 1932 წელს ჩვენ უნდა მივიღოთ 63 მილიონი ტონა—მთელი ამოღების 78 პროცენტი. აქედან დონბასში—44,5 მილ. ტონა, ანუ 71 პროცენტი. ქვანახშირის მრეწველობაში 1932 წელს იმუშავებს ათასზე მეტი მძიმე ჩამჭრელი მანქანა 880 ნაცვლად, რაც იყო 1931 წელს. მსუბუქი ჩამჭრელი მანქანა იქნება 342, ნაცვლად 250, რამდენიც იყო 1931 წელს. პნევმატური უროს—4.078, ნაცვლად 2500, რამდენიც გვქონდა 1931 წელს.

მექანიზაციის დარგში ჩვენ აუცილებლად წარმატება გვაქვს ამჟამად. ეს წარმატება საჭიროა განვავითაროთ შემდეგშიაც. ამას წინად მე გადმომცეს, რომ ინჟინერებისა და ტექნიკოსების ერთმა ჯგუფმა გამოიგონა მანქანა, ეგრეთწოდებული „[illegible]", რომელიც საგრძნობლად სწყვეტს დაყრის საკითხს. თუ მანქანა მოხერხებული აღმოჩნდება, თუ იგი მართლაც ფართოდ იქნება გავრცელებული, მაშინ მარტო ერთ დონბასში ჩვენ საშუალება გვექნება გავანთავისუფლოთ 24-30 ათასი მუშა. ეს კი საგრძნობლად გაადიდებს ქვანახშირის გამოზიდვის სისწრაფეს.

ამხ. სუხომლინი—მალე ჩვენ მოგცემთ ქვანახშირის კომბაინს.

კაპიტალური მშენებლობა

ქვანახშირის მრეწველობაში ჩვენ ვაბანდებთ მიმდინარე წელს 810 მილიონ მანეთს, ნაცვლად [illegible] მილ. მანეთისა, რამდენიც დაბანდებული იყო წარსულ წელს, და 320 მილ. მანეთისა—1930 წელს. 1932 წელს მშენებლობის პროცესში იქნება 380 მაღარო (იმ მაღაროებს დამთავრების ჩათვლით, რომლებიც საექსპლოატაციოდ 1932 წელს იქნა გადაცემული), რომელთა წლიური ნაყოფიერება 240 მილიონ ტონით არის ნავარაუდევი. ამათგან 1932 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემული იქნება 89 მაღარო 38 მილიონი ტონის წლიური ნაყოფიერების რაოდენობით. ასეთია საწარმოო პროგრამის კაპიტალური მშენებლობის მოცულობა ქვანახშირის დარგში.

მიმდინარე წელს ჩვენ გადაჭრით უნდა შევუდგეთ ეგრეთწოდებული ადგილობრივი რაიონების, ადგილობრივი ქვანახშირის განვითარებას. აქამდე დონბასი ამარაგებდა და ეხლაც ამარაგებს მოსკოვსა და ლენინგრადს. დონბასის ქვანახშირი აღწევს ზოგჯერ ზნაკოვამდე და პერმამდეც კი. საქმის ამგვარი მდგომარეობა მომავალში აღარ გამოდგება, ვერ ერთი, უკრაინაში მეტალურგიის ფართო განვითარებას აქვს ადგილი, რის გამო იქ საჭირო გახდება ქვანახშირის დიდძალი რაოდენობა. უნდა ვიცოდეთ, რომ მეორე სამეტალურგიო ბაზის შექმნის დროს ჩვენ არ გვავიწყდებოდა უკრაინა. უკრაინის მეტალურგია იზრდება უდიდეს ფარგლებში. მე უკვე ვლაპარაკობდი მაკეევკის, ვოროშილოვისა და ძერჟინსკის სახელობის ქარხნების რეკონსტრუქციის შესახებ, რომ შენდება ახალი ქარხნები კრივოროჟის (ხმა: „მარიუპოლის") მარიუპოლის და ნიკოპოლის მილის ქარხანა.

კოსიორი—„დნეპროსტროი".

ამხ. ორჯონიკიძე. „დნეპროსტალ"-ი, ქერჩის ქარხანა. აი რამდენი ქარხანა შენდება უკრაინაში. ეს კი მოითხოვს საკოქსებელი ქვანახშირის უდიდეს რაოდენობას. მაგრამ, გარდა ამისა, გზათა სახალხო კომისარიატს უნდა დავეხმაროთ. შეუძლებელია შემდგომაც გაგრძელდეს უმსგავსობა, როცა ქვანახშირს ვეზიდებით ჩვენი კავშირის ერთი კუთხიდან მეორეში, ხოლო შემდეგ თვითონ გავიძახით, რომ არ გვყოფნის მოძრავი შემადგენლობა. ამიტომ, ამხანაგებო; საკითხი მოსკოვის მახლობელი ბასეინის, ბოროვიჩის, შორეული აღმოსავლეთის ნახშირის, ტყვარჩელის ქვანახშირის, უკრაინის, ტყვარჩელის ქვანახშირის, პეჩორის ნახშირის; სახალინის ნახშირის შესახებ მთელი მოცულობით უნდა იქნას წამოყენებული.

გადაჭრით უნდა მივაქციოთ ყურადღება ამ საქმეს, რომ მაქსიმალურად გავთავისუფლდეთ ნახშირის მოტანისაგან მოსკოვის რაიონისათვის. ნახშირი მოსკოვის მახლობლად, მაგალითად, დიდი რაოდენობით მოიპოვება; უნდა შევუდგეთ მის ამოღებას. წარსულ წელთან შედარებით ზრდას აქვს ადგილი, მაგრამ ეს ცოტაა.

ბოროვიჩის შესახებ ლენინგრადის მახლობლად. ეს საქმე საბოლოოდ უნდა იქნას გამორკვეული: თუ აღმოჩნდება, რომ ჩვენ აქ ქვანახშირის საკმაო რაოდენობა გვაქვს, იგი უნდა დავამუშაოთ, რაც დიდად გაგვიადვილებს საქმეს.

„დალუგოლ"-ის შესახებ. აქამდე ჩვენ რაღაც დაუჯერებელ რამე ჩავდივართ ჩერემხოვსკის რაიონის მიმართ: გვაქვს ნახშირი, ვინ იცის, სად, რომ მოვახმაროთ იგი ვლადივოსტოკის რკინის გზებს, ამასთან ამ ნახშირის ნახევარზე მეტს ნთქავენ ორთქლმავლები, რომელთაც გადააქვთ ეს ნახშირი. თვით ვლადივოსტოკის მახლობლად მოიპოვება მშვენიერი ნახშირი, უნდა ამოვიღოთ ის უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე მას ვიღებდით დღემდე.

ამხ. როიზმანი—მართალია, მართალია.

ამხ. ორჯონიკიძე—განსაკუთრებულად უნდა იქნას დასმული საკითხი ურალის საკოქსებელი ქარხნის შესახებ, რადგან ურალში ჩვენ მოგვეპოვება მურა ქვანახშირის დიდი საბადოები. ურალის ქვანახშირის დამუშავება დიდად უნდა დავაჩქაროთ. ურალში 1931 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა 4 მაღარო 2.040.000 ტონა წლიური ნაყოფიერების ვარაუდით. მშენებლობის პროცესშია 36 მაღარო წლიური 20 მილიონი ტონის ნაყოფიერებით. 1932 წელს დაწყებული იქნება (გამოტოვებულია)... წლიური 1.600.000 ტონის ნაყოფიერებით. „ურალუგოლ"-მა 1931 წელს მოგვცა 2.800.000 ტონამდე ნახშირი, 1932 წლის პროგრამა კი 5.900.000 ტონის რაოდენობით არის ნავარაუდევი. მაგრამ, ეტყობა, ჩვენ იძულებული ვიქნებით გავადიდოთ ეს პროგრამა და საგრძნობლადაც გავადიდოთ.

ხმა ადგილიდან—ცოტა მიგვიცია ურალისათვის.

ამხ. ორჯონიკიძე—როგორც სჩანს, მოგტყუებდით ანგარიშში. მიმდინარე წელს ქვანახშირის ადგილობრივ რაიონებში დიდი სახსრები იქნება დაბანდებული. „მოსკვაუგოლ"-ში მიმდინარე წელს დაბანდებული იქნება 55 მილიონი მანეთი 44 მილ. მანეთის ნაცვლად, რაც წარსულ წელს იყო დაბანდებული, „დალუგოლ"-ში—26 მილ. მანეთი. 15 მილიონის ნაცვლად წარსულ წელს, მოსკოვის მახლობელ რაიონში 1931 წელს ჩვენ ავამუშავეთ 16 მაღარო 9 მილიონი ტონის წლიური ნაყოფიერებით, შენდება 36 მაღარო 9.600.000 ტონის წლიური ნაყოფიერებით, ხოლო 1932 წელს აგებულ იქნება 14 მაღარო 4.200.000 ტონის წლიური ნაყოფიერებით. „მოსკვაუგოლ"-მა 1932 წელს უნდა მოგვცეს 5,7 მილიონი ტონა, 1931 წელს კი მან მოგვცა 2.340.000 ტონა. ეს სამუშაო ადვილი არ არის, იმისათვის, რომ წელიწადში 2 ნახ. ჯერ გავადიდოთ ნახშირის ამოღება, საჭიროა მაგრად მუშაობა.

ამხ. სტ. კოსიორი—და ისიც ნახშირის ამოღება!

ამხ. ორჯონიკიძე—განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენთვის აქვს კუზნეცკის ბასეინს: მაგნიტოგორსკი, კუზნეცკის ქარხანა. მომავალი ტაგილის ქარხანა—ყველა ამ ქარხნების ბაზას კუზნეცკის ნახშირი წარმოადგენს. აქ 1931 წელს ჩვენ საექსპლოატაციოდ გადავეცით 44 მაღარო 6,8 მილიონი ტონის წლიური ნაყოფიერებით. შენდება 49 მაღარო, რომლის წლიური ნაყოფიერება 45,2 მილ. ტონას უდრის. 1933 წელს ამუშავებულ უნდა იქნას 13 მაღარო 7 მილიონი ტონა წლიური ნაყოფიერებით. 1932 წელს იწყება 5 ახალი მაღაროს მშენებლობა 16 მილიონი ტონა წლიური ნაყოფიერებით. 1932 წელს კუზბასმა უნდა მოგვცეს 10 ნახევარი მილიონი ტონა ქვანახშირი. ამ პროგრამის მთლიანად შესრულებით ავიცილებთ სათბობ ბალანსის დაძაბულობას.

ქვანახშირის მესამე ბაზაა კარაგანდა. აქ მუშაობა მხოლოდ შარშან დაიწყო. ახლა შენდება 23 მაღარო, რომელთა წლიური ნაყოფიერება იქნება 7,2 მილ. ტონა. 1932 წელს იწყება 14 მაღაროს მშენებლობა, მათი წლიური ნაყოფიერება 11 მილიონ ტონას მიაღწევს. 1931 წელს კაპიტალურ მშენებლობაზე კარაგანდაში დაიხარჯა 22 მილიონი მანეთი. 1932 წელს გადადებულია 40 მილიონი მანეთი.

სხვა სახის სათბობის ხაზით 1931—32 წელს უნდა მივცეთ ქვეყანას 14,3 მილ. ტონა, მაგრამ ერთი შენიშვნით—არა ისეთი ტორფი, როგორიც შარშან მოგვცეს. ის, რაც მიმდინარე წელს ტორფის ხაზით მოხდა, მეტისმეტი უმსგავსობაა. რომ ეჩვენებინათ დიდი რაოდენობა, დიდი ციფრი, არ თაკილობდენ ტორფთან ერთად მოეცათ რაც შეიძლება მეტი წყალი (როიზმანი: აი თვალის ამხვევი).

ნავთი მიმდინარე წელს უნდა მივიღოთ 29,4 მილ. ტონა გასული წლის 23,1 მილ. ტონას ნაცვლად. ნავთის მრეწველობა ჩვენში თავისი ტექნიკური დონით ყველა დანარჩენებს სჯობს თავის რეკონსტრუქციას იგი დიდი ხანია შეუდგა. ამ მრეწველობას მიმდინარე წელს შეეძლო უფრო მეტი ნავთის მოცემა, რომ აქ არ შეფერხებულიყო მილების და მანქანების მიწოდება. (როიზმანი: სწორია). აქ არის კიდევ ერთი მიზეზი. ტრანსპორტმა ვერ შესძლო გაეტანა მთელი ნავთი რომელიც ჩვენ გვაქვს. ამჟამად ბაქოსა და გროზნოში ავსებულია ყველა რეზერვუარები, ხოლო როცა რეზერვუარები არ გვეყო, ჩვენ იძულებული აღმოვჩნდით ორმო გაგვეთხარა და ნავთი იქ ჩაგვესხა. მაშინ როცა ჩვენი ქვეყნის შიგნით ნავთი შეიძლება არ გვეყოს, ბაქოსა და გროზნოში გაუტანელი დარჩა 1 ნახევარ მილიონ ტონამდე (კოსიორი: მკვდარი კაპიტალია).

მიმდინარე წელს სათანადოთ უნდა იქნას მოგვარებული ფიქალის დამუშავება. 1931 წელს ჩვენ მივიღეთ 146.000 ტონა, 1930 წელს ბევრად ნაკლები იყო. 1932 წელს ჩვენ უნდა დავამზადოთ 500.0004 ტონა ფიქალი. უეჭველია, ამ სათბობმა საგრძნობი როლი უნდა ითამაშოს, თუ მას სათანადოთ განვავითარებთ. აი ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე სათბობის მრეწველობის დარგში დგანან.

მანქანათმშენებლობა

საბჭოთა მანქანათმშენებლობის განვითარების საკითხი არის საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცების საკითხი. ქიმიური მრეწველობის, მეტალურგიის, ნავთის მრეწველობის, ტრანსპორტის, ელექტროფიკაციის განვითარება, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მშენებლობისა და ხე-ტყის დამზადების მექანიზაცია, მოსახლეობის ფართო მასების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მთელი ჩვენი წყობის გარდაქმნა დამოკიდებულია საბჭოთა მანქანათმშენებლობის შემდგომ დაჩქარებულ განვითარებაზე. ჩვენ გვაქვს წარმატებები, მაგრამ საჭიროა მანქანათმშენებლობის შემდგომი ბუმბერაზული ზრდა. კონკრეტულად 1932 წლისათვის ჩვენი მანქანათმშენებლობის წინაშე შემდეგი ამოცანები სდგანან: უნდა უზრუნველვყოთ მშენებლობის პროცესში მყოფი მეტალურგიული ქარხნები მოწყობილობით, რისთვისაც უნდა მოვაგვარდეს ისეთი საგნების წარმოება, როგორიცაა შაერმშერი, [illegible] ონკანი, ბრძმედის ასაწევი, ციცხვი, მარტენის მძიმე ონკანი, სარქველი, გაზგოლდერი, დეზინტეგრატორი, სატკეცი დაზგა, სპეციალური მეტალურგიული ელექტრომოწყობილობა, თვით გამტვირთავი ვაგონი, ვაგონსასწორი, ტანკორთქლმავალი და მზომიარელი, აგრეთვე მთელი ამ მოწყობილობის სათადარიგო ნაწილები; უნდა დაჩქარდეს კრამატორის და ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნების დამთავრება. ისინი წარმოების სრული გაშლის დროს უზრუნველყოფენ: ურალ მანქანათმშენის ხაზით 120.000 ტონა მზა პროდუქციას. აქედან იქნება: 14,6 კომპლექტი ბრძმედი, 20 მარტენი, 12 სარკეცი დაზგა მათ შორის 2 ბლიუმინგი; 30 გაზოგენერატორი, 5 ათასი ტონა მოწყობილობა ფერადი მეტალურგიისათვის, 17 ათასი ტონა მოწყობილობა სამთო მრეწველობისათვის, 5.000 ტონა სამჭედლო პრესები, 2 ათასი ტონა სათადარიგო ნაწილები, 1.000 ტონამდე მსხვილი ნაჭედი რკინა.

„კრამაშსტროი"-ს ხაზით—150.000 წლიური პროდუქციის გამოშვება, მათ შორის ბრძმედი—6, კომპლექტი, მარტენები—30 კომპლექტი, გაზოგენერატორები—150 კომპლექტი, სატკეცი დაზგები—16 კომპლექტი, ბლიუმინგები—3, საგლინავ-სახარატო დაზგები—16, მძლავრი ამწევი—60, კოქსის გამომწველი მანქანები—20, გაზშემბერავები—16, მთლიანნაჭედი დოლები და როტორები—24.000. ამრიგად ეს ორი მანქანათმშენებლობის გიგანტი—ურალის და კრამატორსკის—საშუალებას მოგვცემს უკვე 1—1 ნახევარი წლის შემდეგ მარტო შავი მეტალურგიის ხაზით ყოველწლიურად უზრუნველვყოთ მოწყობილობით ორი ისეთივე ქარხანა, როგორიც მაგნიტოგორსკის, თუ არ ვილაპარაკებთ სამთამადნო მრეწველობის და ფერადი მეტალურგიის მოწყობილობის დიდ მასაზე, მძლავრ ქვაბ-ტურბმშენებლობისათვის საჭირო მაგარ ნაჭედ რკინაზე. ნაწილობრივ ამ ქარხნებმა უნდა მოგვცენ პროდუქცია უკვე 1932 წელს. თავისი სიმძლავრით და ტექნიკური მოწყობილობით ამ ქარხნებს ბადალი არ ყავთ მთელს მსოფლიოში. ამრიგად, საბჭოთა კავშირი ამ დარგში არა მარტო ეწევა, არამედ ასწრებს ტექნიკური მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ქვანახშირის მრეწველობა სათანადო მოწყობილობით, რისთვისაც უნდა დაჩქარდეს ციმბირის სამთამადნო მოწყობილობის ქარხნის მშენებლობა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ ქარხნების დამთავრება უკრაინასა და ურალში.

რადაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა შევასრულოთ ორთქლმავალ-ვაგონმშენებლობის პროგრამა, 1933 წ. დავამთავროთ ლუგანსკის ორთქლმავალმშენებელ ქარხნის მშენებლობა, გავშალოთ ქვედა-ტაგილსკის სავაგონო ქარხნის მშენებლობა. წელს უნდა შევუდგეთ 2 ორთქლმავალთმშენებელ და ერთი ვაგონის მშენებელ ქარხნების აგებას. ფართო მასშტაბით უნდა დავაყენოთ ქიმიური ქარხნებისათვის („ურალხიმმაშსტროი") საჭირო მოწყობილობათა წარმოება. უნდა დავამთავროთ ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობა და ავამუშაოთ იგი 1932 წლის დამლევისათვის. ელექტრო-ტექნიკური მრეწველობის და ქვაბტურბმშენებლობის განვითარება წარმოადგენს საფუძველს ჩვენი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის გრანდიოზული გეგმებისათვის. საბჭოთა კავშირის ელექტროსადგურებმა წელს ჩვენ უნდა მოგვცეს ერთნახევარი მილიონი კილოვატი ახალი ენერგია. მეორე ხუთწლედის თეზისებიდან თქვენ უკვე იცით, რომ შემდეგი ხუთწლედის დამლევისათვის—1937 წელს ჩვენ უნდა მივსცეთ ჩვენს ქვეყანას 100 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტრონის ენერგია. რომ უზრუნველვყოთ მოწყობილობით და მანქანებით სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის ეს გიგანტური გეგმა, საჭიროა ყოველნაირად დავაჩქაროთ მშენებლობა ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის დარგში. რისთვისაც საჭიროა: 1932 წლის პირველ ნახევარში ავამუშაოთ ხარკოვის ტურბინის ქარხანა 1,5 მილიონ კილოვატის სიმძლავრით.

წელსვე შევუდგეთ დიდი ელექტრომანქანათმშენებლობის კომბინატის აგებას აღმოსავლეთში. 1932 წელს მოვახდინოთ გიგანტური ქვაბის ქარხნის რეკონსტრუქცია. 1933 წლის მისი წლიური პროდუქცია შეადგენს 400.000 კვადრატულ მეტრს, ხოლო ქვაბტურბინის მთელი პროგრამა კი ქვაბების ხაზში შეადგენს 336.000 კვადრატულ მეტრს. დავიწყოთ საქვაბე ქარხნის მშენებლობა ურალში და ავამუშაოთ იგი 1934 წელს. მისი წლიური გამომუშავება შეადგენს 700.000 კვადრ. მეტრს. [illegible] ახალი მძლავრი სამქრო (ამუშავდება 1933 წელს), რომელიც [illegible] ქვაბებისათვის 40 ატმოსფეროს წნევით; დავამთავროთ ახალი ჰიდრო-ტურბინის სახელოსნოს მშენებლობა ლენინგრადის ლითონის ქარხანაში—წლიური წარმოება—500 ათასი ცხენის ძალის ჰიდრო-ტურბინები. ნავთის მრეწველობის შემდეგომ გაშლას აფერხებს მოწყობილობა: ტუმბოები, საბურღავი დაზგები და მილაკების დიდი რაოდენობის წარმოება. ნავთის მოწყობილობის წარმოების საკითხი უნდა დაისვას გადაჭრით. 1932 წელს გამოყოფილ უნდა იქნას ქარხნების განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს ნავთის მრეწველობას მოწყობილობით. ამ საკითხის გადაჭრა არ უნდა გადავდვათ არც ერთი დღით.

იგივე ითქმის ფერადი მეტალურგიისათვის საჭირო მოწყობილობის წარმოების დაყენების და მდინარისა და საზღვაო ტრანსპორტის განვითარების შესახებ. თქვენ ყველამ იცით თუ რა უდიდეს სახსრებს ვხარჯავთ ჩვენ ფრახტზე. მე უკვე ვილაპარაკე, რომ ვოლგის და კასპიის ნავთის ჩასასხმელი ფლოტი ვერ მოერია ბაქოდან ნავთის გამოზიდვის საქმეს. წელს ჩვენ ვიწყებთ ორი დიდი ახალი გემთსაშენი ქარხნების აგებას უკრაინასა და შორეულ აღმოსავლეთში. ამასთანავე ჩვენში უნდა განვითარდეს მანქანათმშენებლობა კვების მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობისათვის. კომუნალური მეურნეობის უდიდესი განვითარება, რომელიც ჩვენში ახლა იშლება, მოითხოვს მანქანების დიდ რაოდენობას, ეს მანქანები უნდა მივსცეთ ჩვენ.

უნდა უზრუნველვყოთ საფეიქრო მრეწველობა და მთელი მსუბუქი მრეწველობა მოწყობილობისა და მანქანების საჭირო რაოდენობით; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მექანიზმების მშენებლობას სატყეო მრეწველობისათვის და საამშენებლო სამუშაოების მექანიზაციას.

უდიდესი კაპიტალური მშენებლობის სამეურნეო სამუშაოთა გადამწყვეტი მექანიზაციის გარეშე ჩვენ ჩავშლით ჩვენს გეგმებს. უნდა მთლიანად შევასრულოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის 1932 წლის პროგრამა. ამრიგად საბჭოთა მანქანათმშენებლობის წინაშე სდგას საპატიო ამოცანა—იყოს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებელთა პირველ რიგებში ჩვენ უდიდესი შესაძლებლობები გვაქვს არა მარტო ახალ, არამედ მანქანათმშენებლობის ძველ ქარხნებშიაც.

იჟორის ქარხნის მაგალითი, რომელმაც 1931 წელს ააგო ორი ბლიუმინგი; რიკოვის სახელობის მეტალურგიული ქარხნის (უკრაინა) მაგალითი, რომელმაც დაამზადა პირველი საბჭ. ჩამოსასხმელი მანქანა მთლიანად საბჭ. მასალისაგან; ძერჟინსკის ქარხნის მაგალითი, რომელმაც დაამზადა ასეთივე ჩამოსასხმელი მანქანა, ქარხანა „ელექტროსილა"-ს მაგალითი, რომელმაც დაამზადა უაღრესად რთული ელექტროსადენი ბლიუმინგისათვის; ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის მაგალითი, რომელმაც გამოუშვა მძლავრი ტურბინები,—ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენს ქარხნებში შეიძლება დამზადებულ იქნას მეტად რთული, სავსებით გაუმჯობესებული მანქანები.

ელექტროფიკაცია

მიუხედავად იმისა, რომ 1931 წელს ჩვენ ავამუშავეთ ახალი ელექტრო-სადგურები 1 მილიონი კილოვატის სიმძლავრით, ჩვენ მაინც განვიცდით ელექტროენერგიის ნაკლებობას ბევრ რაიონებში, განსაკუთრებით ურალში და ეს იმ დროს, როცა 1931 წელს ჩვენ 6-ჯერ გავადიდეთ ელექტრო-სადგურების სიმძლავრე ურალში. მიმდინარე წელს ჩვენ უნდა მივიღოთ 1,5 მილიონი კილოვატი. ეს სწორედ იმდენია, რამდენიც უნდა მიგვეღო ჩვენ 10-15 წლის განმავლობაში „გოელრო"-ს გეგმის მიხედვით. მიღებული ახალი სიმძლავრის თითქმის ნახევარი უნდება მეტალურგიის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. უმნიშვნელოვანესი ობიექტები, რომლებიც ამუშავებულ უნდა იქნან 1932 წელს: უმნიშვნელოვანესი ჰიდრო-სადგურები—დნეპრის—372.000 კილოვატი, სვირსკის—24.000 კილოვ., რიონის—36.000 კილოვ., ძორაგესი—22,5 კილოვატი. დნეპროშესის გარდა, რომელიც ემსახურება მეტალურგიას, ამუშავდება შემდეგი ელექტროსადგურები, რომლებიც სამსახურს გაუწევენ მეტალურგიას:

მაგნიტოგორსკის—112.000 კილოვატი, კუზნეცკის—98.000 კილოვატი, ძერჟინსკის—48.000, მარიუპოლის—24.000, ლიპეცკის—24.000, მაკეევკის—24.000, ბაქოს—48.000. 1932 წლის გეგმა ითვალისწინებს ჰიდროსადგურების [illegible] ელექტროცენტრალების მშენებლობის [illegible] დიდ განვითარებას. 1932 წელს ჰიდრო[illegible]გურები დნეპრის სადგურთან ერთად მოგვცემენ 500.000 კილოვატს (ძველ სადგურებთან ერთად ჩვენ გვექნება 620.000 კილოვ. სიმძლავრის სადგურები).

ჩვენ განზრახული გვაქვს მთელი რიგი ახალი დიდი ჰიდრო-სადგურების მშენებლობა: ვოლგაზე—ორი ჰიდროსადგური, იაროსლავის რაიონში, ლენინგრადის ოლქში, ჩირჩიკ-ხრამის ჰიდრო-ცენტრალი, შენდება ბაქოს, გიზელ-დონის და სხვ. ჰიდროსადგურები.

თბოფიკაცია. 1931 წელს მივიღეთ—110.000 კილოვატი, 1932 წელს ნავარაუდევია დაახლოვებით 301.000 კილოვატი თბოფიკაციური სიმძლავრით.

აი, ამხანაგებო, 1932 წლის ელექტროფიკაციის პროგრამა.

ამასთან ერთად ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ ყველა დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს სადგურებში, მათი ნორმალური მუშაობისათვის.

ფერადი მეტალურგია

1932 წლის გეგმის მიხედვით ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენს ქვეყანას 90.000 ტონა სპილენძი. ხოლო ეს ცოტაა.. მაგრამ წელს ჩვენ მეტის მიცემა არ შეგვიძლია და ამ პროგრამის სავსებით შესრულების დროს ჩვენ იძულებული ვიქნებით შემოვიტანოთ ფერადი ლითონი უცხოეთიდან. 1932 წელს სპილენძის საერთო წარმოებიდან—900.000 ტონა, 75.000 ტონა შეადგენს მადნისაგან მიღებულ სპილენძს. მადნის მთელი სპილენძის 72 პროცენტი მიღებულ უნდა იქნას 1932 წელს ღუმელებში (ტექნიკურად უფრო მოწინავეებში), ნაცვლად 13 პროცენტისა 1931 წელს. 16,6 ათასი ტონა (მადნის სპილენძის მთელი პროგრამის 22 პროცენტი) უნდა მოგვცეს 1932 წელს კრასნოურალის სპილენძის სადნობ კომბინატმა. 1932 წლის განმავლობაში ეს კომბინატი დამთავრებულ უნდა იქნას 200.000 ტონა სრული სიმძლავრით. ელექტროლიტის სპილენძის წარმოებისათვის ამუშავებულ უნდა იქნას ტიმშინსკის ელექტროლიტის ქარხანა 50.000 ტონა სპილენძის სიმძლავრით, ესე იგი მთელ ამჟამად არსებულ სიმძლავრეზე მეტი. წელს პირველად ამუშავდება ალუმინის ახალი ქარხნები. 1932 წელს ამუშავსიმძლავრით, დნეპრის—20.000 ტონა სიმძსიმძლავრით, დნეპრის—20.00 ტონა სიმძლავრით.

რომ სავსებით შევაფასოთ თუ რას ნიშნავს ამ პირველი ორი ალუმინის ქარხნის ამუშავება, საკმარისია ვსთქვათ, რომ საფრანგეთმა 1929 წელს (საუკეთესო წელიწადი) დაამზადა 29.000 ტონა ალუმინი, გერმანიამ—32.000 ტონა. 1932 წელს გამომუშავებულ უნდა იქნას 28,5 ათასი ტონა თუთია, ესე იგი სამჯერ იმაზე მეტი რაც გამომუშავებულ უნდა იქნას 1931 წელს. 1932 წელს ფერადი მეტალურგიის მუშაკები უნდა დაეუფლონ წარმოებას და მთელის სიმძლავრით უნდა აამუშაონ ბელოვსკის და კონსტანტინოვკის ქარხნები 12.000 ტონა სიმძლავრით თვითეული და უნდა უზრუნველყონ ჩელიაბინსკის ელექტროლიტის ქარხნის ამუშავება, რომელიც მოგვცემს 20.000 ტონა ელექტროლიტის თუთიას. ტყვიის წარმოების გეგმა 1932 წელს 38.000 ტონის რაოდენობით 3 ჯერ უფრო მეტია, ვიდრე 1931 წელს.

1932 წლის დასასრულს უნდა ამუშავდეს პოლილითონის კომბინატი, რომლის სრული სიმძლავრე წელიწადში უდრის 60.000 ტონა ტყვიას. იშვიათი ლითონი: ნიკელის წარმოება პირველად იწყება 1932 წელს. მალე ამუშავდება უფალეევსკის კომბინატი 3.000 ტონა სიმძლავრით (გამოტოვებულია)... ფართოვდება მადნის ამოღება, კონცენტრატების, ვოლფრამის, მოლიბდენის, სხმულის, სინდიყის და სურინჯის წარმოება. 1931 წელს ჩვენ პირველად მივიღეთ რადიუმი, 1932 წელს, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ კალის საბადოები და დავიწყოთ მისი წარმოება ჩვენში. აქამდე კალა ჩვენ სულ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა.

ქიმია

1932 წლის განმავლობაში ჩვენში ავამუშავებთ მთელ რიგ მსხვილ საწარმოებს ქიმიის დარგში. გოგირდის სიმჟავის წარმოება 675.000 ტონიდან 1932 წლის იანვარში დიდდება 1.850.000 ტონამდე 1935 წლის იანვარში.

ამრიგად გოგირდის სიმჟავის წარმოება ორკეცდება წელს მთელი რიგი ახალი საწარმოების ამუშავების შედეგად. ფოსფატის სასუქების დარგში წარმოება 1.180.000 ტონიდან 1932 წლის იანვარში დიდდება — 1.860.000 ტონამდე 1933 წლის იანვარში. 1932 წელს ბერეზნიაკოვის და ბობრიკოვის კომბინატების ამუშავებით ჩვენ ვქმნით ქიმიური მრეწველობის ახალ მძლავრ დარგს—აზოტის მრეწველობას. მთელი ქიმიური მრეწველობის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს ტექნოლოგიური პროცესების დაუფლება მსხვილი სამრეწველო საწარმოთა მასშტაბით. ქიმიური მრეწველობის უდიდეს გაშლას ჩვენ ალბად მივიღებთ მეორე ხუთწლედში.

პირველ ხუთწლედში ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩით ამ დარგში. ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანაში პირველად შენდება სინთეტიური კაუჩუკის ქარხნები. სამი მათგანი დამთავრებული იქნება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში. თვითეულ ქარხანას ექნება — 10.000 ტონა სიმძლავრე—სულ 30.000 ტონა. წელს ჩვენ გვინდა მივიღოთ 12.000 ტონა სინთეტიური კაუჩუკი. ამ ქარხნებში წარმოების დაუფლება მოასწავებს ჩვენს უდიდეს გამარჯვებას, ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

მინერალური ნედლეული. 1930 წელს ჩვენ მივიღეთ 500 ტონა გოგირდი, 1931 წელს—2.500 ტონა, 1932 წლის გეგმა ითვალისწინებს 28.000 ტონას. (გამოტოვებულია)...

ამის და სხვა მთელი რიგი პროდუქტების წარმოება მეტად საჭიროა. ეს პროდუქტები დღემდი ჩვენ უცხოეთიდან შემოგვქონდა და ეს იმ დროს, როცა არსებობს სრული შესაძლებლობა, რომ დავამზადოთ ისინი ჩვენში.

კაპიტალური მშენებლობის ამოცანები

კაპიტალური მშენებლობის დიდი მოცულობა, რომელიც მთელს მრეწველობაში თითქმის 12 მილიარდ მანეთს უდრის, ხოლო მძიმე მრეწველობის ხაზით—9 200 მილიონ მანეთს, მოითხოვს მთელი ჩვენი ძალღონის დაძაბვას. ჩვენ, ამხანაგებო, 1931 წელს გამოვიყენეთ დაახლოვებით 7 მილიარდი მანეთი. ჩვენ ავამუშავეთ 3,5 მილიარდის ახალი საწარმოები. ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ თუ სწორად გამოიანგარიშებთ, რამდენი გვიჯდება მშენებლობა, აშკარად უნდა ვსთქვათ, რომ ძვირად გვიჯდება. ერთი რამ მართალია: ჩვენ ვისწავლეთ შენება, ქარხნებს პირდაპირ ოსტატურად ვაშენებთ. ტემპები დამაკმაყოფილებელია. მაგრამ ძვირად ვაშენებთ. მიმდინარე წელს საქმის ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. 1932 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა:

1. მატერიალურ-ფინანსიურ საშუალებების და ადამიანთა ძალის კონცენტრაცია მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე, რომელთა ამუშავებაც შესაძლებელი იქნება მიმდინარე წელს. შეცდომაა იმის ფიქრი, რომ ყველაფრის ზიდვა ერთნაირი სისწრაფით შეიძლება. მაგრამ ნიშნავს ეს, რომ ჩვენ, როცა ვაწარმოებთ უმნიშვნელოვანესი ობიექტების კონცენტრაციის და მიმდინარე წელსვე ახალი საწარმოების მაქსიმალურად ამუშავების პოლიტიკას, ჩვენ ოდნავ მაინც უნდა შევანელოთ კაპიტალური მშენებლობის ტემპი? რა თქმა უნდა, არა. პირიქით, უმნიშვნელოვანესი ობიექტების კონცენტრაცია უზრუნველყოფს მშენებლობის უსწრაფესი დამთავრების ნამდვილ ტემპს

2. სანამ ძირითადი საამქროების მშენებლობას შევუდგებოდეთ, საჭიროა გულდასმით მოვამზადოთ მშენებლობის გაშლის გეგმა.

როცა ახალი ქარხნების მშენებლობას ვიწყებთ, მაშინვე ვზრუნავთ კადრების მომზადებაზე და ამ მომავალი ქარხნისათვის, მაშინვე ვამზადებთ ბაზას მომიჯნავე წარმოებათა მოსამარაგებლად და სხ. ეს აბსოლუტურად სწორია, ეს კარგ შედეგებს იძლევა. ასეთივე წინასწარი მომზადება კიდევ უფრო საჭიროა თვით მშენებლობის სწორი და რაციონალური წარმართვისათვის. ხდება ხოლმე, რომ ჩვენ ავაშენეთ, შემდეგ კი ირკვევა, რომ ავვიშენებია შეუფერებელ ადგილზე, საჭირო ხდება ნაგებობის აღება. თუ გვექნება მშენებლობის წარმართვას სერიოზულად დამუშავებული ტექნიკური გეგმა, საგრძნობლად გაიაფდება მშენებლობა და შეცდომებიც ნაკლები მოგვივა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფართობის შერჩევას, გრუნტის გამოკვლევას, იმას, არის თუ არა წყლის საჭირო რაოდენობა, და სხ. დამხმარე წარმოების აშენება—მშენებლობის შეუფერხებელი წარმართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

3. ადგილობრივი საშენი მასალის ფართოდ გამოყენება და მისი წარმოების განვითარება თვით მშენებლობის რაიონებში. შეუწყნარებელ უმსგავსობათ უნდა ჩაითვალოს, როცა საშენი მასალა, რომელიც ადგილობრივ შეიძლება დამზადდეს, მოგვაქვს ასეული და ათასეული კილომეტრის მანძილიდან. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მეტად ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალი საშენებელი მასალის წარმოების გაშლაში

4. გადაჭრით უნდა განვაგრძოთ რკინის შეცვლა ხით. ჩვენ უკვე გვაქვს ასეთი შეცვლის საუცხოვო მაგალითები: ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, „ამო" და ბევრი სხ.

5. ფართოდ უნდა გავრცელდეს სახტანდარტო და საამწყობო მშენებლობა, რომელიც გამოცდილებამ გაამართლა, განსაკუთრებით ეს უნდა იქნას გამოყენებული მშენებლობის დარგში.

6. საამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია და არსებული საშენი მექანიზმების სრული გამოყენება. მათ ჩვენ ცუდად ვიყენებთ, 40—50 პროცენტით, საჭიროა არა მარტო მოვითხოვოთ მექანიზმები, არამედ ვისწავლოთ მათი გამოყენებაც.

უკანასკნელი, რაზედაც მინდა ორიოდე სიტყვით შევჩერდე, ესაა სეზონურობა. დღემდე განმტკიცებულია ის აზრი, რომ შენება შეიძლება მხოლოდ გაზაფხულზე, ზაფხულზე და შემოდგომის პირველ თვენახევარში. ეს გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ, ბევრგან პრაქტიკულად კიდეც უკუგდებულია: მაგნიტშენი, კუზნეცკი მთელი წლის განმავლობაში შენდება. რა აზრი აქვს ასეთ პირობებში სეზონურობას ჩვენი კავშირის სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებისათვის? სეზონურობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩაბარდეს არქივს. ამასთან შეფარდებით უნდა შემუშავდეს დაფინანსების და მომარაგების გეგმა.

ორიოდე სიტყვა ადგილობრივი საშენი მასალის გაძვირების შესახებ. ხრეში და ქვიშა ყველაზე ძვირ მასალად ხდება. ადგილობრივი ორგანოები თავიანთი ფინანსების გაძლიერების მიზნით შეუწყნარებლად—150—200 პროცენტით ადიდებენ ამ მასალის ფასებს. ხრეში და ქვიშა ყველაზე უფრო ძვირი საშენი მასალა გამოდის. (ამხ. როიზმანი: ფული არ ენანებათ).

უფრო მეტი შეუპოვრობა მიმდინარე წელს უნდა გამოვიჩინოთ საწარმოების ასამუშავებლად მომზადებაში. [illegible] გარემოება, რომ ჩვენ მშენებლობის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე ვიწყებთ მზადებას, თავის ნაყოფს იძლევა. ჩვენში 1931 წელს უკვე არ ჰქონია ადგილი ისეთ შემთხვევას, როცა ქარხანა მზადაა ასამუშავებლად, მაგრამ მუშაობა არ არის, ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალები არ მოიპოვება. არაფერი არ მოუმზადებიათ, მაგრამ საჭიროა ეს საქმე უფრო უკეთესად დავაყენოთ. ჩვენ ბოლოს და ბოლოს ავამუშავებთ ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანას. ქარხანას დასჭირდება დიდძალი ხარისხოვანი ფოლადი, დიდძალი ლითონის ნაწარმი და ბევრი სხვა მასალა. თუ ახლავე არ მოვკიდებთ ხელს ყველა ამ საკითხებს, მერე გვიან იქნება.

ქარხნის ამუშავებისათვის საჭიროა მაღალკვალიფიციური ტექნიკური პერსონალი, უნდა მოვამზადოთ მუშათა რიგები. უნდა შევუდგეთ ქარხნის გამოყენებას მონტაჟის შემდეგ და არ დაუცადოთ რაიმე საზეიმო გახსნა, ყოველივე ამაზე ახლავე უნდა ვიზრუნოთ.

მასალის მომჭირნეობით ხარჯვის შესახებ

რამდენიმე სიტყვა მომჭირნეობის რეჟიმისა და პროდუქციის ხარისხის შესახებ. ეს საკითხები რატომღაც უკანასკნელ დროს გაქრა ჩვენი ყოველდღიური ლექსიკონიდან. ეს არ არის სწორი. 1932 წელი უნდა იქნას წელიწადი უდიდესი ხარისხობრივი მიღწევების შინაგანი რესურსების გადაჭრით მობილიზაციის, წელიწადი მტკიცე მომჭირნეობის გაწევის მასალის ხარჯვაში. ყველაზე უხამსი გამოთქმის „არაკომპლექტურია"-ს მომიზეზებით ჩვენში ადგილი აქვს გამოუყენებელი მასალის უდიდესად დაგროვებას და ნაცვლად იმისა, რომ გვეფიქრა, თუ როგორ შეგვემცირებინა ამა თუ იმ საწარმოში იმ მასალის გამოყენება, რომლის გამოყენება იქ შეუძლებელია და გადაგვეცა ის სხვა საწარმოებისათვის, სადაც მის დიდ ნაკლებობას განიცდიან, ეს მასალა აწყვია იქ გამოუყენებლად. გადაჭრით ბოლო უნდა მოვუღოთ ასეთ მდგომარეობას. მრეწველობის გარდამავალი ნაშთები ყოველთვიურად იზრდება, წლის დამლევისათვის ამ ნაშთმა უდიდეს რაოდენობას მიაღწია. თავისთავად ცხადია, რომ ისეთ დიდ მეურნ., რომელსაც ჩვენი მრეწველობა წარმოადგენს, შეუძლებელია არ ექნეს გარდამავალი ნაშთები, მაგრამ საჭიროა მისი მინიმუმამდე შემცირება.

განსაკუთრებით ლითონის მომჭირნეობით ხარჯვის შესახებ

მომყავს ასეთი მაგალითი: 4 ორთქლმავლის მშენებელ ქარხანაში აგებენ ერთისა და იმავე სერიის „ე" ორთქლმავალს. თითქოს ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ყველა ამ ოთხ ქარხანაში უნდა დაეხარჯათ თანაბარი რაოდენობის ლითონი ერთი ორთქლმავალის ასაგებად, ნამდვილად კი ეს ასე არ არის. ხარკოვის ქარხანა ხარჯავს 117 ტონას, კოლომნის—125 ტონას, ბრიანსკის 127 ტონას, ლუგანსკის—130 ტონას. რაშია საქმე? ორთქლმავალი ერთი და იგივეა, ლითონიც ერთი და იგივეა. ორთქლმავალის ხალასი წონა ყველა ქარხანაში 96,5 ტონას უდრის. პასუხი მარტივია: ერთ ქარხანაში მუშაობენ უკეთესად, მეორეში—უარესად ერთ ქარხანაში ზრუნავენ ლითონის მომჭირნეობით ხარჯვაზე, მეორეში კი ამის შესახებ განსაკუთრებით თავს არ იწუხებენ. ნაკეთობის ერთეულზე ჩვენ ვხარჯავთ გაცილებით მეტ ლითონს, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. ხდება კი ეს იმ დროს, როცა ჩვენ ლითონის მწვავე ნაკლებობას განვიცდით. თვით უაღრესად ელემენტარული რაციონალიზაციის პირობებშიაც კი ჩვენ აქ მივიღებთ ლითონის ხარჯვის საგრძნობ მომჭირნეობას. ჩვენ გვაქვს კარგი მაგალითები: ძველი ტიპის „დ" სამფაზიანი დენის მოტორი შეცვლილ იქნა თანაბარი სიმძლავრის „ტ"-ს ტიპით, მაგრამ რაციონალიზაციის გამოყენების შედეგად თუჯის ხარჯვა შემცირდა 246-დან 97 კილოგრამამდე. ფერადი ლითონის ხარჯვა შემცირდა 62 კილოგრამიდან 32 კილოგრამამდე, დინამოს რკინის 138-დან 73 კილოგრამამდე. აი ჩვენი სახსრების მომჭირნეობით ხარჯვის საქმისადმი ყურადღებით მოპყრობის შედეგი.

ამხ. კოსიორი: იმავე რკინისაგან ორი მოტორის აკეთებენ.

ამხ. ორჯონიკიძე: დიახ, სწორედ იმავე ლითონისაგან აკეთებენ იმავე სიმძლავრის ორ მოტორს. ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა. მე მომიტანეს ნაჭედი რკინა ავიომოტორისათვის, რომელიც მიუღიათ „ელექტროსტალ"-ის ქარხნიდან. მოხარატების შემდეგ ამ ნაჭედის წონა ორჯერ მცირდება. ისევე ენერგიის ზედმეტი ხარჯვა მოხარატებაზე, ამავე დროს კი შეიძლებოდა ეს აგვეცილებინა, რაც მოგვცემდა ლითონის ხარჯვის დიდ მომჭირნეობას და აგვაშორებდა მუშა-ხელის ტყუილ-უბრალოდ ხარჯვას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ავტოგენურ ელექტრო-შედუღებას. ის იძლევა ლითონის 20-დან 30 პროც. ეკონომიას და ძლიერ აჩქარებს მუშაობას. ჩვენ აქაც გვაქვს წარმატება, მაგრამ საჭიროა ამ წარმატების ყოველმხრივ განვითარება. 1930 წელს ელექტროშედუღებელი აპარატების რაოდენობა უდრიდა 2,000 ცალს. 1931 წელს (გამოტოვებულია)... ცალს, 1932 წელს უნდა გამოვუშვათ 8 ათასი ცალი. შედუღების გამოყენებას ჩვენში საკმაოდ ენერგიულად შეუდგნენ. მასალის, განსაკუთრებით ლითონის, მომჭირნეობით ხარჯვის საკითხები და პროდუქციის ხარისხის საკითხები უნდა წარმოადგენდნენ თვითეული საწარმოს მუშაობის მაჩვენებლებს.

წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება, როგორც გეგმის შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობა

1932 წლის წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულება მოითხოვს შრომისა და წარმოების გარკვეულ ორგანიზაციას. გაუპიროვნების მოსპობა, ადამიანების სწორი განაწილება—ეს ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებათაგანია შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, საწარმოო პროცესის რაც შეიძლება დაჩქარებით და საფუძვლიანად. სანამდე, სანამ თვითეულ დაზგასთან, თვითეულ მანქანასთან თვითეულ აგრეგატთან არ იდგება ამ იარაღების მუშაობისათვის და წესიერად შენახვისათვის პასუხისმგებელი მუშა, შეუძლებელია მუშაობის წარმატებით მიმდინარეობა. ეს ეხლა ყველასათვის ცხადია, რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა იქნას აღმოფხვრილი გაუპიროვნება იქ, სადაც ეს ჯერ კიდევ არ მომხდარა. მე უკვე ვილაპარაკე იმის შესახებ, თუ როგორ ცუდი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ შრომის ორგანიზაციის საკითხში. ეს საქმე აქამდე დაკისრებული აქვს მეტად სუსტ ხელფასების ტარიფებისა და ნორმების დამწესებელ ბიუროს. თავისთავად ცხადია, რომ ტარიფებისა და ნორმების დამწესებელი ბიურო მარტო ამ ამოცანას თავს ვერ გაართმევს. ეს არის საქმე საწარმოს დირექტორის, ტექნიკური დირექტორის, საამქროს უფროსისა და ოსტატის, ისინი უშუალოდ უნდა შეუდგნენ შრომის ორგანიზაციას და არ უნდა მიუგდონ მათ ეს საქმე ტარიფებისა და ნორმების დამწესებელ ბიუროს, ისე კარგად არავის შეუძლია იცოდეს, თუ როგორ მიმდინარეობს საწარმოს მუშაობა, როგორც ოსტატს, საამქროს უფროსს, ტექნიკურ დირექტორსა და დირექტორს, ხოლო თუ ეს მათ არ იციან, ეს ნიშნავს, რომ ისინი ცუდი ხელმძღვანელები არიან. საამქროს უფროსსა და ოსტატს უნდა მიენიჭოს შრომის ხელფასის მოწესრიგების უფლება საამქროს შრომის ხელფასის ფონდის ფარგლებში.

ამხ. ციხონი: ჩვენ ოსტატს არ მივეცით იმის უფლება, რომ მას შეეძლოს შეფასებათა შეცვლა.

ამხ. ორჯონიკიძე: მაგრამ ეს უფლებები ხომ ჩვენს ხელშია. მოდი, მივცეთ მას ეს უფლება. შენ შრომის სახალხო კომისარი ხარ, მე ვდგავარ მძიმე მრეწველობის სათავეში. ცენტრალური კომიტეტი მე და შენ არასოდეს არ გვისაყვედურებს იმისათვის, თუ უკეთ მოვაწყობთ შრომას ქარხანაში. ჩვენ ძალიან ხშირად ვუვლით საკითხს გარშემო, ვხედავთ, რომ საქმე ცუდად არის დაყენებული, ძალიან მკაცრ კრიტიკასაც ვეწევით, მაგრამ ამ მდგომარეობის გამოსწორებას რატომღაც დროზე ვერ ვახერხებთ. ამას მე შენი მისამართით კი არ ვამბობ, ამხანაგო ციხონ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუპირდაპიროთ მომქმედი ქარხნების მუშაობა კაპიტალურ მშენებლობას, ერთი წუთითაც კი არ უნდა გაუშვათ მხედველობიდან მომქმედი ქარხნების მუშაობა. არსებული ქარხნების მომარაგება და შეუფერხებელი მუშაობა, მათ მიერ საწარმოო გეგმის შესრულება—ეს წარმოადგენს კაპიტალური მშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულების აუცილებელ პირობას. უეჭველად უდიდეს უხეშ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, როცა წარმოებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. გიგანტების აგების შესახებ ზრუნვა, რასაკვირველია, ყურადღების ცენტრში იქნება, მაგრამ ის, რომელიც ფიქრობს, რომ შეიძლება გიგანტების ისე აგება, რომ არ იქნას გაშლილ" მომქმედი ქარხნების წარმოება, ის ღრმად სცდება. მომქმედი ქარხნების მუშაობა მოგვცემს მატერიალურ რესურსებს, რაც საჭიროა გიგანტების ასაგებად. კონკრეტული ხელმძღვანელობა საწარმომდე, საამქრომდე და აგრეგატამდე მიყვანილი და შესრულების შემოწმება უნდა გახდეს სახელმძღვანელოდ სამეურნეო მუშაკებისათვის. არაფრად ღირს ის ხელმძღვანელი, ის სამეურნეო მუშაკი, რომელიც კმაყოფილდება საერთო განკარგულებებით, საერთო დირექტივებით. მხოლოდ ის ხელმძღვანელი იქნება ცნობის ღირსი, რომელსაც შესწევს უნარი კონკრეტულად, საქმიანად გაუწიოს ხელმძღვანელობა და დაეხმაროს საწარმოს, აგრეთვე არარაობას წარმოადგენს ის ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკი, რომელსაც არ შესწევს ძალა ჯეროვნად დააყენოს შესრულების შემოწმების საქმე. ვლადიმერ ილიჩი ამბობდა, რომ „ადამიანთა შემოწმება, საქმის ფაქტიური შესრულება—ამაში, კიდევ ამაში და მხოლოდ ამაშია მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის აზრი". (ლენინი, ტომი 27). ეს საქმე კი ჩვენში აქამდე მოიკოჭლებს. გაერთიანების, ტრესტის [illegible] საწარმოს დირექტორმა [illegible] უნდა [illegible] და არ უნდა [illegible] აპარატის [illegible] საწარმოს ყოველდღიური მუშაობის კურსში, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ ისინი წესიერად, მეურნეების გაძლიერის ცოდნით და ტექნიკურად უხელმძღვანელონ მუშაობას, რაც დღევანდელ მათ მთავარ მოვალეობას. მხოლოდ შესრულების შემოწმება არ უნდა იყოს ფორმალურ-ბიუროკრატიული. არამედ მან ხელი უნდა შეუწყოს შეცდომ. გამოსწორებას, მათ მომავალში დაშვების თავიდან აცილებას. ადვილია იმის თქმა, რომ ესა და ეს ცუდათ არის, რომ ესა და ეს მხედველობიდან არის გაშვებული და სხვ.. შენ დაეხმარე, რომ კარგად გააკეთონ. მე უკვე ვამბობდი, რომ კადრების მომზადების საკითხი ჩვენთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითადი მნიშვნელობის საკითხთაგანს. კადრები ჩვენ გვეყოლება მეტი, ვიდრე სხვა რამ. მიმდინარე წელს. მრეწველობაში სწავლის მისაღებად ჩაბმული იქნება 3 მილიონ კაცამდე. მომზადების ხარისხი — აი ძირითადი საკითხი, რადგან ახალგაზრდა ინჟინერები და ტექნიკოსები უნდა იმზადებოდნენ იმისათვის, რომ ქარხანაში მუშაობა აწარმოონ უახლესი ტექნიკით და ურთულესი ტექნიკური პროცესით. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ენტუზიაზმმა, მისმა უსაზღვრო თავდადებამ თავისი საბჭოთა ხელისუფლებისადმი, სოცშეჯიბრებამ და დამკვრელობამ გადასწყვიტა ჩვენი მრეწველობის წარმატება 1931 წელს. მუშათა კლასის რიგებში ჩამდგარი ჩვენი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კომკავშირული ახალგაზრდობა, უდიდეს როლს თამაშობს ქარხნებში და მშენებლობებში, სადაც მისი ენტუზიაზმი ეძლება ყველა მის გარშემო მყოფთაც. სწორედ მუშათა მასების, მუშათა ახალგაზრდობის საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ მოგვცა ჩვენ საშუალება მოგვეპოვებინა მთელი რიგი გამარჯვებანი.მუშათა კლასის ენტუზიაზმმა, პარტიის ხელმძღვანელობამ, კომკავშირის მუშაობამ მოგვიპოვა ჩვენ 1931 წლის წარმატებანი. 1932 წელს, როგორც მე უკვე ვლაპარაკობდი, ამოცანები გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე იყო 1931 წელს. მათ შესასრულებლად მოგვიხდება არა ნაკლები ენერგიის, არა ნაკლები შრომის დახარჯვა. ამ პროგრამის შესრულებას ჩვენ შევძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელებს მოვიმარჯვებთ და ბოლშევიკურად ჩავუდგებით სათავეში მუშათა კლასის ენთუზიაზმს ჩვენს ქვეყანაში ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, გავშლით ამ ბრძოლას ლენინელებად და ერთი წუთითაც არ გადავუხვევთ ზრუნვას მრეწველობის ეხლანდელი წლის პროგრამის შესრულებაზე. ეს ნიშნავს არა მარტო ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებას, არამედ მის გადაჭარბებით შესრულებას, რაც თავის მხრივ გზას უხსნის გაშლილ მოძრაობას ხიდ მეორე ხუთწლედში. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა, წარმატება 1932 წელს გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე იყო 1931 წელს. როგორც არ უნდა იყოს, შავი მეტალურგიის დარგშიაც კი 1931 წლის მუშაობა უეჭველად არ ჩაივლის 1932 წლისათვის. თუ ჩვენ 1931 წელს დიდი შრომის გაწევით შევძელით მხოლოდ 4 ღუმელის ამუშავება, უკვე 1932 წლის პირველ ნახევარში ამუშავდება ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 10 ღუმელისა, ამ რიცხვში ისეთი ღუმელები, როგორიცაა მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის ღუმელები. თუ 1931 წელს ჩვენ დიდის შრომით მთელ პარტიასთან ერთად მივაღწიეთ უკანასკნელ დღემდე დონბასში დღიურად 144 ათასი ტონა ნახშირის ამოღებას, ხოლო მთელ ქვეყანაში 200 ათასამდე ტონის ამოღებას, არ არის არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ვერ შევძლებთ ყოველდღიური ამოღების 250-270 ათას ტონამდე აყვანას და ეხლანდელი წლის პროგრამის შესრულებას.

ამხანაგებო, ჩვენმა პარტიამ ვლადიმერ ილიჩის უშუალო ხელმძღვანელობით მოიპოვა ოქტომბრის დღეებში მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება, შეინარჩუნა ოქტომბრის მონაპოვარი უსასტიკეს სამოქალაქო ომის პირობებში თეთრგვარდიელებთან და საერთაშორისო იმპერიალიზმთან. ჩვენი პარტია, რომელიც დარჩა ერთგული ილიჩის ანდერძის, რომელმაც გაანადგურა კონტრ - რევოლუციონური ტროცკიზმი და მემარჯვენე ოპორტუნისტები, რომელმაც მიაღწია უდიდეს წარმატებას სოციალისტურ მშენებლობაში ცენტრალური კომიტეტისა და ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ჩვენი პარტია, როგორც წარსულ წლებშიაც, წაიყვანს ჩვენი კავშირის მუშათა კლასს ახალ გამარჯვებისაკენ, 1932 წლის გეგმის შესრულებისაკენ და ამით პირველი ხუთწლედის დამთავრებისაკენ ოთხ წელიწადში. (ხანგრძლივი ტაში).

კამათი ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 4 თებერვალი. 1-ლ თებერვლის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო.

ამხ. მალიმოვი

(დონბასი)

ვანხორციელებდით რა ბოლშევიკური შეუპოვრობით პარტიის ლოზუნგს დონბასის მექანიზაციის შესახებ,—ამბობს ამხ. მალიმოვი,—ჩვენ დღეისათვის მივაღწიეთ ქვანახშირის მექანიზებული ამოღების 67 პროც., მაგრამ მექანიზაცია ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა გადამწყვეტ ძალად ქვანახშირის საერთო ამოღებაში. გადაჭრით უნდა დაისვას ისეთი ახალი ქარხნის აგების საკითხი, რომელიც დაამზადებს მოწყობილობას სამთამადნო მრეწველობისათვის, გადაეცეს ქვანახშირის მრეწველობას მთელი რიგი ქარხნები, რომლებიც დაამზადებენ მაღაროებისათვის საჭირო მოწყობილობას და დაისვას ძათი გაფართოების საკითხი.

ამხ. მალიმოვს მოყავს აშკარა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სტალინის რაიონში სამთამადნო მუშების მატერიალური დონის ამაღლებას. სექტემბერში „ზაბოიშჩიკი" ღებულობდა 140 მანეთს. დეკემბერში კი—180 მანეთს. „ოტბოიშჩიკი" შესაფერისად 124 და 155 მანეთს. შემჭრელი მანქანების მემანქანე 149 და 226 მანეთს.

1931 წელს საბინაო ფართობი რაიონში გადიდდა 174.507 კვადრატული მეტრით. ხელფასის ახალმა სისტემამ უდიდესი შესაძლებლობანი შექმნა შრომის დიდი ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად.

ამხ. პრიადჩენკო

ამხ. პრიადჩენკო აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთის მხარეში ხე-ტყის დამზადების რაოდენობა, 1913 წლის ყველაზე უფრო მაღალ ტემპებთან შედარებით, გასამკეცდა. აგებულია უდიდესი ხე-ტყის სახერხი ქარხნები. განსაკუთრებულად მწვავედ სდგას საკითხი სატყეო მრეწველობის მექანიზაციის შესახებ.

ყველა ჩვენ, —ამბობს ამხ. პრიადჩენკო, —სულ უფრო და უფრო ღრმად ვიჭრებით სატყეო მასივებში. საჭიროა სათანადო სიმაღლეზე იქნას დაყენებული მერქანის დამუშავება. სატყეო მრეწველობაში უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს სატყეო ქიმია. ჯერ ჩვენ კიდევ ვერ ვიყენებთ სასარგებლო მერქანის 55 პროცენტზე მეტს.

აღნიშნავს, რა რომ 1932 წელს ჩრდილოეთის მხარე მოგვცემს 1.500 ათას ვაგონს მზა პროდუქციას, ამხ. პრიადჩენკო სვამს საკითხს ტრანსპორტის გულდასმით მომზადების შესახებ მისი თავის დროზე გადასაზიდათ.

ამხ. პიატაკოვი

(მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატი)

„როდესაც უკეთებ ჯამს იმას, თუ რისი გაკეთება შესძლო მუშათა კლასმა ჩვენს უდიდეს ქვეყანაში, გაკვირვებული ხარ გრანდიოზული შედეგებით. ვერც ერთმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ ვერ შესძლო ეჩვენებინა განვითარების ისეთი ტემპები, როგორც ჩვენი. აქ მოქმედებს ორი ფაქტორი, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთიმეორესთან. პირველი—შრომის სოციალისტური ორგანიზაციის და წარმოების უპირატესობა კაპიტალისტურზე და მეორე—სწორი პარტიული ხელმძღვანელობა.

ეხლა, როდესაც იხედები უკან და უყურებ ჯერ კიდევ ახლო წარსულში წარმოებულ შინაპარტიულ ბრძოლას, რაღაცნაირად თითქოს გიკვირს კიდეც, რომ ამ ბრძოლას შეეძლო ჰქონოდა ადგილი („ხმა: „მას ჰქონდა ადგილი") დიახ, საუბედუროთ. სამწუხაროდ და ამ ბრძოლის ბევრ მონაწილეთა სამარცხვინოდ მას ჰქონდა ადგილი.

„და მხოლოდ იმის მეოხებით,—ამბობს შემდეგ ამხ. პიატაკოვი,—რომ ც.კ-ი ბოლშევიკური შეურიგებლობით და ბოლშევიკური პრინციპიალობით ნამდვილად ატარებდა პარტიის გენერალურ ხაზს, სათანადო პასუხი გასცა წვრილ ბურჟუაზიულ მერყეობას და შექმნა პარტიის მთლიანობა, ჩვენ გვაქვს შედეგები, რომლებითაც შეგვიძლია ამჟამად ვიამაყოთ".

ამხ. პიატაკოვი ჩერდება შავი მეტალურგიის შემდგომი განვითარების ამოცანებზე და გადადის ხარისხობრივი მაჩვენებლების საკითხზე.

„თვითღირებულების შემცირება,—ამბობს ის,—1932 წელს 8 პროც.-ით, ორნაირ როლს თამაშობს, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის კაპიტალური მშენებლობის დამატების წყარო და როგორც ისეთი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს ნორმალურ მომარაგებას. თუ ჩვენ მივაღწევთ კოქსის ნორმალურ ხარჯვას თუჯზე (ტონა ტონაზე) (გამოტოვებულია) ჩვენ დავზოგავთ თითქმის მილიონ ნახევარ ტონა ქვანახშირს. 1931 წლის განმავლობაში ჩვენ მრეწველობის ერთსა და იმავე დარგის ფარგლებში გვაქვს თვითღირებულების შემცირების სხვადასხვაგვარი მაჩვენებლები. მაგალითად, აზნავთისა და გროზნავთის ხაზით თვითღირებულება შემცირებულია 12 პროცენტით. ამავე დროს ემბა—ნავთის ხაზით თვითღირებულება გაიზარდა 16 პროც.

ჯერ კიდევ ყველგან სწორად არ არის მოწესრიგებული შრომა და არ არის მოგვარებული სწორი ტექნიკური ხელმძღვანელობა. იმ 9 მილიარდი მანეთის გამოყენება, რომელიც 1932 წელს დაბანდებული იქნება მძიმე მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაში,—უდიდესი ამოცანაა. ამ კაპიტალურ დაბანდებას ჩვენ ვაწარმოებთ არა საზღვარგარეთის იმედით, არამედ ჩვენი საკუთარი რესურსების და საკუთარი მანქანათმშენებლობის იმედით. ც. კ-ის ხელმძღვანელობით ჩვენ უნდა შევასრულოთ 1932 წლის გეგმა. (ტაში).

ამხ. სტრიევსკი

აღნიშნავს რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მრეწველობის სერიოზულ წარმატებებს და ამბობს, რომ პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 20 პროცენტით 1930 წელთან შედარებით. აგებულ იქნა მთელი რიგი ახალი ქარხნები და გამოყენებულია მთელი რიგი ახალი საწარმოები: ასანთის მანქანების, აგრეთვე შუშისა და ტყავის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის დასამზადებლად. გადადგმულია პირველი ნაბიჯი პოლიგრაფიული მოწყობილობის წარმოების საქმეში. ამხ. სტრიევსკი ხაზს უსვამს იმ უდიდეს ამოცანებს, რომლებიც სდგანან მსუბუქ და საამშენებლო მრეწველობის წინაშე და ამახვილებს საკითხს პროდუქციის უკეთესი ხარისხისათვის ბრძოლის გარშემო.

„ამხ. სტალინის 6 მითითების რეალიზაციით,—ამთავრებს იგი,—და მასების მობილიზაციით მემარჯვენე გადახრის, კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმის „მემარცხენე" გადახვევების და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ლენინური—ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ჩვენ შევასრულებთ ხუთწლიან გეგმას ოთხ წელიწადში".

ამხ. ოდინცოვი

(მიწსახკომი)

ჩვენმა პარტიამ ამბობს ამხ. ოდინცოვი. —მიაღწია სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაბატონებულ მდგომარეობას, დაამთავრა მთლიანი კოლექტივიზაცია და, მის საფუძველზე, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია ჩვენი ქვეყნის განახლებულ სოფლის მეურნეობის რაიონებში. ეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების. მთელი ფრონტით გაშლილი სოციალისტური შეტევის და პარტიის გენერალური ხაზისათვის ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის შედეგს მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ამხ. სტალინის მეთაურობით.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას პირდაპირ შედეგს წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში სამანქანო ტექნიკის ფართოდ გამოყენება. ილიჩი ერთ დროს ოცნებობდა 100 ათას ტრაქტორზე, ხოლო ჩვენ წელს უკვე გვაქვს 120.000 ტრაქტორი და 1933 წლის 1-ლ იანვრისათვის გვექნება 200 ათასზე მეტი. ჯერ კიდევ 1930 წელს ტრაქტორების 90 პროცენტი ჩვენ შემოგვქონდა უცხოეთიდან, ხოლო ამჟამად ჩვენ არც ერთი ტრაქტორი არ შემოგვაქვს უცხოეთიდან. ასევე ითქმის ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებზედაც.

აღნიშნულ წარმატებებთან ერთად ამხ. ოდინცოვი აკრიტიკებს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ნაკლოვანებებს, განსაკუთრებით რემონტის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებს. ჩვენ,—განაგრძობს ამხ. ოდინცოვი,—მაქსიმალურად უნდა შევაიარაღოთ ტექნიკის სარემონტო ბაზები, მარტო ის ფაქტი, რომ 1800 სარემონტო სახელოსნოზე მოდის მხოლოდ 1600 სახარატო დაზგა, ბევრ რამეს გვეუბნება. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში მოპოვებულ გამარჯვებათა შედეგად ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ თესვა უკვე მექანიზებულია 19 პროცენტით, ხოლო მოსავლის აღება კომბაინებით, ვინდროვერებით და სხვ. რთული მანქანებით—10 პროცენტით.

„ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გიგანტური ზრდა,—ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. ოდინცოვი,—ამჟამად ქმნის მძლავრ ბაზას სოფლის მეურნეობის ტექნიკურად ხელახალი შეიარაღებისათვის. სოციალისტური ეკონომიკის უკვე დამთავრებულ საძირკველზე ჩვენ მეორე ხუთწლედში ავაშენებთ სოციალისტურ საზოგადოებას".

ამხ. ლიხაჩოვი

(ქარხანა, „ახალი ამოს" დირექტორი)

1931 წელი,—ამბობს საბჭოთა მანქანათმშენებლობის პირმშოს—სტალინის სახელობის ქარხნის, „ახალი ამო"-ს დირექტორი ამხ. ლიხაჩოვი—წარმოადგენს ავტოტრაქტორო მრეწველობაში მიღწეულ პირველ გადამწყვეტ წარმატებათა წელიწადს. სტალინგრადის ქარხანამ გვიჩვენა ჩვენ თუ როგორ უნდა ვემზადოთ ამერიკული ტიპის საწარმოთა ასამუშავებლად. ხარკოვის, [illegible] ქარხანამ და „ახალმა ამომ" უკვე გვიჩვენეს უდიდესი წარმატებები ახალი პროცესების გამოყენების საქმეში.

ამხ ლიხაჩოვი ლაპარაკობს „ახალი ამოს" ამუშავებისათვის ბრძოლის შესახებ და აღნიშნავს იმ დახმარებას, რომელიც გაუწია მშენებლობას მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ ამხ. კაგანოვიჩის და ორჯონიკიძის მეთაურობით, ორჯონიკიძე იყო ქარხნის მშენებლობის და ამუშავების „მთავარი კონსულტანტი".

ამხ ლიხაჩოვი იძლევა პატაკს იანვრის პროგრამის მთლიანად შესრულების შესახებ (750 მანქანა) და სიტყვას აძლევს კონფერენციას, რომ მთელი პირველი კვარტალის პროგრამა აგრეთვე წარმატებით იქნება შესრულებული.

იაპონელების სამხედრო ოპერაციები

შანხაისა და ნანკინთან

ტოკიო, 3 თებ. ნანკინიდან მიღებული ცნობებით, იაპონიის 5 სამხედრო გემი და ნაპირზე გადმოსხმული არტილერია 2 თებერვლის დილის 11 საათზე შეუდგა ყუმბარების დაშენას ნანკინისათვის. პანიკით შეპყრობილი მოსახლეობა გარბის. ქალაქის ნაწილი დანგრეულია (ადს).

ბრძოლა ჩაპეიში გრძელდება

ტოკიო, 3 თებერვალი. იაპონიის ჯარებმა საარტილერიო ცეცხლით გაანადგურეს ჩინელების მიერ ჩაპეიში მოწყობილი სიმაგრეების ერთი ნაწილი. ჩინეთის ყუმბარებმა დაანგრიეს იაპონიის დესანტის შტაბის შენობის ნაწილი და გაანადგურეს იაპონელების ჯავშნიანი ავტომობილი (ადს).

შანხაი, 3 თებ. ნანდაოში (რაიონი შანხაის ჩინურ ნაწილში) ბომბის აფეთქების გამო პანიკა შეიქმნა. იმ წამსვე ყველა ქუჩებზე მოეწყო ბარიკადები. დაიწყო ჩინელების ევაკუაცია. დარჩენილ მოსახლეობას აკრძალული აქვს ქუჩაში გამოჩენა საღამოს 6 საათიდან დილის 7 საათამდე (ადს).

ტოკიო, 3 თებერვალი. იაპონიის ჯარებმა უარყვეს შანხაის მუნიციპალიტეტის მოთხოვნილება სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ უცხოელთა ტერიტორიაზე (ადს).

შანხაი, 3 თებერვალი. მოხდა ჩინელ სნაიპერების ახალი თავდასხმა იაპონიის საკონსულოს შენობაზე (ადს).

შანხაი, 3 თებერვალი. იაპონიის სამხედრო გემები ყუმბარებს უშენენ უსუნს (სამხედრო ნავსადგური შანხაიდან ჩრდილოეთით). (ადს).

ხარბინიდან მზადდება დიდი სამხედრო ოპერაციები

ბეიპინი, 3 თებერვალი. ხარბინში მდგომარეობა კვლავ გართულებულია. იაპონიის ჯარები, ჩინეთის ჯარების წინააღმდეგობის მიუხედავათ, უახლოვდებიან ხარბინს. იაპონიის სარდლობამ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის საბჭოთა ნაწილს სთხოვა ჯარების გადაყვანა ციციკარიდან. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ ეს საქმე შეეხება ჩინეთის მხარეს და მხოლოდ უკანასკნელის თანხმობით შეიძლება ამ საკითხის დადებითად გადაჭრა (ადს).

ტოკიო, 3 თებერვალი. ჩან-ჩუნიდან გენ ტამონის დივიზიის შემდეგ. შუან-ჩუპუს რაიონში გაიგზავნა ამანოს ბრიგადა ავიაციით, არტილერიით და საინჟინერო ძალების თანხლებით. ფიქრობენ, რომ გადამწყვეტი შეტაკება დინ-ჯოუს ჯარებთან მოხდება დღეს.

ამერიკის კონსულმა [illegible] წინადადება მისცა დინ-ჯოუს უკან დაიხიოს ხარბინის რაიონიდან. კონსულმა მიუთითა, რომ ხარბინის დაკავება იაპონელების მიერ აუცილებელია. დინ-ჯოუმ ამერიკის კონსულთან საუბარში მტკიცე პოზიცია დაიკავა და მიუთითა მას ხარბინის დაცვის აუცილებლობაზე (ადს).

ტოკიო, 3 თებერვალი. „სიმბუნ რენგოს" სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთისა და იაპონიის ჯარებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა ცზაიციგოს ახლო, ხუანჩენიდან 30 კილომეტრის მანძილზე სამხრეთით (ადს).

შეერთებული შტატების 4 მოთხოვნილება

შანხაი, 3 თებერვალი. ნანკინის მთავრობამ შეერთებული შტატებისაგან მიიღო ნოტა, რომელიც წინადადებას იძლევა, რომ

1) იაპონელებმა და ჩინელებმა შესწყვიტონ საომარი მოქმედება.

2) ორივე მხარემ ჯარები გამოიყვანოს პირვანდელ პოზიციებზე.

3) დაცლილი ტერიტორიის დაცვა გადაეცეს ნეიტრალურ ნაწილებს.

4) ჩინეთსა და იაპონიას შორის დაიწყოს მოლაპარაკება, ურთიერთ დავის მოსაგვარებლად ერთა ლიგის წესდებისა და კელოგის პაქტის საფუძველზე, უცხოეთის სახელმწიფოების მონაწილეობით (ადს).

მაკდონალდი „უხერხულად" თვლის ლაპარაკს იაპონელ იმპერიალისტების მოქმედების შესახებ

ლონდონი, 3 თებერვალი. ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერი ლენსბერი თემთა პალატაში გამოვიდა განცხადებით, რომ ბრიტანეთის მთავრობას არა აქვს გარკვეული პოლიტიკა შანხაიში ინგლისის მოქალაქეთა ინტერესების მშვიდობიანი გზით დაცვის საკითხში.

მაკდონალდმა უპასუხა, რომ ახლანდელი მომენტი უხერხულია ამგვარი სახის დებატებისათვის. ლენსბერი შეეცადა გაეგრძელებინა სიტყვა და იაპონიის მთავრობას ბრალი დასდო საერთაშორისო ყაჩაღობაში. მაშინ გაისმა ხმები: „ძირს!"

თემთა პალატის თავმჯდომარემ განაცხადა: „თემთა პალატის წევრმა ამგვარი რამ არ უნდა სთქვას მეგობრულ სახელმწიფოს შესახებ"-ო.

ლენსბერიმ მიუთითა, რომ წინათ თემთა პალატაში ადგილი ჰქონდა გალაშქრებას მეორე მეგობრულ სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ადს).

უსენის ციხე-სიმაგრე დაანგრიეს იაპონელებმა

ტოკიო, 3 თებერვალი. უსენის ციხე-სიმაგრე დაანგრია საარტილერიო ცეცხლმა იაპონელების სამხედრო გემებიდან.

იაპონიის აეროპლანები ამჟამად ბომბებს ყრიან ჩრდილოეთის სადგურში (ადს).

ჩიფუს საფრთხე მოელის

შანხაი, 3 თებერვალი. იაპონიის განმანადგურებლის უფროსის მოთხოვნით ჩიფუში დახურეს ანტი-იაპონური ორგანიზაციები. ხელისუფლება ახდენს საბარგო ავტომობილების და ჯორების მობილიზაციას სამხედრო საჭიროებისათვის. სამხედრო ხელისუფლება აცხადებს, რომ მიზნად ისახავენ წესრიგის უზრუნველყოფას, მაგრამ თუ იაპონელები დაიწყებენ შეტევას, დაიცავს ქალაქს (ადს).

საერთაშორისო პროლეტარიატი ახალი ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ

გერმანიის მუშების პროტესტი

ბერლინი, 3 თებერვალი. მთელს გერმანიაში მიმდინარეობს მუშათა საპროტესტო კრებები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში.

ვიულფრატში (რურის ოლქი) გაიმართა მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის მასიური მიტინგი, რომელმაც მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია იმპერიალისტების მოქმედების წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში.

მილსპეში (დორტმუნდის ახლო) მუშათა მრავალრიცხოვან კრებაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს იმპერიალისტური ყაჩაღების შეტევის წინააღმდეგ და მოუწოდებს მთელი გერმანიის მშრომელთ მასიურ ბრძოლისაკენ ახალი ომების წინააღმდეგ.

ამმენდორფში, გალლეს ახლოს, უმუშევართა კონფერენციამ, რომელსაც ესწრებოდა 121 დელეგატი, მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია იმპერიალისტური სამხედრო მოქმედების წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში.

ცანნაში (იგივე რაიონი) დიდ კრებაზე მოხსენებით თანამედროვე მდგომარეობის შესახებ გამოვიდა კომუნისტი ბენქე. კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია იმპერიალისტების საომარი მოქმედების წინააღმდეგ. კრების დროს მრავალმა მუშამ შეიტანა განცხადება კომპარტიაში შესვლის შესახებ (ადს).

საკ. დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 4 თებერვალი. საკ. დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს უარჰყოს, როგორც ყალბი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, ინგლისსა და ევროპის სხვა გაზეთების ცნობები მოძრაობის დარღვევისა და შეჩერების შესახებ ციმბირში, აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზაზე და სხვ. მატარებლების მოძრაობა ციმბირში, მათ შორის ექსპრესებისაც, ნორმალურად მიმდინარეობს სადგ. მანჯურიამდე და შემდეგ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზით. მანჯურიაში მომხდარი ამბების მთელი დროის განმავლობაში მოძრაობის არავითარ შეწყვეტას ან შეფერხებას ამ ხაზზე ადგილი არ ჰქონებია.

„განიარაღების" კონფერენციაზე

სკანდალი „კეთილშობილ ოჯახში"

ბერლინი 3 თებერვალი. განიარაღების კონფერენციის გახსნის წინ ადგილი ჰქონდა „უთანხმოებას" კონფერენციის თავმჯდომარე ჰენდერსონსა და ერთა ლიგის გენერალურ მდივან დრუმონდს შორის. უკანასკნელს განსახილველად გადაეცა პროექტი ჰენდერსონის სიტყვისა კონფერენციის გახსნაზე, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ განიარაღება წარმოადგენს უშიშროების პირველ გადამწყვეტ წინასწარ პირობას, კონფერენციის ჩაშლა გამოიწვევდა ერთა ლიგის სრულ დაშლას და ახალ გაფართოებულ შეჯიბრებას შეიარაღებაში, რომელიც სერიოზულ საფრთხეს წარმოშობდა. **დრუმონდმა გადაჭრით გაილაშქრა ამ ფრაზის წინააღმდეგ იმ საბაბით, რომ განიარაღების პროგრამის გაშლა, კონფერენციის წინ არ შედის კონფერენციის თავმჯდომარის ამოცანებში. ჰენდერსონმა დაუყოვნებლივ დასთმო** (ადს).

ამერიკის სამხედრო ფლოტის მანევრები

ვაშინგტონი, 1 თებერვალი. შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ესკადრა დღეს [illegible] სანდიეგოს (კალიფორნია) ნავსადგურიდან მიდის მანევრებზე, რომლებიც ჰავაის კუნძულებთან გაიმართება! ესკადრაში შედის: 65 ერთეული, აქედან 9 ჯავშნოსანი, 2 ავიომზიდავი, 200 აეროპლანი, 4 კრეისერი, 30 გამანადგურებელი, 6 წყალქვეშა ნავი, დამხმარე გემები და ნავთსაზიდი გემების ტრანსპორტი. გარდა ამ გემებისა, მანევრებზე გამგზავრების ბრძანება მიიღო ზოგიერთმა გემმაც, რომელნიც სანდომინგსა და სან-ფრანცისკოში დგანან. მანევრებში საერთოდ მონაწილეობას მიიღებს 100-ზე მეტი ერთეული.

ამხ. კრჟიჟანოვსკის დაბადების 60 წლის თავი

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მისალმება



მოსკოვი, 3 თებერვალი. „ძველ ბოლშევიკს, ლენინის თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის ერთ-ერთ პირველ პიონერს — ამხ. კრჟიჟანოვსკის საკ. კ. პ. (ბ) ცეკა მხურვალე სალამს უძღვნის დაბადების 60 წ. თავზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკა"

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მისალმება ამხ. პიატნიცკის

მოსკოვი, 3 თებერვალი. „საკ. კ. პ. (ბ) ცეკა მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის ამხ. პიატნიცკის, ბრძოლებში გამობრძმედილ ძველ ბოლშევიკს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთ საუკეთესო ხელმძღვანელს.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკა"

პირველი თუჯი მაგნიტოგორსკის ღუმელიდან

მაგნიტოგორსკი, 3 თებერვალი. სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული ქარხნის № 1 ღუმელიდან მიიღეს პირველი თუჯი (ადს).

საქ. განათლების მუშაკთა მერვე ყრილობა

მეექვსე სხდომა

ყრილობის მეექვსე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქ. განმუშაკთა კავშირის ც. გამგეობის მუშაობის შესახებ ამხ. ა.კ. მახათაძის მოხსენების გარშემო.

ამხ. ასათიანი (ცეკავშირი). ჩერდება მასწავლებელთა სამრეწველო საქონლით მომარაგებაზე. ცეკავშირს ამ დარგში—აღნიშნავს ორატორი—აქვს გარღვევა, რაც გამოწვეულია კოოპერატიული ორგანოების გარდაუქმნელობით. დღემდე მასწავლებლები მარაგდებოდენ სოფლის ფონდებიდან. მართალია სადირექტივო ორგანოებისაგან გვქონდა მიღებული გარკვეული დირექტივები—მასწავლებელთა მომარაგების შესახებ, მაგრამ ფონდების გამოყოფა გვიანდებოდა. ასე მაგ., გასული წლის მეოთხე კვარტალის ფონდი მასწავლებელთა მომარაგების შესახებ—კვარტალის ბოლოს მივიღეთ და სხვ. ამჟამად მასწავლებელთა მომარაგების დარგში მიღწეულია ნაწილობრივი გარდატეხა. თუ დღემდე მასწავლებლები მარაგდებოდენ მხოლოდ სოფლის ფონდებიდან, დღეიდან მასწავლებლები მომარაგდება სოფლისა და ქალაქის ფონდებიდანაც. ქალაქის ფონდებიდან თბილისში მეორე სიით მომარაგდება 3.150 მასწავლებელი და 5.670 მათ კმაყოფაზე მყოფნი. ხოლო სოფლიდან 4250 მასწავლებელი და 8.500 მათ კმაყოფაზე მყოფნი. მეოთხე კვარტალში მასწავლებლებისათვის გადაგზავნილი იყო 2.000 ძაფი, 69.000 მანეთის შეკერილი ტანსაცმელი, 15.000 მანეთის კალოში 45.000 მან. კილოგრამი შაქარი და სხვ. ყველა ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჩვენ გვაქვს რაიონებში მასწავლებელთა მომარაგების დარგში გამოწვეულია კოოპერაციის აპარატისა და ტრანსპორტის გარდაუქმნელობით.

ამხ. ჯიჯიხია (ზუგდიდი)—არ ხდება სკოლას და წარმოებას შორის დადებული ხელშეკრულებების შემოწმება. ამიტომ რაიონში, ეს ხელშეკრულებები ხშირად მხოლოდ ფორმალურად არსებობს. სკოლების ბინები შეუკეთებელია, რის გამო სწავლა ფერხდება. არ არის სკოლები მომარაგებული შეშით და ნავთით. ძალზე სუსტია [illegible] მომარაგება. მასწავლებლებს რაიონში გასულ წელში არც ერთი [illegible] სამრეწველო საქონელი არ მიუღიათ. ამ მხრით განათლების კავშირმა მუშაობას მეტი უნარი უნდა გამოიჩინოს.

ამხ. ქაჯაია (აღბულაღ-მანგლისი). რაიონში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტი თავის დროზე ვერ გვაწვდის განაკვეთებს. ამას ზედ ერთვის ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მასწავლებლების არა თავისი კვალიფიკაციის მიხედვით საკმაოზე მეტად დატვირთვა, რის გამო მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება საგრძნობლად შეფერხებულია. რაიონში ძალზე სუსტად მუშაობს სოფლის სამკითხველოები. განმუშაკთა კავშირების ხელმძღვანელობა სამკითხველოებზე არა დამაკმაყოფილებელია. ამის შესახებ არც ც. გამგეობიდან გვქონდა სათანადო სახელმძღვანელო მითითებები. ამხ. ქაჯაია აღნიშნავს აგრეთვე მასწავლებელთა მომარაგებისადმი უყურადღებობას აღბულაღ-მანგლისის რაიონში. სკოლების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის შეშის უქონლობა. მთელ რიგ სკოლებში შეშისა და ნავთის უქონლობის გამო მეცადინეობა შეჩერებულია.

ამხ. ხაჩატუროვი (თბილისი). თბილისში ნაციონალური უმცირესობათა სკოლების მუშაობას განმუშაკთა კავშირი არ აქცევს სათანადო ყურადღებას. 26 კომუნარების სახ. რაიონში არსებულ სომხურ და თურქულ სკოლებში ამის გამო პოლიტეხნიზაციის გატარება ფერხდება. სკოლებსა და წარმოებებს შორის დადებული ხელშეკრულებების სისტემატიური შემოწმება არ ხდება. არ არის სკოლებში სათანადოთ გაშლილი სოცშეჯიბრება და დამკვრელობა და სხვ.

ამხ. გაბუნია (ცენტრალური ბიურო) ეხება განათლების მუშაკთა კავშირის მუშაობას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში და სოფლად კოლმეურნეობების საორგანიზაციო-პოლიტიკურ განმტკიცებაში. განათლების მუშაკთა კავშირის მონაწილეობის შესახებ კოლმეურნეობების განმტკიცებაში ც. გამგეობის მიერ კოლმეურნეობის ცენტრთან დადებულია სპეციალური ხელშეკრულება. ასეთივე ხელშეკრულებები უნდა დაიდოს რაიონებშიაც — რაიკოლმეურნკავშირებთან. მაგრამ ნამდვილად მთელ რიგ რაიონებში ამ მხრით ჯერ-ჯერობით არაფერი გაკეთებულა. ზოგიერთი რაიონული განკავშირის კომიტეტები წერა-კით. უცოდინარობას სრულიად არ აქცევენ ყურადღებას. ასე მაგ., ყვარელის განმუშაკთა კავშირის რაიკომს წერა-კითხვა უნდა შეესწავლებინა 321 კაცისათვის, ნამდვილად კი ლიკსკოლებში ჩაბმულია მხოლოდ 250 კაცი. სენაკის რაიონს—400-მდე წ.-კ. უცოდინარისათვის—ნამდვილად კი ლიკსკოლებში მხოლოდ 350 კაცია ჩაბმული და სხვა. მთელი რიგი რაიონები კი ბოლშევიკურად იბრძვიან წერა-კით. უცოდინარობის აღმოსაფხვრელად. მაგ. სამხრეთ-ოსეთის განმუშაკთა კავშირის მიერ 1000 კაცის მაგიერ ლიკსკოლებში ჩაბმული ყავს 2866, გურჯაანს—634 მაგიერ 1250 ახალქალაქს—335 მაგიერ 1000 და სხვ. ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში წერა-კითხ. უცოდინარობის ლიკვიდაციას და საყოველთაო-სავ. სწავლების გატარებას ხელს უშლის კულაკების, მღვდლების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების პროვოკაცია. ასე მაგ. გურჯაანის რაიონის სოფ. ბოგდანოვკაში, სადაც უმთავრესად რუსები ცხოვრობენ მღვდელი სპეციალურად ციმბირიდან ჩამოიყვანეს, რის შემდეგ შეწყდა ლიკსკოლების მუშაობა და სკოლაში ბავშვების დასწრება. ადგილობრივ ოთხწლედში 20 მოწაფე ირიცხებოდა და აქედან მხოლოდ 5 დადის მეცადინეობაზე—ყველა ამის წინააღმდეგ განათლების მუშაკთა კავშირმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს.

ამხ. გულუა (ჩხოროწყუ). რაიონში მასწავლებელთა მომარაგებას და უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცებას ადგილობრივი ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ივლისის თვიდან ჩხოროწყუს რაიონში მასწავლებლებს მიღებული აქვთ მხოლოდ 2 კილო შაქარი და 5 მეტრი ფართალი. მასწავლებლობის მხოლოდ 40 პროცენტისათვის მივიღეთ კალოშები.

დაუსწრებელი პედ. ინსტიტუტის მსმენელებისათვის მოგვივიდა განაკვეთი პედაგოგიკის დარგში, სადაც მართალია, აღნიშნული იყო მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრები პედაგოგიკაში, მაგრამ განაკვეთებში ნამდვილად არ არის. აღნიშნული თუ რას ნიშნავს თვითეული ეს გადახრა და რა საფუძველზეა იგი აღმოცენებული.

ამხ. ადაბაშიანი (ახალციხე). მასწავლებელთა მომარაგებას რაიონში ადგილობრივი ორგანიზაციები ყურადღებას არ აქცევენ. მასწავლებლები ღებულობენ მხოლოდ 750 გრამ პურს დღეში, ხოლო სამრეწველო საქონელი გასული წლის განმავლობაში არ მიუღიათ. ამის გამო რაიონში ადგილი ჰქონდა მასწავლებელთა ცვალებადობას.

ამხ. ბახტაძე (ცენტრალური ბიურო). ჩერდება მასწავლებელთა ხელფასის ახალი თანრიგების გამომუშავებაზე. იმ თანხებიდან, რომელიც დაამტკიცა სადირექტივო ორგანოებმა—განაცხადა ამხ. ბახტაძემ, ცენტრალურმა ბიურომ გამოიმუშავა შემდეგი თანრიგი: **პირველი**, მსხვილი მრეწველობის რაიონის მასწავლებლებისათვის, (თბილისი, ქუთაისი, ბათომი, ჭიათურა, ტყიბული, სტალინისი, სოხუმი, ფოთი, ზესტაფონი, ბზიბი, ტყვარჩელი, შირაქი და სხვ.). **მეორე** მთლიანი კოლექტივიზაციის საბჭოთა მეურნეობების და ტეხნიკური კულტურების რაიონები—სულ—45 და **მესამე** დაშორებული და საზღვარზე მდებარე რაიონები (ადიგენი, ახალციხე, ახალქალაქი, ბოგდანოვკა, ტოლომში, ერწო-თიანეთი, ხევი, ხულო, ქედა, ზემო და ქვემო სვანეთი) პირველ თანრიგის რაიონების მასწავლებელთათვის ხელფასი დაყოფილია 4 თანრიგად. პირველი საფეხურის სკოლებისათვის სადაც ხელფასის საშუალო ნორმა უდრის 89 მანეთს (გასული წლის 70 მანეთის წინააღმდეგ), მეორე საფეხურისათვის აგრეთვე 4 თანრიგად, სადაც ხელფასის საშუალო ნორმა 129 მანეთს უდრის (წინააღმდეგ 105 მანეთისა). საერთოდ გასულ წელთან შედარებით მასწავლებელთა ხელფასის ზრდა უდრის 21 პროცენტს.

ხელფასის დაგვიანების თავიდან ასაცილებლად კავშირმა შეუთანხმდა ფინსახკომს, რომელიც დღემდე აღმასკომების საშუალებით არიგებდა ხელფასს. დღეიდან კი პირდაპირ ფინსახკომი გასცემს მასწავლებლებზე ხელფასს.

ახალი თანრიგის მიხედვით გაიზარდა აგრეთვე სკოლის გამგეების და საბაზო სკოლების მასწავლებელთა ხელფასი. ახალი თანრიგითვე სრულიად ისპობა „მომემარცხენო" გათანაბრება მასწავლებელთა ხელფასზე, რომელსაც დღემდე ფართოდ ჰქონდა ფესვები გადგმული. ახალი თანრიგი უმთავრეს ყურადღებას აქცევს მასწავლებელთა კვალიფიკაციას და მუშაობის სტაჟს.

მეექვსე სხდომაზე აგრეთვე კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **მჭედლიძემ** (სიღნაღი). ამხ. პოპოვიჩმა (თბილისი), რის შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. **აკ. მახათაძის** საბოლოო სიტყვა.

კულტურის სასახლე უნდა აშენდეს

ა. წ. 5 თებერვალს, საღამოს 7 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოეწყობა კულტურის სასახლის საკონკურსო პროექტების საჯარო განხილვა. მთელი სამზადისი მუშაობა—პროექტების შედგენისათვის, კონკურსის ორგანიზაციისა და წარმოდგენილ პროექტების განხილვის—ჟიური უკვე ჩატარებულია.

საჯარო განხილვა უნდა წარმოადგენდეს საბოლოო ჟიურის, რომელიც იტყვის გადამწყვეტ სიტყვას კულტურის სასახლის პროექტების შესახებ. თუ რამდენად უპასუხებენ ისინი პროლეტარულ კულტურის და ხელოვნების მოთხოვნილებებს.

საჯარო განხილვა უზრუნველყოფილი უნდა იქნას პარტიულ, პროფესიონალურ, სამეურნეო საბჭოთა ორგანიზაციების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების და მთელი ჩვენი პროლეტარული საზოგადოებრიობის დასწრებით, ვინაიდან კულტურის სასახლე მშრომელთა ფართე მასების პოლიტიკურ-კულტურულ განმანათლებელ მუშაობის და გონივრულ გართობა - დასვენების კერა იქნება.

გარდა ამისა პროექტების არჩევის საკითხში საჯარო განხილვამ მობილიზაცია უნდა უყოს მთელ ჩვენ პროლეტარულ საზოგადოებრივობის ყურადღებას, საქ. კ.პ.(ბ) ც.კ. 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილების რეალიზაციისათვის. ამ დადგენილებაში ნათქვამია: მშრომელთა კულტ. ყოფა - ცხოვრებითი მომსახურების ფრონტზე ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის შესახებ.

გ. სტურუა.

საქ. სახ. პედ. ინსტიტუტის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სია

(1931-32 სამოსწავლო წელი)

აბუთიძე დომენტი, აბშილავა ნესტორი, ალავიძე გრიგოლი, არახანია ისაკი, ავეტიქოვი თამარ, აბრამია ბენედიკტე, აბულაძე ელენე, ბიბილური ანდრია, ბახტაძე ალექსანდრა, ბილიხოძე კირილე, ბოჭორიშვილი გობრონ, ბალანჩივაძე ისაკი, ბუბუტეიშვილი გერმოგენი, ბალავაძე ბენედიკტე, გოდერძიშვილი ნინო, გორდელაძე შალვა, გუნჯუა გარასი, გაფრინდაშვილი ანტონ, გაჩეჩილაძე ალექსანდრე, გელენავა ბაგრატ, დუნდუა მიხეილ, დარჩიაშვილი იოსებ, დათიკაშვილი ცები, ვაშაკიძე მიხეილ, სამხარაძე ელენე, თავხელიძე ივანე, თევზაძე ევა, თარხნიშვილი ანა, თოფურია დიმიტრი, იმნაძე მიხეილი, ქებულაძე ვარლამ, ქაცარავა მარიამ, ქარდავა ვარლამ, ქაჯაია შალვა, ქვათაძე ლეონტი, ქინქლაძე პორფილე, ქირია ემალე, ქაჯაია ვლადიმერი, შონია აკაკი, ჩეჩელაშვილი გალაქტიონ, ჩახტაური ადამ, ჩესრეული პავლე, ჭანკვეტაძე ნინო, ჩიქოვანი გრიგოლ, ჩიხლაძე სამსონ, ჩხაიძე ბენიამინ, წილოსანი არხიპე, ჭუმბურიძე ნიკოლოზ, ხარჩილავა თომა, ხაბურზანია ნიკოლოზ, ჯობავა შალვა, ჯიქია ვლადიმერ, კალაძე კარლო, კიკალეიშვილი გრიგოლ, კილასონია მაკარი, კუპუხიძე ალექსანდრე, კუპრეიშვილი ალექსანდრე, კოკაია ილია, კანკია პოლიკარპე, კვაჭაძე არაკლი, კომპანიოვსკი ივანე, კალანდარაშვილი ალექსანდრე, ლაშხი ტარასი, ლომაია იოსები, ლასაბერიძე ირინე, მელქაძე ია, მიქაძე აბესალომ, ნანობაშვილი ელენე, ნიკოლაიშვილი გრიგორი, ნაჭყებია სოლომონ, რედკინა ნადეჟდა, სვანაძე იოსები, სეხნიაშვილი თამარ, სულაძე იპოლიტე, სოფია ნიკოლოზი, სიჭინავა ვარლამი, ტყემალაძე ივლიტა, ფარცხალაძე ვასილი, ფოცხვერია გიორგი, ფურცელაძე არჩილ, ფერაძე ვასილი, ფანცულაია პლატონ, უზუნაშვილი ნიკოლოზ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 5 თებერვალს საღამოს სრულ 8 საათზე საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კადრების განყოფილებაში ამხ. მდივანთან შესდგება თათბირი 1932 წლის შრომის ბალანსის შედგენის მიმდინარეობის საკითხებზე. ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა. ელისაბედაშვილი (საქართველოს შრომის სახკომი), მუსელიანი (თბილისის საბჭოს საგეგმო განყოფ.), ბერიძე (პროფსაბჭო), კაიტაჯიანი (საქ. ს.მ.უ. საბჭო), შახნაზაროვი (პოლიგრაფტრესტი), დოლიძე (რაიკოლმეურნკავშირი), კვიჟინაძე (საქ. ჯანსახკომი), აგრეთვე ქვემო ჩამოთვლილ დაწესებულებათა წარმომადგენლები: საქართველოს მომარაგების სახკომი, მიწსახკომი, სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, ცეკავშირი, სარეწაო კავშირი, ა.ლ.კ.კ.-ის თბილისის კომიტეტი, ტყავტრესტი, ლითონტრესტი, მეაბრეშუმეობის ტრესტი, სახკინმრეწვი, თბილ. ტრამვაი, თელასი, სოც. დაზღვევის სამმართველო, საკურორტო სამმართველო, კოოპინვკავშირი, რაიკოოპკავშირი, აბანოების ტრესტი.

—:—

5 თებერვალს საღამოს 7 საათზე საქართველოს პროფსაბჭოს დარბაზში (რუსთაველის ქ. № 17) შესდგება ორჯონიკიძის სახელობის რაიონის „ბავშთა მეგობართა" საზოგადოების პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა უჯრედების მდივნებსა, მიმაგრებულ პედაგოგებსა და აქტივთან ერთად.

—:—

5 თებერვალს, საღამოს 7 საათზე ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომში მოწვეულია ყველა სახის პარტქსელის პროპაგანდისტთა თათბირი ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზე.

წინადადება ეძლევათ პროპაგანდისტებს დაუყოვნებლივ გამოცხადდენ აღნიშნულ თათბირზე.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას იძლევა პარტგანათლების—მეცადინეობის მორიგ დღეს დამუშავებულ იქნას თბილისის მე14 პარტკონფერენციის და საქ. კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობის შედეგები. პროპაგანდისტებმა მასალა უნდა მიიღონ რაიკომის კულტ. და პროპაგანდის განყოფილებაში.

—:—

—ამხ. კონსტანტინე ბულკაშვილს მობილიზაციაქმნილს მ. გ. წ. არმიაში სამუშაოთ, წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ გამოცხადდეს მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტგანყოფილებაში ამხ. **ნიკურაძესთან.**

—:—

დღეს, 5 თებერვალს, საღამოს 5 საათზე მარქსიზმ - ლენინიზმის ინსტიტუტში შესდგება კომკავშირული ლიტერატურის შემმოწმებელი ბრიგადის სხდომა. შემდეგი ამხანაგებს დასწრება სათანადო მასალების წარმოდგენით სავალდებულოა:

ახობაძე, შამაიაშვილი, მეტრეველი, გიგანეიშვილი, ქუთელია, ბალანჩივაძე, კვირიკაძე, ქაცარავა, შარაშენიძე და საფ.-ეკონ. ინსტიტუტიდან: ჩარკვიანი, კომახიძე, ჯანავა.

—:—

დღეს 5 თებერვალს, საღამოს 7 საათზე შესდგება მარქსიზმ - ლენინიზმის ინსტიტუტის კომკავშირის-უჯრედის ბიუროს სხდომა. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

დღეს 5 თებერვალს რკ. გზის მე-8 შრ. სკ. (პლეხანოვის 136) შესდგება სტალინის რაიონის მასწავლებელთა კომუჯრედის დახურული კრება კომკავშირთან ერთად. პარტიის წევრ-კანდიდატების და რაიონში შემავალ სკოლების ალკკ-ს წევრების დასწრება სავალდებულოა.

სახელმწ. ოპერა

დღის, 7 აბ 9 წარ
თავადი იგორი
მე-8 აბ. წარმ. რიგოლეტო გადატანილია 1 თებერ ალგე ბილ. გამოსად.

6 თებ 4 აბ. 7 წ
კარმენი

7 თებ 3 აბ 9 წ.
ტრილბი

6 თებერვალს მე-4 დილის წარმოდგენა კუზიანი კვიცი
ბილეთები იყიდება. დასაწყისი დღის 12 ს. 15 წ.
ნ. 258

საქ. დრამა სსსრ. სახ. არტ. მარჯანიშვ. ხელმძ.

6 თებ 7 აბ. 6 წ
როგორ

8 თებერვალს, პროფსაბჭოს კულტსექტორის წარმ.
ურიელ აკოსტა

9 თებ 9 აბ 6 წ
კოკლა ჩვენ [illegible]

უკანასკნელი ვადა მე-6 გადასახადისა არის 10 თებერ. რის შემდეგ გაუქმებული იქნება ყველა დაუფ. აბონემენტები. ნ. 260

[illegible]

5 თებერვალს აბონ გარეშე
თეთნულდი

6 თებერვ. 1 აბონ 6 წარმ.
ლამარა

7 თებერვალს 9 აბონ. 6 წარმ.
ლამარა

დასაწყისი სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება. ნ. 262

ხმოვანი კინო
ოქტომბერი (ყ აპოლო)
სეან. 12.2.4.6-30.8-30.10-30.
დღის კინო
სპარტაკი
სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.
საღამოს კინო
სპარტაკი
სეან. დას. 6. 7-30 9 10-30.
კინო დამკვრელი
(ყოფ. პალასი)
სეან. დას. 6. 7-30. 9, 10-30.
რ ლიუქსემბურ. სახ.
(ყოფ. ძიძიშო)
სეან. დას. 6-30. 8. 9-30. 11.
კინო დარბაზი
სეან. დას. 6, 7-30. 9 10-30.

მე-3 თვეა მიდის სურათი
ახალი ცხოვრებისაკენ
მხატვ. სურ.
იბრაგიმ და მოღვარი
რეჟ. ბერიშვილი, ოპერ. პოლიკევიჩი
უკანასკნელი დღეები
ტ ე მ ბ ი
(აფრიკის ჯუნგლების ცხოვრებიდან)
გაროლდ ლოიდი სურათში
მ ო რ ც ხ ვ ი
ნინა ლი მხატვრულ სურათში
ზღვის ღელვის კანონები
მის მენდ მეორე სერია

ა.-კ. სახკომსაბჭოს 1932 წ 23 იანვრის დადგენილების თანახმად,
ა.-კ. მეურნეობის გაერთიანების სისტემაში შემავალი
ტ რ ე ს ტ ი
„ზაკპოლსტროი" უქმდება
ამავე დროს უქმდება „ზაკპოლსტროი"-ს შემდეგი სააღმშ. კანტორები:

დასახელება:	მისამართი:
1. განჯის სააღმშ. კანტორა	ქ. განჯა
2. ერევნის სააღმშ. კანტორა	ქ. ერევანი.
3. ზუბოვკის სააღმშ. კანტორა	ზუბოვკა. საბ. მირზადავუდლი, ბაქო—ჯულფ. რ. გ.
4. ყარაჩალის სააღმშ. კანტორა	საბ. ავჯიაბეგლი ყარაჩალას სამტ. მეურნეობა.
5. დაშბურუნის სააღმშ. კანტორა	საბ. დაშბურუნი ბაქო—ჯულფის რკ. გზა.

ყველა პრეტენზიები, როგორც დასახელებულ სააღმშ. კანტორების, ისე ტრესტ „ზაკპოლსტროი"-ს მიმართ უნდა წარედგინოს აღნიშნულ მისამართით ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა აღნიშნულ სააღმშ. კანტორების სალიკვიდაციო კომისიებს და „ზაკპოლსტროი"-ს სალიკვიდაციო კომისიას.
„ზაკპოლსტროი"-ს სალიკვიდაციო კომისიის მისამართი: ქალ. თბილისი, შტაბის ქ. № 2.

საქ. ცირკი
დას. 8 ს. 15 წ.
დღეს და ყოველდღე ახალი პროგ.
ცნობილი მწვრთნელის
ნ. პ. გლადილშჩიკოვის
მხეცების ჯგუფი
ლომები, დათვები, მგლები ერთად გალიაში
საუკეთესო ახალი ნომრები.
ხვალ, 6 თებერ. წარმოდგენა დღისით
ნ. 261

გაერთიანება „როსაო"-ს
(ორთქლმავალი არმატურა)
პროდუქციის მისაღებად 1932 წლის 1-ლი კვარტალისათვის, ყველა საკავშირო რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მომხმარებლები თავიანთ სპეციფირებულ განცხადებას უდგენენ
„როსაო"-ს
(ლენინგრადი, პ. ლავროვის ქ.) თავიანთი გაერთიანებების მეშვეობით,
განაცხადთა ასლები კი წარედგინება საკავშირო
მარაგგასაღებას
(მოსკოვი, ილინკა, ხრუსტალნი შესახვევი 84)
და ა.-კ. მარაგგასაღებას (თბილისი, პუშკინის ქ. 4).
არმატურის მომხმარებლებმა, რომელთაც სურთ არმატურის მიღება ა.-კ. მარაგგასაღების სისტემის საწყობებიდან, „როსაო"-სათვის განაცხადის წარდგენის დროს, ამ უკანასკნელს უნდა გაუგზავნონ წერილი, ხოლო ასლი საკავშირო მარაგგასაღებას და ა.-კ. მარაგგასაღებას, რომ ისინი თავიანთ ფონდებს გადასცემენ ა.-კ. მარაგგასაღებას, როგორც საქონლის მიმწოდებელ სისტემას.
ნ. 257 „ა.-კ. მარაგგასაღების" გამგეობა

6 თებერვალს, საღ. 7 საათზე ქიმიურ ტეხნოლოგიური ინსტიტუტის შენობაში (ყოფ. რეალური სასწავლებელი, სამოსწავლო შესახვევი № 4) შესდგება ა. კ. სამთო მეტალურგიული ინსტიტუტის, საქ. სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის და „ფერომარგმშენი"-ს
გაერთიანებული საჯარო სხდომა
პროფ. გიორგი ნიკოლაძის
ხსოვნის აღსანიშნავად
შესვლა თავისუფალია.
946 მომწყობი კომისია.

თბ. მე-4 რაიფინგანის
სააუქციონო კამერა
იუწყება მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 6 თებერვალს სრულ 12 საათზე თამამშევის ყოფ. ქარვასლის ქვედა სართულში შესდგება საჯარო ვაჭრობა. და გაიყიდება მენარჩენეთა აღწერილი სხვა და სხვა საოჯახო ნივთები.
თბ. მე-4 რაიფინგანის
9 2 სააუქც. კამერა.

მოტორიზაციის ა/კ. კომიტეტი აცხადებს, რომ ვასილ გაბუნიაზე გაცემული მანდატი გაუქმებულია. გაბუნიას ჩამორთმეული აქვს უფლება მოტორიზაციის კომიტეტის სახელით თანხების შეკრებისა და განკარგულების მოხდენისა.
933 მოტორიზაციის კომიტეტი.

ექიმი
ა. დ. ულენტი
შინაგანი სნეულებანი. სპეც. კუჭ-ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე. ოთხშაბათობით უფასოდ. წყნეთის ქ. № 8
0—7

ექიმი
ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები
სახის სილამაზის
მ ო ვ ლ ა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეგზემას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტს და სხვ. ძნელაძის ქ. № 22.
13—3 5464

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ.
იღებს ავადმყ. დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყოფ. დიდომთავრის ქუჩა) ინდუსტრ. ტეხნიკუმის გვერდზე,
13—1

დღეს, 5 თებერვალს საღამოს 6 საათზე შესდგება სრულ. საქ. ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის მე-2 რესპუბლიკანური კონფერენციის გახსნა „წითელ ოქტომბერი"-ს კლუბში ივანიძის (ყოფ. აკიმოვის) ქ. № 3.
ნ. 204 3—3 ცენტრალური გამგეობა

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
სპეციალურად სიფილ. და სქესობრივი ფუნქციონალური მოშლილობა, სქესობრივი ნევრასტენიას, პსიქოტერაპ.
მიღ. დილ. 10-ნახ.-12 ს., საღ. 6—8 ს., ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყ. ველიამინოვის) № 22,
25—10 2950

ექიმი
პირაშკოვი
ვლ. ვას.
ყელის და ფილტვების სნეულებანი. მიღება საღამოობით 6—7 ს. ფეოდოსიევის ქ. № 22.
13—1

კ. თ. ტყემელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ვენერიულ, კანის და შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1
დილ. 8½—9 საღ. 7—8
77886 13—12.

დ. ლ. თევზაძე
დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია სპეც. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. ჭონქაძის (ყ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: საღ. 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ტელ. 28—68

საქართველოს მიწადმოქმედების საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კავშირ. ც. გამგეობასთან არსებული
სპეციალისტთა ბიურო
იწვევს 7 თებერვალს სრულ 7 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში
ინჟენერ-ტეხნიკოსთა საქალაქო კონფერენციას
დასწრება ევალება ჩვენს კავშირში შემავალ ყველა სპეციალისტებს.
ნ. 256 სპეც სექცია

უახლოესი მეგობრები: გრიშა შოშიტაშვილი, აკაკი ბაქანიძე ოჯახობით აუწყებენ მეგობრებს, რომ 6 თებერვალს დანიშნულია შალვა ტატიშვილის შვილის
ს ო ნ ა ს
სამოქალაქო პანაშვიდი. 948

დამწუხრებულნი მეუღლე მინორა, შვილები: იასე, კარლო, კუკა. რძალი მარუია იუწყებიან ძვირფასი
ზაქარია იასეს-ძე ცინცაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 თებერვალს. 929

ძმები: გიორგი, აფთონი, პავლუშა ცინცაძეები ოჯახობით, და თეო სიძე ფრიდონ შარაშიძე იუწყებიან დაუვიწყარი
ზაქარია იესეს-ძე ცინცაძის
გარდაცვალებას დასაფლავება 6 თებერვალს, 3 საათზე კუკიის სასაფლაოზე, სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 ს. ყ. არწრუნის ქ. № 13. 943

ილია სიხარულიძე ცოლშვილით იუწყება მისი აღმზრდელის, ძვირფასი მასწავლებლის
ზაქრო იესეს-ძე ცინცაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 თებერვალს, სამ საათზე. გამოსვენება ხოშტარიას ქ № 13. 949

დედმამა: კატუ, არკადი შვილებით: ია, კარლო, შურა იუწყებიან, რომ 6 თებერვალს დღის 12 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
აპოლონ არკადის-ძე ოდიშარიას
ხსოვნის აღსანიშნავად, ვერის ახალ სასაფლაოზე. 942

გაუბედურებულნი მშობლები ბაბუცა და მალ ქია, დაი ნინა იუწყებიან, რომ 6 თებერვალს, 5 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ შვილის და ძმის ტრაგიკულად დაღუპულ
შურა მალაქიას-ძე ბარკალაიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 938

სახ.-სამ. მუზეუმის ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყება მუზეუმის დამკვრელ ლექტორის
მოსე აბრამის-ძე ლიპარტელიანის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ნუხის ქ. № 13 დან 6 თებერვალს 4 ს. 921

სახ.-სამ. მუზეუმის მე 3 კურსის მსმენელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათთვის საყვარელ ლექტორის
მოსე აბრამის-ძე ლიპარტელიანის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ნუხის ქ. № 13 (ავლაბარი), 6 თებერვალს 4 საათზე 920

ვასო და ნინო ფანცულაიები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს საუკეთესო ამხანაგის
მოსე ლიპარტელიანის
გარდაცვალებას. 923

დამწუხრებულნი და ქეთევანი ქმრით ექიმ მამონტი ტოლონიძე პატარა ეთერიკოთი იუწყებიან უსაყვარლესი
ვერა იოსების-ას. ბახტაძე
ჯალაღანიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხონში, 7 თებერვალს. 912

მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს ბიძები: ილარიონი, კოლა, ბიცოლები: ლიპა, აგრაფინა, ბიძაშვილებით მაჭარაძეები, რომ გარდაიცვალა ძვირფასი
ვერა იოსების-ასული ჯალაღანია-ბახტაძისა. 941

დამწუხრებული მშობლები ასლანი და მარიამი, ძმები: აკაკი შალიკო, გრიშა, ირაკლი იუწყებიან მათთვის საყვარელ სამიწათმომწყობო ტეხნიკუმის მე-3 კურს. სტუდენტ
ალექსანდრე ქავთარაძის
უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 7 თებერვალს, ს. ნოსირში. 947

გულდათუთქული და თამარი ქავთარაძე, ქმარი შვილით უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამს სიცოცხლით სავსე
ალექსანდრე (საშა) ქავთარაძის
უდროოდ დაკარგვის გამო. დასაფლავება 7 თებერვალს ს. ნოსირში. 947

დამწუხრებული ქმარი ვანო მშობლებით და ძმებით იუწყება, რომ 6 თებერვალს 5 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ეკატერინე ივანეს ას. მათიაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 944

დამწუხრებული მეუღლე მაქსიმე, შვილები: კაპიტონ, აკაკი, კატია. რძლები: ნინა, ნადია. შვილიშვილები: დიდიმ, გურამი იუწყებიან რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი
ნინო ლათუაშვილისა
დაკრძალვა სოფ. შუა ხორგაში კვირას, 7 თებერვალს. 925

გულდამწუხარი ნადია და ევგენი ქყონიები აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი
მიშიკო სამუელის-ძე ლომაძე
დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება 950

გულმოკლულნი მშობლები: მარო და იანგი, ბებია ოლღა. პაპა ნიკოლოზი და მამიდა კეკო თარხნიშვილები იუწყებიან, რომ 7 თებერვალს წითელ-ქალაქში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ პატარა
მ ა ყ ვ ა ლ ა ს
ხსოვნის აღსანიშნავად. 986

ბაბალე ონიკაშვილი ქმარშვილით თამარა ბარნაბიშვილი ქმარშვილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი მამიდა
მარიამ კვალიაშვილი
გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავადმყოფოს პროზექტურიდან 5 თებერვალს, 4 საათზე, ავლაბრის სასაფლაოზე. 939

დამწუხრებულნი: ცოლი ანიკო. შვილი მიტო, რძალი თამარი, შვილიშვილები: შოთა, სოდარი იუწყებიან დაუვიწყარ
მიხეილ დიმ.-ძე ბარსევანიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ყიზლიარის შესახვევი № 5, ვერის ახალ სასაფლაოზე. 924

დამწუხრებული შვილები: ქეთევან, თამარი, სიძეები: ვ. მატაბელი, ი. თულაშვილი, შვილიშვილები: მერი, გული იუწყებიან საყვარელ
მიხეილ დიმ.-ძე ბარსევანიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს. 5 საათზე, ყიზლიარის შესახვევი № 5, ვერის ახალ სასაფლაოზე. 924

დამწუხრებული შვილები: სამსონ, ელენე, გოგუცა, ოლია და ცაცუ შვილებით, რძალი ტანია, სიძეები: სერგო ჩხეიძე, იონა ქორიავა იუწყებიან დაუვიწყარ
მარიამ (მაშო) ხოჯოლავას
გარდაცვალებას. გამოსვენება მუხრანის ქ. № 19, 6 თებერვალს, 4 საათზე. 926

დამწუხრებული ბებია მარიამი, მამიდები ამელია, ქსენია დარჩიები; კატუშა, სიმონი, ცაცუ, ვასილი ხვადაგიძეები იუწყებიან, რომ 6 თებერვალს 1 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ქეთო დარჩიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 902

პელაგია, ნინა, თამარა შათირიშვილები, გიორგი გოჩიაშვილი პატარა ეთერათი უღრმეს მადლობას უცხადებენ იმათ, ვინც გაიზიარა მათი მწუხარება, როგორც დასწრებით, ისე წერილობით
ვალოდია ნოეს-ძე შათირიშვილის
დაკარგვის გამო. 945

დაჩაგრული მშობლები ვერა და ლუკა, და ითერი დედანაცვლები იუწყებიან, რომ 5 თებერვალს 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი
ი რ ა ს
ხსოვნის აღსანიშნავად. 940

დამწუხრებულნი შვილები: ამბაკო, გრიშა, რძლები: ილია, სოფია, შვილიშვილები: გუგუ, მარგუშა, ნუცა, ვეფერა იუწყებიან, რომ ბათუმში გარდაიცვალა საყვარელი
ნესტორ ვატას-ძე ქაჯაია
დაკრძალვა მოხდა 2 თებერვალს სოფ. ონოღიაში. 946

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტის რწმუნებული ა 974